# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 ივნისი **ხუთშაბათი** 2012 №139 (13 745) ფასი 80 თეთრი


# გომესი

## გერმანულმა მანქანამ ტიტები გადათელა

## დაქერობანა კი პორტუგალიამ დანიას მოუგო



| B ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 2. პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 3. დანია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. ჰოლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

8-9

# -6 ქულა?

## რუსები 120 ათასით დასაჯეს



უეფას სადისციპლინო კომიტეტმა, რუსი გულშემატკივრების უგვანო საქციელის გამო, რუსეთის საფეხბურთო კავშირი 120 ათასი ევროთი დასაჯა. ვროცლავში ჩეხების ნაკრებთან მატჩისას რუსი ფანები მოედანზე ისროდნენ სხვადასხვა ნივთს და შეურაცხმყოფელ ბანერებს კიდებდნენ. ამას დაერთო მომსახურე სტიუარდების ცემაც. სადისციპლინო კომიტეტმა გადაწყვიტა, რუსეთის ნაკრებს ევრო 2016-ის შესარჩევ ციკლში დააკლოს 6 ქულა... ოღონდ ეს სასჯელი ჯერჯერობით პირობითია და თუკი ევრო 2016-ის შესარჩევი ციკლის ბოლომდე რუსები კიდევ „იყოჩაღებენ", პირობითი სასჯელი რეალურად იქცევა. რუსულ მხარეს სამი დღის ვადა აქვს განაჩენის გასასაჩივრელად.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# +1 რეიტინგში



13

## ამერიკული ტურნეს წინ: საქართველო მსოფლიოში მე-14

# შურისძიების წყურვილი



ვისენტე დელ ბოსკე



ჯოვანი ტრაპატონი

5

# ბალოტელის ბოლო შანსი



5

# ბარსელონაში ტიტოს ორი წლით ენდნენ

გუშინ „ბარსელონამ" ოფიციალურად განაცხადა, რომ კონტრაქტი გუნდის ახალ თავკაც **ტიტო ვილანოვასთან** შეთანხმებულია. ყველაზე საინტერესო კი კონტრაქტის ვადაა - **ხოსეპ გვარდიოლას** შემცვლელს ორი წლით ენდნენ, მას 2014 წლის ივნისამდე ვიხილავთ კატალონიური გრანდის მესაჭედ. კონტრაქტის ხელმოწერის ცერემონიალი პარასკევს გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება

# არის ვინმე ასეთი?

**პროფლიგა ხელახლა უნდა შეიქმნასო, ბრძანეს ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელებმა და საქმეც დაიძრა. უკვე გამოჩდნენ პროფლიგის პრეზიდენტობის მსურველებიც, "ლელომ" ამასთან დაკავშირებით ვლადიმერ გუცაევს ინტერვიუც ჩამოართვა. გუცაევმაც მთავარ სატკივარზე ისაუბრა – ფული და თავისუფლება.**

თავისუფლება მართლაც მარადიული თემაა. მონოპოლიურად მართვის სტილი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ქართველები ყოველთვის ვერ უწყობენ ფეხს დროს. ოჯახი ხრამია და ფეხბურთიც ჩვენ უნდა დაგვრჩეს, რა იცი, რაში დაგვჭირდება – ასეთმა მიმართულებამ არ გაამართლა და ვნახოთ, რაოდენ ნამდვილი იქნება ახალი პროფლიგა.

ნლეულს საქართველოს ჩემპიონის გამოსავლენად ალმასკომის სხდომა რომ გახდა საჭირო, არა მგონია, ეს იმის ბრალი ყოფილიყო, ჩემპიონატს ფედერაცია რომ ატარებდა და არა – პროფლიგა. ის ხალხი, ვინც ჩემპიონატის დებულებას ადგენს, საკმაოდ გამოცდილია და მათი იალლიშის ბრალი ნაკლებად იქნებოდა "ზესტაფონის" და "მეტალურგის" გაუგონარი დავა ჩემპიონობისთვის.

მაშ, რაშია საქმე? რატომ წამოვიდა ფედერაციიდან იმის ინიციატივა, რომ ჩემპიონატი პროფლიგამ ჩაატაროს? შარშანდელი ამბავია: რამდენიმე კლუბმა კლუბთა გაერთიანების იდეა აიტაცა, თუმცა ასეთი კლუბი ცოტა გამოდგა. ფედერაციას მაშინ ოფიციალური პოზიცია არ დაუფიქსირებია, მაგრამ არც მოუწონებია ეს აზრი. ისიცაა, რომ მაშინ ფედერაცია, ცოტა არ იყოს, ეიფორიაში იყო, საკლუბო და სანაკრებო პრობლემები ისე მწვავედ არ იდგა, როგორც ახლა დგას.

პროფლიგა მანამდეც არსებობდა და ფედერაციის ამ ხელმძღვანელობას მისთვის ხელი არ შეუშლია, კლუბებთან კონსულტაციის შემდეგ ჩემპიონატის და თასის გათამაშების ჩატარება ითავა. ზოგი კლუბი მოტყუებული დარჩა, რადგან ეგონა, რომ დაპირებას ოქროს ფასი ჰქონდა, მაგრამ...სამონაწილეო თანხის გადახდამ მაინც მოუწიათ.

ფედერაციამ კლუბებს საწვავის ტალონები დაურიგა. როგორი საქმეა, როცა კლუბის წარმომადგენელი ფედერაციაში მიდის და "სოკარის" ტალონებს ელოდება. ურთიერთობის ასეთი ფორმა ცხოვრებამ და უსახსრობამ მოიტანა. კლუბებმა ავტობუსში საწვავი ჩაასხეს და ესეც შეღავათი იყო, ოღონდაც ძალიან მცირე. სეზონის ბოლოს კი ფედერაციამ მოწინავე კლუბები ფულით დაასაჩუქრა, თითქოს ცუდი ფონი დაამშვიდინაო.

ტელეტრანსლაციები საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ითავა, მაგრამ ამით ქართულ კლუბებს ერთი გროშიც არ შეხვდათ. ისიცაა, რომ საქართველოს ჩემპიონატის თუ თასის მატჩების ფრაგმენტების ჩვენება ყველა ტელევიზიას შეეძლო. ასეთმა ნაბიჯმა ვერაფერი ვერ მოიტანა ჩვენი საკლუბო ფეხბურთის გაუფასურების გარდა – მაყურებელმა სტადიონებზე არ მოიმატა, კლუბებმა შემოსავლის მთავარი წყაროდან შაურიც ვერ მიიღეს.

პროფლიგა ადრეც არსებობდა და რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა. იშოვა სპონსორები, ტარდებოდა დაჯილდოება, გაფორმდა ხელშეკრულება მედია კომპანია "კოლხიდასთან", მაგრამ ამას მოჰყვა საერთო ეკონომიკური კრიზისი, ომი რუსეთთან. მაშინდელი პროფლიგა მოწადინებული კი იყო, მაგრამ მაინც არ ჰქონდა დიდი ნდობა კლუბებისგან, როგორც კი ფედერაციის ხელმძღვანელობა შეიცვალა, კლუბები პროფლიგისგან განზე დარჩნენ.

უწინდელი პროფლიგა ვერ მოერია ჩაწყობილ თამაშებს და პრობლემა შიდა სამზარეულოს იქით გადაიტანა, დაიქადნა, საქმეში სამართალდამცავ ორგანოებს ჩავრთავთო. წავიდა დაკითხვები, დაჰკითხეს ჟურნალისტებიც კი, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა – სკანდალებისთვის მზად არავინ აღმოჩნდა.

როგორ ვიშოვოთ ფული? კლუბები ამ კითხვას აუცილებლად დაუსვამენ პროფლიგის ახალ პრეზიდენტს. თუმცა შესაძლოა, ამ ეტაპზე ეს არც იყოს მთავარი საკითხი. კლუბებს ახლა თავისებური ავტონომია სჭირდებათ, რათა მკაფიოდ ჩამოაყალიბონ საერთო პოზიცია ამა თუ იმ საკითხზე. ვფიქრობ, ამის მიღწევა ადვილი არ იქნება, რადგან უმაღლესი ლიგის კლუბებს ძალიან განსხვავებული მეპატრონეები ჰყავთ. პროფლიგის მომავალ პრეზიდენტს დიდი დიპლომატია დასჭირდება, კლუბები რომ დააკავშიროს, ერთი მეორის მოკავშირედ გადააქციოს.

ძალიან საინტერესოა, ვის დარჩება სამსაჯო კომიტეტი. უწინდელი პროფლიგის დროს, მსაჯებს ფულს პროფლიგა უხდიდა, მაგრამ სამსაჯო კომიტეტი ფეხბურთის ფედერაციაში შედიოდა. შეელევა ახლანდელი ფედერაციის ხელმძღვანელობა მსაჯებს? თუ ეს მოხდება, ახალი პროფლიგა ამით მოგებული დარჩება, კლუბები იქითკენ წავლენ, რომ მსაჯებისკენ ხელს დაუდევრად და ადვილად ველარ გაიშვერენ.

ღონიერი პროფლიგის შემთხვევაში კლუბები უპატრონოდ აღარ იქნებიან ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტში – მიუხედავად იმისა, შევლენ თუ არა კლუბების წარმომადგენლები ალმასკომში, პროფლიგის პოზიცია თავისთავად კლებების სოლიდარული პოზიცია იქნება და ამის უგულებელყოფა ვერ იქნება მოსაწონი საქციელი.

მოკლედ, ფულის შოვნამდე კლუბებს ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. პროფლიგის ხელახლა შექმნით იქნებ რაღაცები ისე თავხედურად აღარ გაკეთდეს, როგორც მანამდე კეთდებოდა.

ცხადია, დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, ვის აირჩევენ კლუბები პროფესიული ლიგის პრეზიდენტად. ავტორიტეტი, გამოცდილება, რეპუტაცია, კავშირები ხელისუფლებასთან და ბიზნეს წრეებთან...არის ვინმე ასეთი?

**დავით თავართქილაძე**

ფუტსალი

# ცქიტიშვილი პრეზიდენტად?

საქართველოს ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრის, **გიორგი დარჯანიას** თქმით, 16 ივნისს, 14 საათზე, "მიხეილ მესხის" სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს ფუტსალის ასოციაციის რიგგარეშე საარჩევნო კონფერენცია ჩატარდება და პრეზიდენტს აირჩევენ.

შეგახსენებთ, რომ ქართული ფუტსალი ცვლილებების მოლოდინშია. რამდენიმე თვის წინათ წარმოქმნილ დაპირისპირებას ასოციაციის პრეზიდენტსა და გამგეობის წევრებს შორის, ასოციაციის კონფერენციის მოწვევა და პრეზიდენტისთვის უნდობლობის გამოცხადება მოჰყვა. დაპირისპირება კი, ეროვნული ჩემპიონატის ჩაშლამ გამოიწვია: შემოდგომაზე დასაწყები სეზონი თებერვლამდე რომ არ დაიწყო, დაპირისპირებამ პიკს მიაღწია და საქმეში ფეხბურთის ფედერაციის ჩარევა გახდა საჭირო. ბოლოს ჩემპიონატის ჩატარება ფედერაციამ აიღო თავის თავზე.

ახლა კი ასოციაცია ახალ პრეზიდენტს აირჩევს. კანდიდატი ორია: ასოციაციის გამგეობის წევრი **ლევან გრიგოლია** და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **ლევან ცქიტიშვილი.**

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გურამ რუხაძე:

# სპორტული პრინციპი უმთავრესია

## პროფლიგის აღდგენას მივესალმები

**გასული სეზონი "ვიტ ჯორჯიასთვის" არც თუ წარმატებული გამოდგა: გუნდი, რომელიც ახლო წარსულში საქართველოს ჩემპიონობისა და ევროსაგზურისთვის იბრძოდა, უმაღლეს ლიგაში ბოლო ტურში მოპოვებული გამარჯვებითღა დარჩა. კლუბის პრეზიდენტს გურამ რუხაძეს ინტერვიუ ჩამოვართვით და გასული სეზონის შეჯამებასთან ერთად "ვიტ ჯორჯიას" პერსპექტივებსა და სხვა საინტერესო თემებზე ვესაუბრეთ.**

**- გასულ სეზონში ნაჩვენები შედეგები ნამდვილად არ უნდა შეეფერებოდეს კლუბის ამბიციებს.**

- შედეგი, რა თქმა უნდა, არ იყო სასურველი. "ვიტ ჯორჯიას" არსებობის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდული გუნდი გვყავდა, მაგრამ მაინც უფრო მაღალი ადგილი უნდა დაგვეკავებინა. ჩვენი მიზანი უმაღლესი ლიგის რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრა იყო, რათა შემდეგ ევროთასების საგზურისთვის ბრძოლა გაგვეგრძელებინა. სამწუხაროდ, პლეი აუტის ამარად დავრჩით და იმის მიუხედავად, რომ ეს გათამაშება წარმატებით დავიწყეთ, საქმე მაინც ისე წაგვივიდა, რომ უმაღლეს ლიგაში დარჩენის საკითხი მხოლოდ ბოლო ტურში გადავჭერით.

ყველაფრის მიუხედავად, განვლილმა სეზონმა გარკვეული სარგებელი მაინც მოგვიტანა – ჩვენმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ასეთ მძიმე ბრძოლებში დიდი გამოცდილება მიიღეს. მომავალ სეზონში ერთი წლით უფრო გამოცდილი გუნდი გვეყოლება და უკეთესი შედეგების იმედებიც გვექნება.

**- მაინც რა იქნება "ვიტ ჯორჯიას" მიზანი მომავალ სეზონში?**

> არ მესმის, რატომ ქმნის ზოგი კლუბი ტრაგედიას პირველ ლიგაში თამაშისგან

- უნდა მოვხვდეთ უმაღლესი ლიგის ექვს საუკეთესო გუნდში და იმის იმედიც გვაქვს, რომ ევროტურნირებზე გასასვლელად ვიბრძოლებთ.

**- ვიცით, რომ გარკვეული წინადადებები მიიღეთ გიორგი ჯანელიძის თაობაზე. მისი ტრანსფერი ხომ არ მომწიფდა?**

- სრულიად შესაძლებელია, მან "ვიტ ჯორჯია" მალევე დატოვოს. მის მსურველ კლუბებს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ საკმაოდ რეალური შემოთავაზებები მივიღეთ. დიდია იმის შანსიც, რომ ლაშა კასრაძის ტრანსფერიც განხორციელდეს. მისი ერთ-ერთი მსურველი უკრაინის პრემიერ ლიგის კლუბი გახლავთ.

"ვიტ ჯორჯიას" სატრანსფერო პოლიტიკა კარგად მოგეხსენებათ. ჩვენ ფეხბურთელებს ყოველთვის ხელს ვუწყობთ კარიერულ წინსვლაში. არ დავმალავ, რომ ტრანსფერებით კლუბის ბიუჯეტი ივსება, მაგრამ ადამიანურ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენს აღზრდილ ფეხბურთელებს უკეთეს დონეზე თამაშსა და უკეთეს ცხოვრებაში ყველანაირად ხელს ვუწყობთ.

**- ბოლო წლებში "ვიტ ჯორჯიადან" საზღვარგარეთულ კლუბებში წასული ფეხბურთელების რიცხვმა იკლო. ამ ტენდენციას რით ახსნით?**

- არ ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ "ვიტ ჯორჯიას" პრობლემაა. ზოგადად ქართველ ფეხბურთელებზე მოთხოვნამ იკლო, რადგან ჩვენი ფეხბურთი ევროპულს განვითარების ტემპებით კიდევ უფრო ჩამორჩა.

**- დღეს თუ ახერხებს "ვიტ ჯორჯია" საკუთარი ფეხბურთელების ფინანსური მოთხოვნების დაკმაყოფილებას?**

- რა თქმა უნდა, ევროპული მასშტაბებისგან შორს ვართ, მაგრამ ვიტყოდი, რომ ქართული საზომებით საშუალოზე უკეთესი პირობები გვაქვს. "ვიტ ჯორჯიაში" ხელფასები წინსწრებით გაიცემა, მოწესრიგებულია პრემიების სისტემაც. "ვიტ ჯორჯიაში" თამაშის სურვილი ფეხბურთელებს აქვთ და ჩვენთან კონტრაქტი ბევრისთვის სასურველია. ხოლო იმას, ვისაც პერსპექტივა აქვს, რომ უფრო კარგ პირობებში ითამაშოს, როგორც გითხარით, ხელს ყველანაირად ვუწყობთ.

**- გადავინაცვლოთ ინფრასტრუქტურულ საკითხებზე. ვიცით, რომ "მცხეთა პარკის" კეთილმოწყობის პირველი ეტაპი დასრულებულია. რა სამუშაოები შესრულდა და რა იგეგმება უახლოესი პერიოდისთვის?**

- ჩვენს სტადიონზე დაიგო მაღალი ხარისხის ხელოვნური საფარი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. ტრიბუნაზე დავამონტაჟეთ ორი ათასი ცალი ინდივიდუალური სკამი, სრულად მოვაწესრიგეთ ვიპ ლოჟა და გასახდელები. სამუშაოების მეორე ეტაპზე კი გათვალისწინებულია მეორე ტრიბუნის აგება და ღამის განათების დამონტაჟება. თუმცა, სიმართლე გითხრათ, იმ პირობებში, როცა "ვიტ ჯორჯიას" საშინაო თამაშებზე მაყურებელი არ დადის, მეორე ტრიბუნის აშენება კუდაბზიკობად მიმაჩნია.

**- მაყურებლების სიმცირე თითქმის ყველა ქართული კლუბის თავის ტკივილია. თქვენ თუ გეგმავთ ამ პრობლემის მოგვარებას და საამისოდ რაიმე გზა ხომ არ გიპოვიათ?**

- არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო, მაგრამ მგონია, რომ მაყურებლების მოზიდვის ეფექტურ გზებს მივაგენით. ახლა ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ, მაგრამ უახლოეს პერიოდში ყველაფერს შეიტყობთ.

**- წლებია, "ვიტ ჯორჯიას" სამწვრთნელო შტაბში განსაკუთრებული ცვლილებები არ ხდება. მომავალ სეზონშიც ასე იქნება თუ რაიმე სიახლეს უნდა ველოდოთ?**

- მიმაჩნია, რომ ამჟამინდელ სამწვრთნელო შტაბსა და ფეხბურთელებს მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლიათ, ასე რომ, კარდინალურ ცვლილებებს არ გვეგმავთ. მერაბ კოჭლაშვილის მუშაობით კმაყოფილი ვარ და "ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელი ახალ სეზონშიც იგი იქნება. ზურაბ ბერიძე "ვიტ ჯორჯიას" ჭაბუკთა გუნდების კოორდინატორად დავნიშნეთ, დუბლშემადგენლობას კი კვლავ კოჭლაშვილის ასისტენტი რამაზ სვანაძე გაწვრთნის.

**- რამდენად დამაკმაყოფილებელია "ვიტ ჯორჯიას" დუბლშემადგენლობისა და ჭაბუკთა გუნდების დონე?**

- ვფიქრობ, სრულიად დამაკმაყოფილებელია, რაზეც შედეგებიც მეტყველებს. ჩვენმა დუბლებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს, 1994-95 წლებში დაბადებულთა გუნდი კი, რომელსაც ჩვენი ყოფილი ფეხბურთელი თენგიზ კობიაშვილი წვრთნის, თავის ასაკში მეორე ადგილზე გავიდა.



**- უნდა ჩამოყალიბებულიყო "ვიტ ჯორჯიას" ბავშვთა სკოლა. რა სტადიაზეა ეს საკითხი?**

- ამისკენ ეტაპობრივად მივდივართ. ჩვენ დავაარსეთ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა "მცხეთა", რომელიც ადგილობრივებითაა დაკომპლექტებული და მომავალი სეზონიდან ჭაბუკთა ლიგაში ჩვენი სახელით ითამაშებს.

**- რამდენიმე დღის წინ კლუბების წარმომადგენლებმა მომავალი ჩემპიონატის რეგლამენტზე იმსჯელეს. რამდენად მისაღებია თქვენთვის საბოლოო გადაწყვეტილება?**

- ვფიქრობ, თორმეტგუნდიანი უმაღლესი ლიგა და გუნდების ექვსეულებად დაყოფა ოპტიმალური გადაწყვეტილებაა. მერწმუნეთ, უმაღლესი ლიგიდან რომ გავვარდნილიყავით, მაინც იმავეს გეტყოდით. არ მესმის, რატომ ქმნის ზოგი კლუბი ტრაგედიას პირველ ლიგაში თამაშისგან. ჩვენთვის სპორტული პრინციპი უმთავრესია. უმაღლეს ლიგაში ადგილი რომ ვერ შეგვენარჩუნებინა, პირველ ლიგაში ვითამაშებდით და ელიტაში დასაბრუნებლად ვიბრძოლებდით.

მთავარია, მომავალ სეზონში არ მოხდეს ისეთი უარყოფითი ფაქტები, რასაც ვერ გავექეცით. ყრილობაზე ვთქვი, რომ ძალიან ცუდი იყო რეგლამენტში გაპარული ხარვეზი, რამაც საჩემპიონო დავამდე მიგვიყვანა. თასის ფინალშიც დიდი უსიამოვნება მოხდა და არც ის იყო კარგი, გუნდმა საქართველოს სუპერთასზე დუბლშემადგენლობით რომ ითამაშა.

**- როგორც გვახსოვს, რამდენიმე წლის წინ პროფლიგა კლუბების თანხმობით დაიშალა. ახლად შექმნილი პროფლიგისგან რას ელით?**

- მაშინ სხვა გამოსავალი არ იყო. ომმა და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა პროფლიგის გაუქმება გამოიწვია. ახლა კი სახელმწიფოსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ეს ინიციატივა აქვს და პროფლიგის აღდგენას მივესალმები. ქართული კლუბების უმრავლესობას არ აქვს იმის საშუალება, რომ დამოუკიდებლად შექმნას პროფლიგა. ასე რომ, დღევადელი რეალობა ასეთია – კლუბების პოზიცია თანხვედრაში უნდა იყოს ფეხბურთის ფედერაციის პოზიციასთან.

> ძალიან ცუდი იყო რეგლამენტში გაპარული ხარვეზი, რამაც საჩემპიონო დავამდე მიგვიყვანა. თასის ფინალშიც დიდი უსიამოვნება მოხდა

**ლევან ჯანეზაშვილი**

ტრანსფერი

# სეთურიძემ დინამო მეტალურგს ამჯობინა



გიორგი სეთურიძე

ამას წინათ ვწერდით, რომ თბილისის "დინამომ" ქუთაისის "ტორპედოს" ან უკვე ყოფილი ნახევარმცველი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი **თორნიკე თარხნიშვილი** გადაიბირა.

ცხადია, ეს არაა თბილისის "დინამოს" ერთად-ერთი შენაძენი – შევიტყვეთ და შემდეგ გადავამოწმეთ, რომ თბილისურ კლუბში კარიერას რუსთავის "მეტალურგის" ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი სეთურიძეც** გააგრძელებს.

27 წლის ნახევარმცველს აქამდე 8 გუნდში უთამაშია: "მცხეთაში" (2003–2004), თბილისის "ლოკომოტივში" (2004–2006), ბათუმის "დინამოში" (2006), რუსთავის "ოლიმპში" (შემდგომ "მეტალურგში", 2006–2007, 2008–2009, 2011-2012), იენის "კარლ ცაისში" (2007–2008), სუმგაითის "სტანდარდში" (2009–2010), "განჯაში" (2010–2011), ქუთაისის "ტორპედოში" (2011), საქართველოს ეროვნულ ნაკრებში კი 5 მატჩი აქვს ჩატარებული.

ფეხბურთელს "მეტალურგთან" კონტრაქტი დაუსრულდა და კარიერის გაგრძელებას უკრაინაში, დონეცკის "მეტალურგში" სთავაზობდნენ, მაგრამ იქ სინჯებზე უნდა წასულიყო და თბილისის "დინამოსთან" გარანტირებული კონტრაქტი ამჯობინა.

სეთურიძემ "დინამოსთან" კონტრაქტი უკვე გააფორმა - ხელშეკრულება ორ წელზეა გათვლილი.

**მერაბ მამულაშვილი**

დილა

# სუპერტრანსფერი: დილამ დინამოდან ისიანი გადაიბირა

გორის "დილას" ფეხბურთელებმა 7 და 8 ივნისს სამედიცინო შემოწმება გაიარეს, 9-დან გუნდი თბილისში ემზადებოდა, დღეს დილით კი ავსტრიაში მეორე შეკრების გასავლელად გაემგზავრა.

ავსტრიაში გამგზავრებამდე გორელებმა ისეთი ტრანსფერი განახორციელეს, რომელზეც ბევრი გუნდი ოცნებებდა: ამიერიდან "დილაში" იმუშავებს თბილისის "დინამოს" უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი **გია ისიანი,** ქართულ ფეხბურთში ყველასათვის პატივსაცემი და ანგარიშგასაწევი პიროვნება. მართალია, სიტყვა "ტრანსფერს" ფეხბურთელის გადაყვანის დროს ხმარობენ, მაგრამ ისიანი ისეთი ფიგურაა, ეს მართლაც "სუპერტრანსფერია" – ის თბილისის "დინამოს" სტრუქტურაში ნამდვილი "საყრდენი ნახევარმცველი" იყო, საჭირო და საქმიანი კაცი.

ისიანი მრავალი წელი წარმატებულად მუშაობდა საკვანძო თანამდებობებზე თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, გააჩნია დიდი საერთაშორისო გამოცდილება და ავტორიტეტი. გუშინ კი ოფიციალურად გახდა გორის "დილას" მენეჯერი.

*"ვამაყობ, სახელოვან კლუბში წლები რომ ვმუშაობდი და ულამაზესი წლები გავატარე. "დინამოდან" მადლიერებით*



გია ისიანი

*წამოვედი და ხელმძღვანელობასაც ადამიანურად დავემშვიდობე.*

*რატომ "დილა"? კლუბის ხელმძღვანელთა ნდობა ვიგრძენი. მეორეც - ძალიან პერსპექტიული და მზარდი კლუბია. დარწმუნებული ვარ, "დილა" სწრაფი ტემპებით გაიზრდება და ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერი გახდება. სტიმულია ასეთ კლუბში მუშაობაც და მის მშენებლობაში მონაწილეობაც.*

*კლუბში საკმაოდ ფართო ფუნქციების შესრულება მომიწევს: საორგანიზაციო საკითხები, საერთაშორისო ურთიერთობები და ა.შ. და კიდევ, დარწმუნებული ვარ, მედიასთან ურთიერთობა მაქსიმალურად გამჭირვალე იქნება. ეს თავად კლუბისთვის იქნება მნიშვნელოვანი"* – გვითხრა ისიანმა.

შევიტყვეთ, რომ გუნდი დატოვა თბილისის "დინამოდან" იჯარით გადმოყვანილმა **ირაკლი ლექვთაძემ** – სავარაუდოდ, ის კარიერას კვლავ "დინამოში" გააგრძელებს. თუმცა, ავსტრიაში გასამგზავრებთა სრულ სიას კლუბი ჯერ არ ახმოვანებს.

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი

# ტორპედომ რეგიონს მეორედაც აჯობა

ქუთაისის "ტორპედო" ევროპის ლიგისთვის მზადებას აგრძელებს. **გია გეგუჩაძის** განვრთნილებმა საკუთარ სტადიონზე იმერეთის პირველი ლიგის ნაკრებს ზედიზედ მეორედ უმასპინძლეს და კვლავ გაიმარჯვეს — პირველი 5:3 მოიგეს, ამჯერად კი უფრო სოლიდური ანგარიშით – 6:1.

"ტორპედოს" პრესატაშის, **რამაზ ჩხიკვაძის** თქმით, წინა თამაშის მსგავსად, გეგუჩაძემ თავის გამოჩენის საშუალება თითქმის ყველა ფეხბურთელს მისცა.

პირველი ტაიმი ტორპედოელებმა 2:1 მოიგეს. ანგარიში **რევაზ გოცირიძემ** გახსნა, ყოფილმა ტორპედოელმა **ბექა ბიბილაშვილმა** კი ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და 0:2 გახდა. ტაიმის დასრულებამდე 2 წუთით ადრე კი იმერეთის ნაკრების ფეხბურთელმა **გიორგი ბუხაიძემ** "ტორპედოს" ორი მატჩის ჯამში მესამე გოლი გაუტანა – 2:1.

მეორე ტაიმში „ტორპედოს" უპირატესობა გამოიკვეთა და საბოლოოდ, ქუთათურებმა 6:1 გაიმარჯვეს. აღსანიშნავია, გოლი "ტორპედოში" დაბრუნებულმა **მერაბ გიგაურმაც** გაიტანა.

**ტორპედო– იმერეთის ნაკრები 6:1**

1:0 გოცირიძე (11), 2:0 ბიბილაშვილი (30. საკუთარ კარში), 2:1 ბუხაიძე (43), 3:1 ფანცულაია (50), 4:1 კუხიანიძე (57. პენალტით), 5:1 გიგაური (60), 6:1 კუხიანიძე (83)

ტორპედო: მიგინეიშვილი (46. ქვილითაია), ზ. ჭელიძე (46. ფარულავა), გამეზარდაშვილი (46. კვახაძე), რიგვავა (46. ტაბატაძე), გ. გურული (46. შერგელაშვილი), დილმელაშვილი (46. გიგაური), სიჭინავა (46. ვ. ბოლქვაძე), გ. დათუნაიშვილი (46. ფირცხალავა), დოლიძე (46. ე. გრიგალაშვილი), ტულუში (46. კუხიანიძე), გოცირიძე (46. ფანცულაია)

დღეს გამთენიისას კი გუნდი ავსტრიაში შეკრების გასავლელად თბილისი-სტამბული-მიუნხენის რეისით გაემგზავრება, ავტობუსით ზალცბურგთან მდებარე კურორტ კაპრუნში ჩავა და ოთხვარსკვლავიან სასტუმრო "ტონ-ში" დაბინავდება.

გია გეგუჩაძემ ავსტრიაში 26 ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები: მაქსიმე ქვილითაია, ომარ მიგინეიშვილი, დავით კუპატაძე.

მცველები: დავით გამეზარდაშვილი, ალექსანდრე კვახაძე, დათა რიგვავა, გიორგი გურული, ლაშა შერგელაშვილი, ზაზა ჭელიძე, თემურ ფარულავა, ვაჟა ტაბატაძე.

ნახევარმცველები: დავით დილმელაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, გიორგი კუხიანიძე, გრიგოლ დოლიძე, ვალერი ბოლქვაძე, გივი იოსელიანი, დათა სიჭინავა, ნიკა ფირცხალავა, მერაბ გიგაური, ელგუჯა გრიგალაშვილი.

თავდამსხმელები: რევაზ გოცირიძე, ბექა ტულუში, ნიკა საბანაძე, თეიმურაზ მარკოზაშვილი, გიორგი ფანცულაია.

ავსტრიაში ქუთაისელები ოთხ ამხანაგურ მატჩს გამართავენ: 17 ივნისს ალბანურ „შკენდერბეუს" შეხვდებიან, 21-ში რუმინულ „სტიაუას", 25-ში უკრაინის ჩემპიონ „შახტარს", 28 ივნისს კი კიევის „დინამოსა" და ბუქარესტის „დინამოს" შორის ერთ-ერთს დაუპირისპირდება.



**მერაბ მამულაშვილი**

ევრო-2012. სპეციალისტის აზრი



კახა გოგიჩაიშვილი

# კახა გოგიჩაიშვილი: ჰოლანდია გუნდს არ ჰგავდა

**"ლელოს" რუბრიკის მორიგი სტუმარი თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, ამჯერად კი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი კახა გოგიჩაიშვილია. იგი ესპანეთის ნაკრებს ქომაგობს, მასთან ერთად კი ევროპის ჩემპიონატის ფავორიტად გერმანია მიაჩნია.**

**დანია–პორტუგალია**

პორტუგალიამ საკმაოდ მძიმე მატჩი მოიგო და ვფიქრობ, დამსახურებულად გაიმარჯვა. პირველ ტაიმში პორტუგალიელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ, გატანილი გოლების შემდეგ კი მოდუნდნენ, რაც კინალამ ქულების დაკარგვად დაუჯდათ. პორტუგალიამ უფრო მაღალი კლასის ხარჯზე გაიმარჯვა, თორემ დანიელებმა ამჯერადაც გამართული და ხარისხიანი ფეხბურთი აჩვენეს.

**ჰოლანდია–გერმანია**

ამ ორ ნაკრებს შორის ყოველთვის საინტერესო და დაძაბული შეხვედრები იმართება და ასე იყო ახლაც. გერმანიამ მეტოქეზე გაცილებით უკეთ ითამაშა და მისი გამარჯვებაც კანონზომიერია. მეორე ტაიმში ჰოლანდიელებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, მაგრამ ცალკეული ფეხბურთელების ოსტატობა გერმანული მანქანის დასაძლევად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ჰოლანდიის ნაკრებისგან ასეთ სუსტ თამაშს არ ველოდი. ეს გუნდი საერთოდ არ ტოვებდა შეკრული კოლექტივის შთაბეჭდილებას. ჰოლანდიელებმა მეოთხედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნეს, მაგრამ ძალიან მეეჭვება, ეს შეძლონ. მგონია, რომ გერმანიასთან ერთად ჯგუფიდან პორტუგალია გავა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი



# განუგრავას ახალი გუნდის ძებნა მოუწევს

**გიორგი განუგრავა, რომელიც უნგრული "დიორ ეტოს" საკუთრებაა, ახალ გუნდს ეძებს. მიუხედავად იმისა, რომ დიორელებთან ქართველ ფეხბურთელს კონტრაქტით წელიწად-ნახევარი კიდევ აკავშირებს, სავარაუდოდ, მხარეები ურთიერთთანამშრომლობას აღარ გააგრძელებენ და განუგრავას უნგრული კლუბი ტრანსფერზე დააყენებს.**

"დიორ ეტოს" 24 წლის ქართველი ფეხბურთელის დატოვება რომ აღარ სურდა, ცხადი მაშინ გახდა, როცა განათხოვრების წესით ორ სხვადასხვა გუნდში გაუშვა. "ლომბარდ პაპაში" განუგრავა ფინანსური კრიზისის გამო არ დარჩა, ბოლო გუნდი "ზალაეგერსეგი" კი, უმაღლესი ლიგიდან გავარდა.

განუგრავა ახლა არდადეგებზე თბილისშია და მასთან გასაუბრების საშუალება მოგვეცა. გვითხრა, რომ "ზალაეგერსეგს" მისი გამოსყიდვის სურვილი აქვს, თუმცა მეორე ლიგაში თამაშზე თავს იკავებს, გარდა ამისა, კლუბს მისი ფინანსური დავალიანებაც გასასტუმრებელი აქვს.

-ალბათ, უკეთესი იქნება საქართველოში დავბრუნდე. 17 ივნისს მივფრინავ უნგრეთში და "დიორ ეტოსთან" გავარკვევ ურთიერთობას. სავარაუდოდ, ტრანსფერზე დამაყენებენ, დარჩენა არც მე მსურს .

**- ქართული კლუბებიდან თუ მიილე შემოთავაზება?**

- რეალური ჯერ არაფერია. ჩავალ უნგრეთში და ვნახოთ, რა იქნება. ბოლო კლუბის მწვრთნელს ვესაუბრე და მითხრა, რომ ყველანაირ პირობას შემიქმნიან. დავილაპარაკებთ და გადაწყდება. ამ მომენტში ნამდვილად არ მაქვს ის ვარიანტი, რაც დამაკმაყოფილებს.

**მაგდა კლდიაშვილი**

ესტონელი პრეზიდენტი საქართველოში

# როგორ განავითარეს ფეხბურთი ბალტიისპირელებმა?

**კოხტლა-იარვეს "ლოტუსი" ესტონეთის პირველი ლიგის (ესილიიგა) აუტსაიდერია. 16 ტურის შემდეგ გუნდი ბოლო, მე-10 ადგილზეა და ლიგიდან გავარდნის საფრთხის წინაშე დგას. ახლა ესტონეთის ჩემპიონატში პაუზაა, რითაც კლუბის პრეზიდენტმა ანდრეი შკალეტამ ისარგებლა და საქართველოში ჩამოვიდა.**



ანდრეი შკალეტამ

როგორც გაირკვა, გაჭირვებაში ჩავარდნილი კლუბის ხელმძღვანელი გაძლიერების იმედად გვესტუმრა: "ესტონეთში მცირერიცხოვანი მოსახლეობაა, სულ 1,3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და ცხადია, საკუთარი რესურსი არ გვყოფნის. გამორჩეული ესტონელები ლიდერ კლუბებში გადადიან ან უცხოეთში მიჰყავთ. პირველ ლიგაში იმიტომაც დავქვეითდით, რომ ერთი ხანობა ფინანსური პრობლემები გვქონდა, მაგრამ ახლა ნელ-ნელა ყველაფერი მოვაგვარეთ და გაძლიერებაზე ვფიქრობთ. სამწუხაროდ, საერთაშორისო კავშირები ძალიან გვაკლია, შედარებით კვალიფიციური ფეხბურთელები რომ მოვიწვიოთ და პრობლემები მოვაგვაროთ. ამიტომ, საქართველოში მეგობრებმა რომ მიმიწვიეს, სიამოვნებით ჩამოვედი. იძულებულებიც ვართ, საკადრო პოლიტიკა შევცვალოთ და პარტნიორები უცხოეთში ვეძებოთ. საქართველოში კი კვალიფიციური ფეხბურთელების არჩევა არ უნდა გაგვიჭირდეს.

ქართველებთან ურთიერთობა შარშან დავიწყეთ, როდესაც 4 ფეხბურთელი მივიწვიეთ – ლაშა ქებაძე, მამუკა რამიშვილი, გიორგი ბერაძე და ბექა კობიაშვილი. ისინი კლუბთან ერთად ემზადებოდნენ. ჩვენს მოთამაშეებს, ფაქტობრივად, მასტერ-კლასი ჩაუტარეს და ნათლად აჩვენეს, რამხელა განსხვავება იყო კლასში, ტექნიკაში და საერთო მომზადებაში. ახლა ოთარ შალამბერიძისა და გოგი ფიფიას აყვანა გვსურს, იმედია, კიდევ ვინმეს მოვძებნი. მათ თავის გამოჩენის შანსი მიეცემათ, ადგილობრივები კი კონკურენციას იგრძნობენ და ეს გუნდს წაადგება".

რა პირობები აქვთ ესტონურ კლუბებს? ამაზე სტუმარი საინტერესო ამბებს გვიყვება: "ესტონეთის გუნდები დიდი ფინანსებით არ გამოირჩევიან. ლიდერებს თუ აქვთ მაქსიმუმ 2-3 მილიონი ევრო, დანარჩენების ბიუჯეტი მილიონ ევროსაც ვერ აღწევს. ამიტომ ჩვენი ნაკრების მოთამაშეები უცხოეთში 4-5 ათას ევროზე თამაშსაც თანხმდებიან. დარწმუნებული ვარ, საქართველოში სიამოვნებით ჩამოვიდოდნენ".

"ლოტუსის" პრეზიდენტი ამას წინათ ტალინში გამართულ შეხვედრაზეც გვესაუბრა, რომელშიც **ალექსანდრე ჩივაძის** გაწვრთნილი საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ესტონელ თანატოლებს 2:1 მოუგო: "თქვენი გუნდი სოლიდურად გამოიყურებოდა. ძალიან გამიკვირდა, რომ გუნდში ისეთი გამორჩეული ინდივიდუალისტები არ იყვნენ, როგორც ადრე. უფრო სწორად, ახლა გუნდურად ითამაშეს და ბურთს არ აყოვნებდნენ. ნაღდად არ მეგონა, ასეთი უპირატესობით თუ მოგვიგებდნენ და ქართველები ასეთი სტილით თამაშს თუ დაიწყებდნენ.

ჩვენთან, "ფლორაში" თქვენი ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ბეგლარიშვილი გამოდის. საერთოდ, ეს კლუბი წმინდა ესტონურ კლუბად არის ცნობილი, ლეგიონერებს არ სწყალობენ და რადგან ძირითადის ფეხბურთელი გახდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივებს ერთი თავით სჯობია. ერთი ხანობა, ხელმძღვანელობასთან პრობლემა ჰქონდა, მაგრამ მოაგვარა და ბოლო დროს გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა".

ევროპის ჩემპიონატის დასრულებულ ციკლში ესტონეთის ნაკრებმა არნახულ წარმატებას მიაღწია და პლეი ოფამდე მივიდა. რის ხარჯზე მიაღწიეს ბალტიისპირელებმა წარმატებას?

"უპირველესად, ეს ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტის, აივარ პოლაკის დამსახურებაა. მან ესტონეთში ფეხბურთის განვითარების პროგრამა შეიმუშავა და წარმატებით განახორციელა. მისი მოთხოვნით, გუნდი ყველა სოფელში შეიქმნა, მიავლინა მწვრთნელები, შერჩეული ფეხბურთელებისგან შედგენილი ნაკრებები კი ტალინში რეგიონების ტურნირში მონაწილეობდნენ.

პარალელურად, პოლაკმა მიიწვია მწვრთნელები გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, ირალანდიიდან, რომლებიც არა მხოლოდ კლუბებსა და ნაკრებებში მუშაობდნენ, არამედ, ადგილობრივი სპეციალისტების გაზრდაზეც ზრუნავდნენ.

დროთა განმავლობაში, თაობა წამოიზარდა, საკმაოდ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი და მწვრთნელი გამოჩნდა. ეს პროცესი წლები გრძელდებოდა და ერთი სეზონიც არ ჩავარდნილა, ევროპელებმა გაგვიზარდეს ფეხბურთელებიც და ესტონელ მწვრთნელთა ახალი თაობაც - პლეი ოფამდე სწორედ ამ ბიჭებმა გაალწიეს.

ცხადია, ფეხბურთის განვითარების პროგრამა ხელისუფლების დახმარების გარეშე ვერ განხორციელდებოდა. ქვეყნის მმართველები დაარწმუნეს, რომ ფეხბურთის განვითარება საუცხოო სოციალური და ბიზნეს-პროექტი იქნებოდა და ასეც მოხდა – ოდესღაც, ესტონეთში არაპოპულარული ფეხბურთი დღეს კალათბურთს უწევს კონკურენციას. მერწმუნეთ, ჩრდილოეთის ცივ ქვეყანაში ეს უზარმაზარი მიღწევაა" – ამბობს შკალეტა.

**მერაბ მამულაშვილი**


## განცხადება

**საფეხბურთო კლუბი თბილისის „ლოკომოტივი" აცხადებს შერჩევას 1998-1999 წლებში დაბადებულ ბავშვებში. შერჩევა ჩატარდება საგურამოს საფეხბურთო ბაზაზე 16 ივნისს. მსურველებს მოემსახურება ავტობუსი, რომელიც გავა მაიაკოვსკის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიიდან 16 ივნისს 10 საათსა და 30 წუთზე (მარშრუტით — თბილისი-საგურამო-თბილისი). შერჩეული ბავშვები გათავისუფლებული იქნებიან გადასახადისგან. კლუბი უზრუნველყოფს ბავშვებს სპორტული ინვენტარით და ტრანსპორტირებით.**

საკონტაქტო ტელეფონები: 551 10-39-89, 593 20-00-92, 599 96-09-29





## ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

# აიაქსი — ოცნების ახდენა

გაგრძელება. დასაწყისი: **ლელო № 110 (13716)**

სეზონის პირველი მატჩი სახლში, „ვიტესთან" გვქონდა. ოლსენმა ძირითადში არ დამაყენა და როცა ანგარიში ჩვენს სასარგებლოდ — 4:1 იყო, მხოლოდ მაშინ შემიშვა. ძალიან მალე, **დინ გორეს** პასით, ჩემი პირველი ოფიციალური გოლი გავიტანე და „აიაქსური" ათვლაც დაიწყო...

შემდეგ თამაშშიც არ მერგო ადგილი ძირითადში და როცა „ფორტუნა სიტარდთან" მეორე ტაიმში შესულმა ორი გოლი გავიტანე, — ორივე, მიქაელ ლაუდრუპის საუცხოო გადაცემით, — ეს საკმარისი აღმოჩნდა **მორტენ ოლსენისთვის**... ამის შემდეგ ყველა შეხვედრა, მისი ხელმძღვანელობით, ძირითადში ჩავატარე.

ერთხელ, პრინციპული თამაშის შემდეგ, ოლსენმა მისაყვედურა, — ჰოლანდიურად მელაპარაკებოდა და კარგად მხოლოდ ერთი სიტყვა მესმოდა, რომელიც სირბილს ნიშნავს. გაბრაზებული ჩანდა და ვიფიქრე, ეტყობა, ჩემი მოძრაობით ან კონდიცით უკმაყოფილოა-მეთქი, არადა იმ თამაშზე, მართლაც, ბევრი ვირბინე, არ გავჩერებულვარ. ვერაფერს მივხვდი, ვიფიქრე, ეს თუ ჩემი ასეთი თამაშით არის უკმაყოფილო, მაგის მოსაწონად შეიძლება ვერც ვითამაშო-მეთქი. ყველაფერი კი პირიქით აღმოჩნდა, თურმე ოლსენმა მითხრა, — შენ გიჟი ხომ არა ხარ, რამდენს დარბიხარ, ეგრე ხომ არც ენერგია შეგრჩება და ვერც გოლის გატანისთვის იქნები მზადო!.. გულზე მომეშვა, დავწყნარდი და აი, მაშინ კი ვიფიქრე, რომ ჩემი „აიაქსური" კარიერა ნამდვილად შეიძლებოდა წარმატებული გამხდარიყო.

44 თამაშში — 37 გოლი დავაგროვე და "ოქროს ბუცს" სულ ცოტათი ავცდი. გუნდის წარმატებაში დიდი როლი ვითამაშე. იმ სეზონში „აიაქსმა" რამდენიმე გამორჩეული მატჩი ითამაშა. ყველა აიაქსელისთვის პრინციპულ შეხვედრაში, „ფეიენორდთან" — 4:0 მოვიგეთ და აქედან ერთი გოლი მე გავიტანე, სამი დანარჩენი კი ჩემი გადაცემებით გავიდა. „ფეიენორდთან" ჩემმა წარმატებულმა თამაშმა გულშემატკივარი ბოლომდე დაარწმუნა, რომ მე ნამდვილ „აიაქსელობას" შევძლებდი. გულშემატკივარმა მიმიღო და „აიაქსური" კარიერის ბოლომდე არ მივუტოვებივარ.

ჩემპიონატის და თასის გარდა ჩვენ უეფაზეც საკმაოდ კარგად გამოვდიოდით. „მარიბორი" ფეხბურთისთვის უჩვეულო ანგარიშით, - 9:1 დავამარცხეთ!.. მე ჰეთ-თრიკი გავაკეთე, შემდეგ იყო „ბოხუმი", სადაც ორი გოლი გავიტანე, ერთი სახლში და ერთიც გერმანიაში. წილისყრამ იტალიური „უდინეზე" გვარგუნა. ამსტერდამში მინიმალური ანგარიშით გავიმარჯვეთ — 1:0. გოლი პორტუგალიელმა **დანიმ** გაიტანა, ხოლო საპასუხო შეხვედრისთვის დავშავდი, ერთ-ერთ ვარჯიშზე **სანდი ოლისე** დამეჯახა და ჩემი იტალიაში თამაში, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. გუნდს იტალიაში მაინც წავყევი. ბოლო ვარჯიშზე გამაყუჩებელი ნემსი გავიკეთე და ისე ვივარჯიშე. ტკივილმა მიკლო — გადაწყდა, რომ თამაშის წინ ნემსს გავიკეთებდი და ისე ვითამაშებდი. მეორე დღეს შვიდი ნემსის გაკეთება მომიწია, რომ ტკივილი საერთოდ გამქრალიყო.

თამაშის დამთავრებას 25 წუთი აკლდა, ანგარიში 2:0 იყო „უდინეზეს" სასარგებლოდ. ოლსენმა **სიბონი** შემოიყვანა და მე მარცხნივ გადამწია. სულ რამდენიმე წუთში ორი მცველი ჩამოვიშორე და ძალზე საჭირო გოლი გავიტანე!.. ამ თამაშს ამსტერდამში **ჯემალი** და **აჩი** უყურებდნენ. ჩემი გოლის შემდეგ ორივე, ტელევიზორის წინ თამაშის ბოლომდე მუხლებზე იდგა და ღმერთს მატჩის არსებული ანგარიშით დამთავრებას ევედრებოდა!.. ეს გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა და შემდეგ ეტაპზე გავედით. ზამთრის შესვენებამდე კიდევ ერთი პრინციპული მატჩი ვითამაშეთ ჩვენს უშუალო კონკურენტ პსვ-სთან და 3:4-ით დავმარცხდით. ანგარიში მე გავხსენი, მაგრამ მოწინააღმდეგემ ჩვენზე უკეთ ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

საშობაო არდადეგებს მთელი ევროპა ზეიმობს და ამ დროს ყველაფერი განსაკუთრებით ლამაზია, მაგრამ ჩვენ მაინც თბილისში ჩამოსვლა გადავწყვიტეთ. მართალია, ჩემი ქალაქი ჯერ კიდევ დანგრეული იყო, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს, ის ჩემია და ყველას მირჩევნია... რამდენი ხნითაც არ უნდა ვიყო წასული, ყოველთვის თავისი სითბოთი, სილამაზით და, რაც მთავარია, გემრიელად იცის დახვედრა და გულში ჩახუტება... ამიტომაც ყოველთვის მიჭირს მასთან განშორება და ყოველთვის უბედნიერესი ვარ მასთან შეხვედრით...

იცით, რომელია ჩემთვის ყველაზე ძვირფასი „მაიკა"? „ბრედასთან" პირველი მატჩის შემდეგ **მე და აჩიმ** რომ გავცვალეთ... დღემდე არ გამირეცხია, მინდა ზუსტად ისეთი იყოს, როგორიც მომცა და მისი სუნი ასდიოდეს...

ეს თამაში ორივესთვის ურთულესი აღმოჩნდა. ვერც აჩი და ვერც მე ვერასოდეს წარმოვიდგენდით, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ მოგვიწევდა თამაში. ჩვენ ხომ მთელი ცხოვრება ერთ გუნდში ვთამაშობდით და რაც გაგვაჩნია, — გამარჯვებების ჩათვლით, — ორივეს გვეკუთვნის. თბილისიდან მთელი ოჯახი დაირაზმა და ამ მატჩის საყურებლად ჩამოვიდა ამსტერდამში. ჩემი მშობლები დაბნეულები ჩადნენ, არ იცოდნენ, ვისთვის ეგულშემატკივრათ. არც პრესას დაუტოვებია ეს ფაქტი ყურადღების გარეშე და საკმაოდ დიდი გადაცემა მიუძღვნა ტყუპებს. ბოლოს, ჩვენებმა „ბრედას" გულშემატკივრობა გადაწყვიტეს. ამას იმით ხსნიდნენ, რომ „აიაქსი" ჩემპიონობას მაინც შეძლებდა, აჩის კი „აიაქსთან" გამარჯვება დარჩებოდა. თამაში მაინც „აიაქსის" გამარჯვებით დასრულდა... ტყუპებმა ვერაფრით გამოვიჩინეთ თავი, ალბათ გაგვიჭირდა ამ ყველაფრის აღქმა... მინდორზე რაღაც დაბნეულები დავრბოდით.

სეზონი, მართლაც, წარმატებული აღმოჩნდა, ჩემპიონობას ველარავინ შეგვეცილებოდა. მართალია, უეფას თასის მეოთხედფინალში მოსკოვის „სპარტაკმა" დაგვამარცხა, მაგრამ ამას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია, როტერდამში, ჰოლანდიის თასის ფინალში — პსვ გაგვენადგურებინა და დუბლი შეგვესრულებინა. **რონალდ ვატეროუსი, არტურ ნიუმანი, ფილიპ კოკუ, იაპ სტამი, ლუკ ნილისი, ზენდენი** და მწვრთნელი — **დიკ ადვოკატი**. ამ გუნდის დამარცხება 5:0-ით შევძელით. მე ერთი — მართალია მეხუთე, მაგრამ ამ თამაშის ყველაზე ლამაზი გოლი გავიტანე...

უკან დაბრუნებულებს მთელი ამსტერდამი გვეგებებოდა... საოცარი სანახაობაა, როდესაც ათასობით გულშემატკივარი შენს სახელს ყვირის და გალმერთებს!.. ვგრძნობდი, რომ ყველა იმ შეძახილის, აპლოდისმენტის და დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი გმირი მეც ვიყავი!.. ეს ჩემი ოცნების ახდენა იყო, ის ოცნება ამიხდა, რისთვისაც ძალიან ბევრი რამ დავთმე!.. ზეიმი წვეულებაში გადაიზარდა და... ჩემი მაგიდაზე ცეკვით დასრულდა...

მსოფლიო ჩემპიონატი ახლოვდებოდა და, რაღა თქმა უნდა, უმეტესობა თავიანთი ნაკრებების ღირსებას დაიცავდა. მანამდე კი, კომერციული ტურნე იყო ჰონგ-კონგში, სადაც თავისუფალი დრო ბევრი გვექნებოდა. ასეთი სახის მოგზაურობისას შეიძლება უფრო კარგად გაიცნო ბიჭები, თუნდაც ისინი, ვისთანაც მთელი სეზონი ითამაშე. ხელმძღვანელობაც მეტ თავისუფლებას გაძლევს. შეგიძლია — რესტორანში წახვიდე, ქალაქში გაისეირნო... მაინც შებოჭილი ვიყავი, არ ვიცოდი, რას ნიშნავდა სანახევროდ ოფიციალური თავისუფლება.

დილის ექვს საათზე უჩვეულო ხმაურმა გამაღვიძა და როდესაც ოთახის კარი გამოვაღე, დავინახე, — ჩვენებს ღვინის დაცლილი ბოთლები დაუწყვიათ და ფორთოხლით ხელში, სასტუმროს კორიდორში, ბოულინგს თამაშობენ...



ასეც ყოფილა, ტყუპები სხვადასხვა მხარეს: აჩი (მარცხნივ) - ბრედაში, შოთა - აიაქსში

ევროპის ერთ-ერთი ტიტულოვანი გუნდი და ამდენი გადარეული, კარგი სანახავი იყო... მეც სასწრაფოდ გადავიცვი „მაიკა" და მათ შევუერთდი... ღამე არავის გვეძინა, ხან რომელ ბარს ვსტუმრობდით და ხან რომელს... გადაულებელი წვიმების გამო, თამაშიც გადაიდო, რასაც ყველა სიხარულით შეხვდა. საკმაოდ კარგი დრო გავატარეთ, ბიჭებსაც დავუახლოვდი...

ჩემი პირველი სეზონი ამ მოგზაურობით დასრულდა. გადაწყდა, რომ **მიქაელ ლაუდრუპი** დაგვტოვებდა, რამაც ყველა დაგვამწუხრა, მასთან თამაში ხომ ყველასთვის დიდი სიამოვნება იყო. თან მე ჩემსას ვდარდობდი, ვინ მომამარაგებდა იმ საოცარი გადაცემებით, რომლებითაც მიქაელმა ასე გამანებივრა. მისი გადარწმუნება ვერავინ შეძლო. მეც შევეგუე ამ ფაქტს, აბა, სხვა რა გზა მქონდა.

საქართველომ ღირსეულად მიმიღო... „სარბიელის" გამოკითხვით, ერთხმად, საუკეთესო ფეხბურთელად მაღიარეს და შვებულებაც ისეთივე კარგი და ლამაზი აღმოჩნდა, როგორიც მთელი წინა სეზონი.

მომდევნო წელს თურმე ჩემთვის ბევრი გამოწვევა მოჰქონდა... პირველი და უმნიშვნელოვანესი, — **გიო ქინქლაძე**, ჩემი ბავშვობის მეგობარი, რომელშიც „აიაქსმა" რეკორდული თანხა — 16.000.000 გადაიხადა და ჩემპიონთა ლიგა. ვინმეს ათი წლის წინ რომ ეთქვა, არველაძე და ქინქლაძე „აიაქსში" ერთად ითამაშებენო, ალბათ ასათიანზე გააქანებდნენ, მაგრამ ცხოვრება ბევრ სხვა გამოწვევებში გვითრევდა და მეც დიდი მონდომებით ველოდი მათ...

გაგრძელება იქნება

C ჯგუფი. II ტურის წინ

# ევრო 2012

# შურისძიების წყურვილი

## ისტორია იბერიელების მხარეს, ოპტიმიზმი - კელტების



სერხიო რამოსი და ხავი მარტინესი ხანდახან ერთობიან კიდეც



იკერ კასილიასი 10 წლის წინ ნამდვილი გმირი იყო

**14.06. გდანსკი. არენა გდანსკი. 22:45**

**ესპანეთი-ირლანდია**

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: დანი (?) - ფაბრეგასი (?)

**ბოლო ხუთი მატჩი**

| ესპანეთი | |
|---|---|
| ესპანეთი-ვენესუელა | 5:0 |
| ესპანეთი-სერბეთი | 2:0 |
| ესპანეთი-ს. კორეა | 4:1 |
| ესპანეთი-ჩინეთი | 1:1 |
| **ევრო 2012** | |
| ესპანეთი-იტალია | 1:1 |

| ირლანდია | |
|---|---|
| ირლანდია-ესტონეთი | 1:1 |
| ირლანდია-ჩეხეთი | 1:1 |
| ირლანდია-ბოსნია | 1:0 |
| უნგრეთი-ირლანდია | 0:0 |
| **ევრო 2012** | |
| ირლანდია-ხორვატია | 1:3 |

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ესპანეთი:** კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პიკე, ალბა - ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო - სილვა, ჩავი, ინიესტა - ტორესი.

**ირლანდია:** გივენი - ო'ში, დანი, სტ. ლეჯერი, უორდი - დაფი, ენდრიუზი, უელანი, მაკგიდი - კინი, უოლტერსი.

**არბიტრი:** პედრო პროენშა (პორტუგალია)

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანელებს თითქოს ცივი წყალი გადაასხეს - პირველივე მატჩში შვეიცარიელებმა აჯობეს. მერე და მერე **ვისენტე დელ ბოსკეს** მანქანა ამუშავდა და თანაც როგორ, მუნდიალის ტიტული ხომ "ფურია როხას" დარჩა და ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონს ოფიციალურ მატჩებში ზედიზედ 14-მატჩიანი მოგებათა სერია დაუგროვდა, რომელიც **პრანდელის** ახალმა იტალიურმა "კატენაჩომ" შეიწირა. ასე რომ, ესპანელები დღეს გდანსკში ევროზე პირველი თამაშის მოსაგებად გავლენ.

### ტორესი ფაბრეგასის ნაცვლად?

ესპანელთა ბანაკში ტრავმას უჩივის **სესკ ფაბრეგასი**, რომელიც შეიძლება **ფერნანდო ტორესით** შეცვალოს მწვრთნელმა. მით უფრო, რომ ვისენტე დელ ბოსკემ ისედაც მედიის რისხვა დაიმსახურა ცრუ 9 ნომრით მოედანზე გასვლისთვის. ირლანდიელებში ერთი ცვლილება ივარაუდება - **კევინ დოილი** ინერტული იყო, მაშინ როცა **ჯონ უოლტერსი** ცოცხლად ჩაერთო ხორვატიასთან თამაშში. **რიჩარდ დანს** ტრავმა აქვს, მაგრამ ამბობს, რომ ტკივილითაც შეძლებს თამაშს. **შეი გივენმა** და **დარონ გიბსონმა** ერთი დღე გამოტოვეს ვარჯიში, მაგრამ მწვრთნელი ამბობს, რომ საშიში არაფერია.

### სუვონის მატჩიდან 10 წელი გასულა

როცა ესპანეთისა და ირლანდიის ნაკრებთა დაპირისპირებაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, ზუსტად ათი წლის წინანდელი გვახსენდება, როცა კორეულ სუვონში ესპანეთის ნაკრებმა პენალტების სერიაში დაამარცხა ირლანდია და მეოთხედფინალში გავიდა. მას მერე ამ ორ ნაკრებს ერთმანეთში არ უთამაშია. ირლანდიელებს კი იმ თამაშისთვის შური აქვთ საძიებელი.

გავიხსენოთ, რა მოხდა მაშინ და რა გმირობები ჩაიდინა "ფურია როხას" ახლანდელმა კაპიტანმა **იკერ კასილიასმა**, რომელიც მაშინ 21 წლის იყო. **ფერნანდო მორიენტესმა** მე-8 წუთზე დააწინაურა ესპანეთი, ხოლო ბოლო წუთზე **რობი კინმა** პენალტით გაათანაბრა - 1:1. იკერმა ძირითად დროში **იან ჰარტის** პენალტი მოიგერია, პენალტების სერიაში კი **დევიდ კონოლისა** და **კევინ კილბეინს** აულო.

მაშინ ესპანეთს **ხოსე ანტონიო კამაჩო** წვრთნიდა და იმ მატჩში მონაწილეთაგან დღეს შეიძლება ვიხილოთ ორივე გოლკიპერი (კასილიასი, **შეი გივენი**), **დამიენ დაფი** და რობი კინი. რიჩარდ დანი მაშინ სათადარიგო იყო, ისევე როგორც - **ჩავი**.

აქამდე ეს ორი ნაკრები ერთმანეთს 24-ჯერ დაუპირისპირდა. ესპანეთი წინაა - 13 მოგება 4 მარცხის წილ. ოფიციალურ თამაშებში თანაფარდობა ისევ ესპანელების მხარესაა - 8 მოგება, 4 ფრე და 2 წაგება. ევროპის ჩემპიონატებზე ისინი 6-ჯერ დადგნენ პირისპირ, ყოველთვის საკვალიფიკაციო ეტაპზე (ესპანეთი: 4 მოგება და 2 ფრე). ფინალურ ეტაპზე კი ესპანეთი და ირლანდია პირველად ეთამაშებიან ერთმანეთს. როგორც ხედავთ, წარსული "ფურია როხას" მხარესაა. ის კი არა, მთელი 30 წელიწადი ირლანდიის ნაკრებს ყველაზე დიდი მარცხი ესპანეთისგან ჰქონდა ნაწვნევი - 1952 წელს კელტებმა 0:6 წააგეს იბერიელებთან, 1982-ში კი შედეგი ბრაზილიელებთან "გააუმჯობესეს" - 0:7.

### ოპტიმისტი კინი

*"მიზეზი არა მაქვს, რომ არ ვიყო ოპტიმისტი. რატომაც არ შეიძლება ესპანელების დამარცხება"*, - ამბობს ირლანდიელთა კაპიტანი რობი კინი, რომლის წინააღმდეგაც აშკარა უხეშობაზე დახუჭა ხორვატიასთან მატჩის რეფერიმ თვალი - *"ყველამ ვიცით, რომ ხუთშაბათს იოლი გასეირნება არ გველის. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მეტოქე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. მაგრამ ეს არ არის პესიმიზმის საფუძველი. ჩვენ ადრეც გვითამაშია მაგრად ტოპ-გუნდების წინააღმდეგ და ახლაც შევძლებთ"*.

**ფაქტები**

- **ჩაბი ალონსომ** 16 წლის ასაკში ერთი წელიწადი გაატარა ირლანდიაში. კოლეჯში გაცვლითი პროგრამით მოხვდა და იქ ინგლისურ ენას სწავლობდა. ირლანდიაში მან გაელური ფეხბურთიც დააგემოვნა. საბოლოოდ, ეს გამოცდილება მას ძალზე გამოადგა "ლივერპულში" თამაშისას და ჩამოუყალიბდა ძალისმიერი თამაშის სტილი, რომელიც უფრო ბრიტანელებისთვისაა დამახასიათებელი.
- ბოლო ესპანელი, რომელმაც შეი გივენს გაუტანა, ფერნანდო ტორესია - 31 მარტს "ჩელსიმ" 4:2 მოუგო "ასტონ ვილას", ტორესმა კი 90-ე წუთზე გამოიჩინა თავი.
- იტალიასთან მატჩში იკერ კასილიასმა ხუთჯერ გადაარჩინა გუნდი, ზუსტად იმდენჯერ მოუწია მას ნაკრების გადარჩენა მთელ საკვალიფიკაციო კამპანიაში.
- იტალიასთან მატჩში 100-ზე მეტი პასი გააკეთეს ჩავიმ (113) და **სერხიო ბუსკეტსმა** (115). აქამდე ევროპის ჩემპიონატებში ეს მხოლოდ ერთმა ესპანელმა შეძლო - **ხოსეპ გვარდიოლამ**.
- ვისენტე დელ ბოსკეს გუნდმა 672 ზუსტი პასი გააკეთა, იტალიამ - 341.
- ხორვატიასთან წაგებით **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდმა 14-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა.
- **ეიდენ მაკგიდიმ** 50-ე მატჩი ითამაშა ნაკრებში. დღეს 50-ედ მოედანზე კევინ დოილი გამოვა.
- ირლანდიელ **ჯეიმს მაკლინსა** და ესპანელ **ხუანფრანს** ჯერ ერთხელაც არ უთამაშიათ ნაკრებში ოფიციალურ მატჩებში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ვინ გაამართლებს გაცემულ ავანსებს?

## ბალოტელი ისევ ძირითადში მოიაზრება

**14.06. პოზნანი. მუნიციპალური სტადიონი. 22:45**

**იტალია-ხორვატია**

დისკვალიფიკაცია: არავინ.
ტრავმა: ბარცალი (იტალია).

**ბოლო 5 მატჩი**

| იტალია | |
|---|---|
| იტალია-რუსეთი | 0:3 |
| იტალია-აშშ | 0:1 |
| იტალია-ურუგვაი | 0:1 |
| პოლონეთი-იტალია | 0:2 |
| **ევრო 2012** | |
| ესპანეთი-იტალია | 1:1 |

| ხორვატია | |
|---|---|
| ნორვეგია-ხორვატია | 1:1 |
| ხორვატია-ესტონეთი | 3:1 |
| ხორვატია-შვედეთი | 1:3 |
| ხორვატია-თურქეთი | 0:0 |
| **ევრო 2012** | |
| ირლანდია-ხორვატია | 1:3 |

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იტალია (3-5-2):** ბუფონი – ბონუჩი, დე როსი, კიელინი – მაჯო, მოტა, პირლო, მარკიზიო, ჯაკერინი – კასანო, ბალოტელი.

**ხორვატია (4-4-2):** პლეტიკოშა – სრნა, ჩორლუკა, შილდენფელდი, სტრინიჩი – რაკიტიჩი, ვუკოევიჩი, მოდრიჩი, პერიშიჩი – იელავიჩი, მანჯუკიჩი.

**მსაჯი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი).



ანტონიო დი ნატალე, ანტონიო კასანო და მარიო ბალოტელი ხორვატებთან ჯახისთვის ემზადებიან

იტალიის ნაკრებმა ესპანელების წინააღმდეგ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა – ბევრმა, იქამდე ჩამოწერილი "აძურა" ფავორიტებშიც კი დააბრუნა და შესაბამისად, ავანსებიც ბლომად გაიცა. მოკლედ, **ჩეზარე პრანდელის** შეგირდები ოთხი-ხუთი დღეა ქება-დიდებაში არიან და არა მარტო იმიტომ, რომ ესპანელებთან ქულა აიღეს, უფრო იმ თამაშის ხარისხის გამო, რომელიც ჩემპიონატის უდავო ფავორიტს შესთავაზეს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ ავანსებს გამართლება სჭირდება და იტალიელებმა თავიანთი ძალა სწორედ ხორვატებთან უნდა წარმოაჩინონ – საკმაოდ ძლიერ გუნდთან, რომელმაც თავის მხრივ, პირველ შეხვედრაში ბევრი ალაფრთოვანა. **სლავენ ბილიჩის** შეგირდებმა ირლანდიას არ დაუტოვეს შანსი და პირველი სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში. ყველა თანხმდება იმაზე, რომ თუ ვინმე დაარღვევს ესპანურ-იტალიურ იდილიას, ეს სწორედ ხორვატიაა და გამომდინარე აქედან, დღევანდელი პაექრობა უაღრესად დიდ ინტერესს იწვევს. მით უმეტეს, ესპანეთის ჯგუფში ჩარჩენის ალბათობა ძალიან დაბალია და გამოდის, რომ ხორვატია-იტალიის დაპირისპირება გადამწყვეტი ყოფილა...

იტალიელთა ბანაკში ყველაზე აქტუალური თემა კვლავაც **ანდრეა ბარცალის** ჯანმრთელობის მდგომარეობაა – უკანასკნელი ცნობით, "იუვენტინომ" ტრავმა პრაქტიკულად მოიშუშა და უკვე გუნდთან ერთადაც ივარჯიშა; თუმცა, ჯერ მაინც არაა ოპტიმალურ ფორმაში და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ხორვატებთან პაექრობას გამოტოვებს. სამაგიეროდ, უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბარცალი ირლანდიელების წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებს. სხვა მხრივ, აპენინელებთან სრული სიმშვიდეა – ყველა კარგ ხასიათზეა, მათ შორის **მარიო ბალოტელი**, რომელიც იტალიაში საყოველთაო გაკიცხვის სუბიექტი გახლავთ; დიახ, მარიოს სწორედ იმ გაცუდებული მომენტისთვის აკრიტიკებენ, რის შემდეგაც პრანდელიმ მყისვე გაიყვანა მინდვრიდან.

"გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, სენიორ ჩეზარე არც ტაქტიკას შეცვლის და არც შემადგენლობას – იტალიელები ხორვატებს 3-5-2 სქემით შეერკინებიან, შეტევის წინა ხაზზე კი კვლავაც **ანტონიო კასანოსა** და მარიო ბალოტელის ტანდემს ვიხილავთ. ბუნებრივია, თამაშში ჩართვის უპირველესი კანდიდატი **ანტონიო დი ნატალე** გახლავთ, რომელიც ესპანელებთან გოლით გამოირჩა. არის ვარაუდი, რომ **ემანუელე ჯაკერინის** მარცხენა ფრთაზე **ფედერიკო ბალცარეტი** ჩაენაცვლება, მაგრამ პრანდელის სიტყვები სხვა რამეზე მეტყველებს – იტალიის ნაკრების თავკაცმა, ჯაკერინი ყველასგან გამოარჩია და განაცხადა, რომ მან საუკეთესო თამაში ჩაატარა კარიერაში.

რაც შეეხებათ ხორვატებს, ისინი მორიგი გამარჯვების მოსაპოვებლად ემზადებიან და აცხადებენ, რომ მოედანზე მხოლოდ სამი ქულისთვის გავლენ. ამაში არის ლოგიკა, რადგან ჯგუფის ბოლო შეხვედრაში ბალკანელები ესპანელებს ხვდებიან და იქ რომ ყველაზე მეტად გაუჭირდებათ ქულების ალება, ცხადზე ცხადია; შესაბამისად, ბილიჩის შეგირდებს იტალიასთან პაექრობაში სურთ საქმის მოთავება და საამისოდ ყველაფერს გააკეთებენ. ხორვატთა თავკაცი სავარაუდოდ 4-4-2 ტაქტიკას აირჩევს და ბურთის კონტროლზე გააკეთებს აქცენტს – ვნახოთ, დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება...

**კომენტარები**

**სლავენ ბილიჩი (ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი):** *"იტალიასთან თამაში ყოველთვის რთულია და გამონაკლისი არც მოახლოებული პაექრობა იქნება. ყველამ კარგად ვნახეთ, რომ "აძურამ" ესპანეთის ნაკრებს ტოლი არაფერში დაუდო და რიგ შემთხვევებში, ჯობდა კიდეც. იტალია ფავორიტია, ეს საკამათო არაა, მაგრამ იოლად არც ჩვენ დავთმობთ რამეს. ფრე შესაძლოა იყოს კიდეც მისაღები შედეგი, მაგრამ მოედანზე ყოველთვის სამი ქულისთვის გავდივართ და გამონაკლისი არც აპენინელებთან პაექრობა იქნება. ჩვენი კოზირი? – ჩემი მოკრძალებული მოსაზრებით, უფრო შეთამაშებული გუნდი გვყავს, ვიდრე იტალიელებს. ჩვენ ექვსი წელია ერთად ვართ და სწორედ ეს არის მთავარი კოზირი"*.

**ვედრან ჩორლუკა (ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელი):** *"ძლიერი გუნდების წინააღმდეგ, ყოველთვის კარგად ვთამაშობთ და დარწმუნებული ვარ, რომ ამჯერადაც ასე იქნება. იტალიას მეტოქის მოდუნება სჩვევია და შემდეგ, გადამწყვეტი დარტყმის მიყენება – ამიტომ, ყურადღებით გვმართებს ყოფნა, რათა ფატალური შეცდომა არ დავუშვათ. მჯერა, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება – ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ"*.

**ჩეზარე პრანდელი (იტალიის ნაკრების მწვრთნელი):** *"ხორვატიის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია და ურთულესი თამაშის მოლოდინში ვარ. ბალკანელები სწრაფად გადადიან დაცვიდან შეტევაში და თითოეულ ეპიზოდში ბოლომდე იხარჯებიან. ძალიან უხერხული მეტოქეა, ეს ფაქტია და ამიტომ, საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე უნდა წარმოვაჩინოთ. იქნება თუ არა მარიო ბალოტელი ძირითად შემადგენლობაში? – წარმოდგენა არ მაქვს"*.

**ლაშა წიკლაური**

# ევრო 2012




# მშვიდობის მარში, რომელიც ომით დამთავრდა







**პოლონურმა პოლიციამ სამშაბათს რუსეთ-პოლონეთის მატჩამდე რუსეთის 20 მოქალაქე დააკავა, რომელთაც მასობრივი არეულობების მოწყობაში ედებათ ბრალი. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა ვარშავაში რუსეთის დამოუკიდებლობის დღისადმი (ისე, საინტერესოა, ვისგან დამოუკიდებლობის?) მიძღვნილი მშვიდობიანი მარში მოაწყვეს, რომელზეც ქალაქის მერიისგან წინასწარი ნებართვა მიიღეს.**

სამართალდამცავთა ცნობით, მსვლელობაში 3 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზატორებმა ვარშავის მერიას პირობა მისცეს, რომ ფანები პოლონეთში აკრძალულ საბჭოთა სიმბოლიკას არ გამოიყენებდნენ, მათ პირობა დაარღვიეს - ნამგალი და ურო ძალიან ბევრი ადამიანის მაისურებზე იყო გამოსახული. რუსებს გზადაგზა სხვა ქვეყნის გულშემატკივრებმა (უმეტესად პოლონელებმა) ქვების სროლა დაუწყეს. მსვლელობა ვისლის ხიდთან იძულებული გახდა, შეჩერებულიყო. პოლიციამ სტუმრებს სთხოვა, რომ ორგანიზებული მსვლელობა დაშლილიყო და ხალხს სტადიონისკენ სვლა პატარ-პატარა ჯგუფებად გაეგრძელებინა. მიზეზი ცხადი იყო: "ნაციონალურ სტადიონთან" პოლონელ გულშემატკივართა კიდევ უფრო დიდი ჯგუფი იყო შეკრებილი და კიდევ უფრო დიდი არეულობის სერიოზული წინა პირობა არსებობდა. დაშლაზე რუსებმა უარი განაცხადეს. მთავარი არეულობებიც სწორედ აქ დაიწყო. აშკარაა, რომ თავდასხმაში გარკვეული ორგანიზებული ჯგუფი მონაწილეობდა, რადგან BBC-ის ცნობით, მათ შორის ბევრს ეცვა მაისური წარწერით "პატრიოტი". ისინი ხმამაღლა სკანდირებდნენ, "გავრეკოთ წითელი ხროვა". მასპინძელთა განრისხება ყველაზე მეტად იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ 8 ივნისს, ვროცლავში ჩეხეთთან მატჩის შემდეგ რუსმა ვაიგულშემატკივრთა დიდმა ჯგუფმა სტადიონის 4 სტიუარდი სასტიკად სცემა. ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა სერიოზული დაზიანებები არ აღმოაჩნდათ. ვროცლავის ჩხუბის კადრები იუთუბიზეც დაიდო, რისი ნახვის შემდეგაც პოლონელების მრისხანებამ პიკს მიაღწია. პოლიციამ წყლის ჭავლი და ხელკეტები ჩართო საქმეში, განსაკუთრებულად საშიში თავდამსხმელების გასანეიტრალებლად კი ხმოვან-მანათობელი ხელყუმბარები გამოიყენა. ხულიგნებს საბოლოოდ უკან დახევა მოუხდათ. დაკავებულია სულ 180-მდე ადამიანი, აქედან 150 მასპინძელი, 20 რუსი, 1 ესპანელი და 1 უნგრელი. დაკავებულთაგან 33 ადამიანი გამოსაფხიზლებელში გადასაყვანი გახდა. წინასწარი მონაცემებით, ფანების შეტაკებისას სერიოზულად არის დაზიანებული 10 ადამიანი, მათ შორის პოლიციის 1 ოფიცერი, 2 რუსი, 1 გერმანელი და 7 პოლონელი. ისინი საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

## ცეცხლზე ნავთი

შეგახსენებთ, რომ რუსებმა ჯერ კიდევ ვროცლავის სტადიონზე სტიუარდების ცემამდე "გამოიჩინეს თავი". 8 ივნისს, ვარშავის ცენტრში ერთ-ერთ ბარში, მთვრალმა რუსმა ტურისტებმა თურქებთან იჩხუბეს. მიზეზი ბარის სტუმარი გოგონა გახდა, რომელსაც ისინი სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ჩხუბმა ათას დოლარზე მეტი ღირებულების საგნები შეიწირა. პოლიციამ ჩხუბში მონაწილე ოთხივე ადამიანი დააკავა და მხოლოდ გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლა.

ეს ყველაფერი თამაშამდე ხდებოდა. ჩხუბი და მასობრივი არეულობა შეხვედრის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა. პოლონელმა ფანებმა ამჯერად გულშემატკივართა ზონებთან განლაგებულ იმ პოლიციელებს შეუტიეს, რომლებიც ძირითადად ისევ რუსებს იცავდნენ. სამართალდამცავებს ამჯერად უკვე ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ტყვიების გამოყენება დასჭირდათ. სტადიონის დაცვამ დააკავა 2 რუსი, რომლებიც ტრიბუნებზე ცეცხლის გაჩენას ცდილობდნენ. ყოველივეს მერე პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააძლიერა იმ სასტუმროს დაცვა, სადაც რუსეთის დელეგაცია ცხოვრობს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ინგლისის ნაკრები




სკოტ პარკერი ჯერჯერობით ტკივილგამაყუჩებლებით თამაშობს

# პარკერი მოთმინების ზღვარზე

ინგლისის ნაკრების ცენტრალურმა ნახევარმცველმა **სკოტ პარკერმა** გულწრფელად განაცხადა, რომ ჯერ კიდევ აპრილში, პრემიერლიგის 35-ე ტურში "ქუინზ პარკთან" ტრავმირებული კოჭი სერიოზულად აწუხებს და თამაშს მხოლოდ ტკივილგამაყუჩებლების წყალობით ახერხებს. ასე რომ, **როი ჰოჯსონის** გუნდის ნახევარდაცვას კიდევ უფრო სერიოზული პრობლემები ემუქრება. შეგახსენებთ, რომ ამავე პოზიციაზე გუნდმა ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ორი წამყვანი ფეხბურთელი - **ფრენკ ლემპარდი** და **გარეთ ბერი** დაკარგა. თუკი თამაშს პარკერიც ვერ შეძლებს, ინგლისს **ჯორდან ჰენდერსონზე** ან **ჯეიმს მილნერზე** მოუწევს დაყრდნობა. *"მე და სტივი მომდევნო მატჩებშიც გვერდიგვერდ ვითამაშებთ და ცენტრალურ ზონას დავკეტავთ. არა მგონია, ახლა გუნდში რამე ცვლილების შეტანა გამართლებული იყოს. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ. არც საფრანგეთთან მინდოდა შეცვლა, მაგრამ ვიგრძენი, რომ მაინც მომიწევდა, რადგან ტკივილს ველარ ვუძლებდი. სკამზე დაჯდომა იმ წუთში საუკეთესო გამოსავალი იყო, მით უფრო, რომ ჯგუფში კიდევ 2 მატჩი გვაქვს სათამაშო,"* – განუცხადა პარკერმა "ტელეგრაფს". ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა **ჯო კოულსაც**, ვინც გუშინდელი ვარჯიში დროზე ადრე მიატოვა. ჯერჯერობით არავინ წერს, რისი დაზიანება აქვს ფეხბურთელს და რამდენად სერიოზულია. 15 ივნისს შვედებთან მისი მონაწილეობა ავტომატურად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

ინგლისის ნაკრების 18 წლის განაპირა ნახევარმცველმა **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენმა** ფრანგებთან შეხვედრაში მოლოდინი ვერ გაამართლა და იშვიათი მომენტების გარდა **უგო ლორისის** კართან სიტუაციას ვერ ამწვავებდა. უპრინციპულეს შეხვედრაში ნერვიულობა და თამაშის ჩაგდება მის ასაკში გასაკვირი არც არის. სწორედ ამიტომ ამბობს ფეხბურთელი, რომ არ იცის, შვედებთან მატჩში შეინარჩუნებს თუ არა ადგილს ძირითად შემადგენლობაში. *"ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. რაც მევალება, იმას ვაკეთებ, თავდაუზოგავად ვვარჯიშობ. თუკი შანსი კიდევ მომეცემა, შევეცდები, გამოვიყენო. მესმის, რომ ჩვენთან დიდი კონკურენციაა და ჩემს ადგილზე თამაში კიდევ რამდენიმე ძლიერ ფეხბურთელს შეუძლია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისეთ ინტენსიურ ტურნირში, როგორიც ევროპის ჩემპიონატია, ფეხბურთელებზე უზარმაზარი ფიზიკური დატვირთვა მოდის,"* – განაცხადა ოქსლეიდ-ჩემბერლენმა BBC-ისთან ინტერვიუში.

კუნძულელთა ნაკრებზე კომენტარი გააკეთა გუნდის ყოფილმა დამრიგებელმა **ფაბიო კაპელომაც**: *"ინგლისი-საფრანგეთის მატჩისას ემოციების ტყვეობაში ვიყავი. ინგლისი დიდი ხანია, ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა, რადგან ამ გუნდთან მუშაობა წარმოუდგენელ სიამოვნებას მანიჭებდა. მქონდა შეგრძნება, რომ უზარმაზარი პაუზის შემდეგ მასთან ერთად ტიტულის მოგების შანსი მქონდა. ძალიან რთულია ტელევიზიით ისეთი თამაშების ყურება, სადაც სათადარიგოთა სკამზე შენ უნდა მჯდარიყავი და გუნდისთვის ისე გეხელმძღვანელა. იმედია, მესამე ტურის შემდეგ ჰოჯსონი ბედნიერი იქნება. როის წარმატებებს ვუსურვებ".*

**ლევან ბიბილაშვილი**

იტალიის ნაკრები

# კასანომ ბოდიში კი მოიხადა, მაგრამ...

## ...ნეტა, ის ორი გეი ვინლა იყო, ჰა?

იტალიის ნაკრების „ათიანმა" **ანტონიო კასანომ** გუშინ იტალიელ (და არა მარტო) ჰომოსექსუალებს საჯაროდ მოუბოდიშა იმის გამო, რაც ორიოდე დღის წინ თქვა. თუმცა „აძურას" მეათე ნომერს ბოდიშის მოხდისას სახეზე ეწერა, ამას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებ, რომ რატომღაც ასეა საჭიროო. ახლავე გაგარკვევთ:

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ცნობილმა იტალიელმა გეი-ტელერადიოწამყვანმა **ალესანდრო ჩეკი პაონემ** სამშაბათ საღამოს რადიოს პირდაპირ ეთერში თქვა, ახლო წარსულში „სკუადრა აძურას" ორი ფეხბურთელი გეი იყო და მე ერთ-ერთთან ურთიერთობაც კი მქონდაო.

*„სწორედ მან მითხრა, იტალიის ნაკრებში ერთი ბისექსუალიც თამაშობსო,"* - ირწმუნებოდა ჩეკი პაონე.

იმავე დღეს, ერთ-ერთმა იტალიელმა ჟურნალისტმა 29 წლის კასანოს ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა, ანტონიომ კი აი, რა უპასუხა: *„იმედი მაქვს, რომ ეგ ტიპი იტყუება. ყოველ შემთხვევაში, მინიმუმ იმას მაინც ვიმედოვნებ, რომ ახლა „სკუადრა აძურაში" არც ერთი ფეხბურთელი არ არის გეი!"*

ცხადია, იტალიელი ჰომოსექსუალების პასუხმა არ დააყოვნა. მათ იტალიაში დიდი ორგანიზაცია აქვთ შექმნილი, სადაც გეები არიან გაერთიანებულნი. ამ ორგანიზაციას „არჩიგეი" ჰქვია და მისმა საპატიო პრეზიდენტმა **ფრანკი გრილინიმ**, რომლის სექსუალური ორიენტაცია ასევე არ არის ტრადიციული, კასანოს ევროპის ჩემპიონატიდან მოკვეთა (?!) მოითხოვა.

*„ჩემი აზრით, ჰომოფობი კასანო ნაკრებიდან უნდა მოიკვეთოს. პრანდელის მოვუწოდებ, კასანო გააგდოს!"* - განაცხადა გრილინიმ.

გუშინ ანტონიომ ამ თემასთან დაკავშირებით სპეციალური პრესკონფერენცია გამართა და ბოდიში სულ სიცილ-ხარხარში მოიხადა: *„თუ ვინმეს ვაწყენინე, ბოდიშს ვუხდი. გეების საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს?"* - ჩაიქირქილა კასანომ.



კასანო გუშინდელ პრესკონფერენციაზე

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## ბლანს გეგმა მზად აქვს

საფრანგეთის ნაკრების თავკაც **ლორან ბლანს** უკრაინის ნაკრებთან მატჩისთვის გეგმა უკვე მზად აქვს. ამაზე მან ჟურნალისტებთან შეხვედრისას ილაპარაკა: *„გაზეთები ბევრს წერდნენ, რომ ანდრეი შევჩენკო თურმე ხერხემლის პრობლემების გამო ძლივს მოძრაობდა. შვედებთან მან დაამტკიცა, რომ მისი ნიჭი არსად გამქრალა. პირადად ამ ფეხბურთელით ყოველთვის აღფრთოვანებული გახლდით. უკრაინასთან რთული თამაში გველის, იმიტომ, რომ ხალხი ეიფორიაშია და ტრიბუნები გუნდს სერიოზულად დაეხმარება. მზადება ამ მატჩისთვის უკვე დავიწყეთ. ბიჭებში განწყობა ნამდვილად არ არის საუკეთესო, რადგან მათ 18-ჯერ დაარტყეს ჯო ჰარტის კარის მიმართულებით და აქედან უმრავლესობა საერთოდ არ იყო სახიფათო. ხანდახან შეტევაში ხალხი გვაკლდა, თუმცა კომბინაციების გათამაშებას მაინც ვცდილობდით. ვერ მოვიგეთ, რადგან მეტოქის მიერ აღმართული ორშრიანი დაცვა ვერ გადავლახეთ. ამით მეტოქემ სივრცეები თითქმის ბოლომდე მოგვისპო".*

**ლევან ბიბილაშვილი**

## როსიცკი და ჩეხი: სერიოზული არაფერია

ჩეხეთის ნაკრებს საბერძნეთთან 2:1-ზე მოგებულ მატჩში ორი ლიდერი დაუშავდა: კაპიტანმა **ტომაშ როსიცკიმ** და მეკარე **პეტრ ჩეხმა** ტრავმები მიიღეს – როსიცკი შესვენებაზე შეცვალეს, ჩეხმა კი მატჩის შემდეგ ჩაიტარა გამოკვლევა. გუშინ ჩეხეთის ნაკრების სამედიცინო შტაბმა გულშემატკივრები დაამშვიდა: მთავარი ექიმის, **პეტრ კრეიჩის** თქმით, როსიცკისა და ჩეხის ტრავმები სერიოზული არაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მესამე ტურში, პოლონეთთან მოედანზე გასვლა შეეძლებათ.

**გოტფრიდ ლენცი**

● დორტმუნდის ბორუსია



პოლონეთის ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიას" თავდამსხმელი რობერტ ლევანდოვსკი გერმანიის თასით

# რა ელის ლევანდოვსკის?

## რობერტს რიგი დაუდგა: იუნაიტედი, სიტი, ბაიერნი, ჩელსი, არსენალი, რეალი, იუვენტუსი...

„მანჩესტერ იუნაიტედი", „მანჩესტერ სიტი", მიუნხენის „ბაიერნი", ლონდონის „არსენალი", ჩელსი და ახლა მადრიდის „რეალიც" - დღე ისე არ გავა, რომ პოლონეთის ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიას" გოლეადორ **რობერტ ლევანდოვსკის** შესახებ ახალი სპეკულაცია არ გავრცელდეს. 23 წლის პოლონელმა გოლეადორმა ბუნდესლიგაში ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და ევროპის ჩემპიონატზეც კარგად თამაშობს (1 გოლი 2 თამაშში), რის გამოც არაოფიციალური ცნობებით, მთხოვნელების დიდი რიგი დაუდგა და თანაც, საუკეთესო ევროპული გრანდები ეპატიჟებიან.

ეს მითქმა-მოთქმა „დორტმუნდის" შეფ **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** ყელში ამოუვიდა და გუშინ საგანგებო განცხადება გააკეთა: *„ეს დისკუსიები უკვე ნერვებს მიშლის! პოლონელი ჟურნალისტები რობერტის შესახებ ყოველდღე ახალ ამბავს იგონებენ და გამოგონილიც რომ არ იყოს, სიმართლე გითხრათ, არ მაინტერესებს, რა იწერება. ლევანდოვსკის არ გავყიდით!"*

### რობერტის მრჩეველი მოურინიოს და კონტეს შეხვდა

არადა, გავრცელებულ ცნობებს გამოგონილის არაფერი ეტყობა: საქმე იმაშია, რომ ლევანდოვსკის მრჩეველი **ჩესარ კუხარსკი** ძალიან აქტიურობს და უნდა, რომ რობერტის ტრანსფერი გაჩარხოს – პრინციპში, თავად ფეხბურთელი არ უნდა იყოს „რეალის" ან „ჩელსის" დარ გრანდში გადასვლის წინააღმდეგი და თანაც, კუხარსკი ტრანსფერით ხომ დიდ ფულს იშოვის.

კვირას, კუხარსკი გდანსკში იმყოფებოდა, სადაც იტალიისა და ესპანეთის მატჩის შესვენებაზე, ტელეკომპანია „პოლსატის" პირდაპირ ეთერში განაცხადა, „რეალის" თავკაც **ჟოზე მოურინიოს** შევხვდიო. *„ჟოზეს პირდაპირ ვუთხარი, თუ რობერტო ევროპის ჩემპიონატზე 3-4 გოლს გაიტანს, აუცილებლად დაგირეკავ-მეთქი,"* - თქვა ლევანდოვსკის მრჩეველმა საქვეყნოდ. კუხარსკის თქმით, მას „იუვენტუსის" თავკაცი **ანტონიო კონტეც** შეხვდა – ტელეფონის ნომრები გავცვალეთ, რობერტით კონტეც დაინტერესებულიაო.

„ბორუსიას" გენერალური მენეჯერი ვატცკე კი ირწმუნება, რომ ლევანდოვსკი მომდევნო სეზონშიც დორტმუნდში იასპარეზებს. მეტიც: გერმანიის ჩემპიონსა და თასის მფლობელს თავის გოლეადორთან ახალი კონტრაქტის გაფორმება სურს.

**გოტფრიდ ლენცი**

● ბაიერნი

# რობენის მამა: არიენი მიუნხენში დარჩება!



ჩემპიონთა ლიგის ფინალი: პენალტების სერიამდე გადაღებული ფოტო

მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ **არიენ რობენმა** „ბაიერნთან" კონტრაქტი 2015 წლამდე გააგრძელა, ბოლო დროს მიუნხენიდან მისი აზრგების შესახებ დისკუსია მაინც არ წყდებოდა.

ცეცხლზე ნავთი ჩემპიონთა ლიგის ფინალმა დაასხა, რომელშიც რობენმა გასულ სეზონში უკვე მეორედ ვერ გაიტანა უმნიშვნელოვანესი თერთმეტმეტრიანი და თანაც, „ჩელსისთან" პენალტების სერიის წინ თანაგუნდელებსა და მწვრთნელ **იუპ ჰაინკესს** უსიამოვნო დისკუსია გაუმართა. აღსანიშნავია, არიენმა რეკორდმაისტერთან კონტრაქტი „ჩელსისთან" მატჩამდე გაახანგრძლივა. გუშინ რობენის მამამ, რომელიც მისი მრჩეველიცაა, ხმა აიმაღლა და სპეკულაციებს წერტილი დაუსვა: მისი თქმით, არიენი აუცილებლად „ბაიერნში" დარჩება.

*„გამორიცხულია, რომ რობენმა წელს „ბაიერნი" დატოვოს. არიენი მომდევნო სეზონშიც მიუნხენში ითამაშებს,"* - უთხრა **ჰანს რობენმა** „შპორტ ბილდს".

### სიტიმ ჯეკოს სანაცვლოდ მიულერი მოითხოვა

ამასობაში, არ წყდება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ „ბაიერნს" „მანჩესტერ სიტის" ბოსნიელი თავდამსხმელის, **ედინ ჯეკოს** გადაბირება უნდა. სიახლე ის არის, რომ ინგლისური ტაბლოიდის, „სანის" ცნობით, ბავარიელებმა „სიტის" 25 მილიონი ევრო შესთავაზეს, მაგრამ მანჩესტერული კლუბის ხელმძღვანელებს სხვანაირი აზრი აქვთ: ისინი „ბაიერნს" ჯეკოს სანაცვლოდ 6 მილიონ ევროს და **თომას მიულერს** სთხოვენ.

ცნობილია, რომ მიულერის გადაბირებით მილანის „ინტერიცაა" დაინტერესებული. თავად თომასი უკმაყოფილოა იმით, რომ გასულ სეზონში ჰაინკესი ხშირად სათადარიგოთა სკამზე ტოვებდა...

**გოტფრიდ ლენცი**

● ამბები

### მანოლო პრესიადოს ქუჩა

ხიხონის მერიამ გადაწყვიტა სტადიონ "ელ მოლინონთან" მიმავალ ერთ-ერთ ქუჩას "სპორტინგის" ყოფილი მწვრთნელის, **მანოლო პრესიადოს** სახელი მიანიჭოს, რომელიც ახლახან გარდაიცვალა. პრესიადომ თითქმის 6 სეზონი უხელმძღვანელა ხიხონის "სპორტინგს" [illegible], თუმცა ასტურიელები მაინც გავარდნენ ლა ლიგიდან.

პრესიადო 7 ივნისს მოულოდნელად გარდაიცვალა, მას მერე, რაც ცნობილი გახდა, რომ ის "ვილიარეალის" მწვრთნელად დანიშნეს. 54 წლის სპეციალისტს ვალენსიის ერთ-ერთ სასტუმროში გულმა უმტყუნა, მეორე დღეს მისი პრეზენტაცია იგეგმებოდა "ვილიარეალში".

### გაბი მიდის

"ბარსელონას" და "სარაგოსას" ყოფილი მცველი **გაბრიელ მილიტო** არგენტინის ჩემპიონატის დასრულებისთანავე ფეხბურთიდან წავა. არადა, არგენტინელი მცველი ჯერ მხოლოდ 31 წლისაა. ახლა მილიტო ბავშვობის კლუბში, "ინდეპენდიენტეში" გამოდის. *"მიზეზი ცხადია. მენტალურად და ფიზიკურად სულ უფრო ძნელია, თავს დავაძალო და გავაგრძელო კარიერა, როცა ასე მაწუხებს ტრავმები. ასე რომ, გადაწყვეტილება მიღებულია - სპორტიდან მივდივარ"*, - განაცხადა მილიტომ სპეციალურ პრესკონფერენციაზე.

### სუბი დარჩა

"ბარსელონას" სპორტულმა დირექტორმა, წარსულში ცნობილმა მეკარემ, **ანდონი სუბისარეტამ** კლუბთან კონტრაქტი, რომელიც სეზონის ბოლოს ეწურებოდა, 2014 წლის ზაფხულამდე გააგრძელა. 50 წლის ფუნქციონერი ერთობ წარმატებულია თავის საქმეში, ამიტომაც მისი დარჩენა კატალონიურ გუნდში მოულოდნელი არ ყოფილა. სუბისარეტამ 2010 წელს ამ თანამდებობაზე ასევე ყოფილი ფეხბურთელი **ჩიკი ბეგირისტაინი** შეცვალა.

### ახალი მწვრთნელი ალმერიაში

ანდალუსიურ "ალმერიას", რომელმაც ვერ შეძლო ლა ლიგაში დაბრუნება, ახალ სეზონში **ხავი გრასია** გაწვრთნის. ნავარელ სპეციალისტს მიზნად ლა ლიგაში ალზევება დაუსახეს. ხავი გრასია საბერძნეთში მოღვაწეობდა, კერძოდ კი "კერკირაში".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### სუონსის ლაუდრუპს ჩააბარებენ



მიკაელ ლაუდრუპი

„სქაი სპორტსის" ცნობით, „სუონსის" ახალ მთავარ მწვრთნელად **მიკაელ ლაუდრუპი** დაინიშნება. მხარეთა შორის ყველაფერი შეთანხმებულია, თუმცა უცნობია, რამდენი წლით დაუკავშირებს თავის ცხოვრებას 47 წლის სპეციალისტი უელსურ კლუბს. შეგახსენებთ, რომ „გედების" ყოფილი თავკაცი **ბრენდან როჯერსი** ორიოდე კვირის წინ „ლივერპულში" დაინიშნა. ლაუდრუპამდე „სუონსიმ" „უიგანიდან" **რობერტო მარტინესის** ასისტენტის **გრემ ჯონსონის** გადაბირება სცადა, თუმცა საბოლოოდ მისგან უარი მიიღო. ჯონსონის გარდა განიხილებოდა **იან ჰოლოვეის, გუსტავო პოიეტისა** და **მარსელ დესაის** კანდიდატურები.

### ჰარი რედნაპი რჩება

„ტოტენჰემის" მთავარმა მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** კატეგორიულად უარყო ხმები, თითქოს „უაით ჰართ ლეინიდან" წასვლას გეგმავდეს. სწორედ ამ დღეებში დაიწერა, რომ 65 წლის სპეციალისტს პრეზიდენტსა და კლუბის დირექტორთა საბჭოს წარმომადგენლებთან ურთიერთობა გაუფუჭდა და ახალი კონტრაქტის გაფორმება ამიტომაც იუარაო. *„არა, არ გადავმდგარვარ და წარმოდგენაც კი არ მაქვს, რატომ უნდა გადამედგა ეს ნაბიჯი. აღმაშფოთებელია, როცა გაზეთები იმას წერენ და მერე სხვებსაც აჯერებენ, რასაც მოისურვებენ. შანსი არ არის, აქედან არსადაც წავალ, თუნდაც იმიტომ, რომ ხელშეკრულებაში მინიმუმ 1 წლიწადი მაქვს დარჩენილი,"* - განუცხადა მწვრთნელმა ESPN-ს.

### ყოფილი ვიცე-პრეზიდენტები 10-10 წლით ჩასვეს

ჩინეთის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტებს **ნან იუნსა** და **სე იალუნს** გარიგებულ საფეხბურთო მატჩებთან კავშირის გამო 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ორი მაღალჩინოსნის გარდა ციხეში კიდევ რამდენიმე ადამიანი მოხვდა. გეტყვით, რომ საფეხბურთო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ჩინეთის პოლიციამ 2 წლის წინ დაიწყო და მას მერე ათეულობით კანონდამრღვევი გამოავლინა.

### კაგავას ცენტრში თამაში ურჩევნია

„მანჩესტერ იუნაიტედის" ახალწვეულ **შინჯი კაგავას** თქმით, მას ძალიან უნდა, რომ ახალ გუნდში მწვრთნელმა მხოლოდ გამთამაშებლის პოზიციაზე გამოიყენოს. 23 წლის იაპონელი ამ ზაფხულს „ეშმაკების" პირველი ახალწვეული აღმოჩნდა. დორტმუნდის „ბორუსიამ" მასში 12 მილიონი ფუნტი (14,88 მილიონი ევრო) უკვე მიიღო, 5 მილიონს (6,2 მილიონი ევრო) კი ბონუსების სახით სამომავლოდ მიითვლის. *„ცენტრის გარდა თამაში ფლანგზეც შემიძლია, თუმცა ვგრძნობ, რომ სწორედ გამთამაშებლის პოზიციაზე ვარ ყველაზე სასარგებლო. მაქსიმალურად ბევრს ვიმუშავებ, რათა სწორედ ცენტრში დავიკავო ჩემი ადგილი. გეტყვით, რომ „დორტმუნდიდან" წასვლის გადაწყვეტილება იოლად არ მიმიღია. „იუნაიტედში" ახალი თავგადასავლების საძიებლად მოვედი,"* – განუცხადა ფეხბურთელმა იაპონურ გამოცემა „კიოდოს".

**ლევან ბიბილაშვილი**

EURO2012 POLAND-UKRAINE

B ჯგუფი. II ტური

ევრო

მატჩი №11. 13.06. ლვოვი. ლვოვი არენა

| დანია | პორტუგალია |
| --- | --- |
| 2 | 3 |

**დანია (4-2-3-1):** ს. ანდერსენი – იაკობსენი, კიაერი, აგერი, ს. პოულსენი – კვისტი, ზიმლინგი (16. ი. პოულსენი) – რომედალი (60. მიკელსენი), ერიკსენი, კრონ-დელი (90. შიონე) – ბენდტნერი.

**პორტუგალია (4-1-2-2-1):** რუი პატრისიო – ჟოაო პერეირა, პეპე, ბრუნო ალვეში, ფაბიო კოენტრაო – მიგელ ველოზო – რაულ მეირელეში (84. ვარელა), ჟოაო მოუტინიო – ნანი (88. როლანდო), რონალდო –პოშტიგა (64. ოლივეირა).

**გოლები:** 0:1 პეპე (24), 0:2 ელდერ პოშტიგა (36), 1:2 ბენდტნერი (41), 2:2 ბენდტნერი (80), 2:3 ვარელა (87)

**გაფრთხილება:** ი. პოულსენი, იაკობსენი – რაულ მეირელეში, კ. რონალდო

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 10(4)-15(6); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 31 840

# რონალდოს გარეშე მოგებული ომი

## პორტუგალიამ მეოთხედფინალში გასვლის რეალური შანსი შეინარჩუნა, მაგრამ თუ რონალდო არ ათამაშდა, არაფერი გამოვა...



ელდარ პოშტიგამ პორტუგალია 2:0 დააწინაურა

**პორტუგალიამ** „დანიას" 3:2 კრიშტიანო რონალდოს გარეშე მოუგო! არა, არ გვეშლება: მართალია, 27 წლის მეგავარსკვლავმა მოედანზე 90 წუთი გაატარა, მაგრამ პორტუგალიელ ფანებს იმედები ისევ გაუცრუა. რონიმ ორი რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა: 50-ე წუთზე ბურთი პირდაპირ დანიელთა მეკარე ანდერსენს დაურტყა, 78-ეზე კი, ასევე თავისუფალ პოზიციაში მყოფმა, კარს ააცილა. გასულ სეზონში 61 გოლის (!) ავტორი ყოველი იმედგაცრუების შემდეგ ხელს საგანგებოდ და სათუთად დავარცხნილ თმაზე ფრთხილად ისვამდა. რონალდომ ვერც თავისი საფირმო საჯარიმო დარტყმები შეასრულა ხეირიანად: პირველი ტრიბუნებისკენ გაუშვა, მეორე კი (18 მეტრიდან) ცოცხალ კედელს შეატოვა. რონალდოზე ზედმეტად ბევრს ვსაუბრობთ? არ დაგვავიწყდეს, რომ მას ამ ტურნირზე ყველაზე მეტი მოეთხოვება – იმიტომ, რომ ლიონელ მესი ევროპის ჩემპიონატზე არ თამაშობს!

პორტუგალიის ნაკრებისთვის კარგი ის იყო, რომ სხვებმა მოახერხეს საგოლე გადაცემების გაკეთებაც და გოლების გატანაც. პორტუგალიამ ასე საჭირო სამი ქულა აილო და მეოთხედფინალში გასვლის რეალური შანსი შეინარჩუნა.

### რეაქციები

**მორტენ ოლსენი** (დანიის ნაკრების მწვრთნელი): *„კარგად ვიბრძოლეთ, ორი გოლი გავიტანეთ და ვფიქრობ, წაგებას არ ვიმსახურებდით. თუმცა ეს შეხვედრა უკვე წარსულია, ახლა გერმანიასთან წლის უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის, მთელი კონცენტრაცია ამ თამაშისკენ უნდა მივმართოთ."*

**პაულუ ბენტუ** (პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): *„მე არ ვიტყოდი, რომ გაგვიმართლა, რადგან მიმაჩნია, თუ რომელიმე გუნდი ამ თამაშის მოგებას იმსახურებდა, ეს პირველ რიგში პორტუგალიაზე ითქმის. კრიშტიანო რონალდოს ცუდად არ უთამაშია – უბრალოდ, გოლი ვერ გაიტანა. მთავარია, რომ მოვიგეთ!"*

### ტაქტიკა/სტრატეგია

ტაქტიკა, სტრატეგია და ძირითადი შემადგენლობა არც ერთ მწვრთნელს არ შეუცვლია: **მორტენ ოლსენის** სქემა კვლავ 4-2-3-1 გახლდათ, დანიელთა ერთადერთი ცენტრფორვარდი კი – ისევ **ნიკლას ბენდტნერი**.

**პაულუ ბენტუმ** თამაში კვლავ სამი საყრდენით დაიწყო და აქცენტი თავის სუპერ-გარემარბებზე, **ნანისა** და კრიშტიანოზე გააკეთა, წინ კი ისევ **ელდერ პოშტიგას** ენდო.

### საუკეთესო ფეხბურთელი

## ნიკლას ბენდტნერი (დანია)

ბენდტნერმა თავი არც ერთ ორთაბრძოლაში არ დაზოგა, საჰაერო დუელების აბსოლუტური უმრავლესობაც მოიგო, ბევრს დარბოდა და ძალიან კარგად იხსნებოდა. დანიის ნაკრების ნახევარმცველებს მისი მოძებნა არასდროს უჭირდათ – ნიკლასი პორტუგალიელ უკანახაზელებს ყოველთვის შესაშურად უსხლტებოდა. თანაც, ბურთი რამდენჯერმე თავადაც მოიპოვა, რაც ცენტრალური (მით უმეტეს, ერთადერთი) ფორვარდის მოვალეობა სულაც არ არის ხოლმე. ნიკლასის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელების ახსნა სპეციალურად არ დავიწყეთ იმით, რომ პორტუგალიის ნაკრებს ორივე გოლი მან გაუტანა – გვინდოდა, იმ ფაქტისთვის გაგვესვა ხაზი, რომ ბენდტნერის მარგი ქმედების კოეფიციენტი იმ ორი გოლის გარეშეც მაღალი იყო.

### ყველაზე სუსტი ფეხბურთელი

## სიმონ პოულსენი (დანია)

დანიის ნაკრების მარცხენა მცველმა პირველ ტურში, ჰოლანდიასთან, ძალიან კარგად ითამაშა და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც კი შევიყვანეთ, ამჯერად კი მოედანზე ყველაზე უსუსური გახლდათ. პოულსენმა ვერც შეტევაში გააწყო რამე და თავისი უშუალო მოვალეობაც (გაენეიტრალებინა პორტუგალიელთა მარჯვენა გარემარბი ნანი) ვერ შეასრულა. **ელდერ პოშტიგამ** ანგარიში 2:0 მას მერე გახადა, რაც ნანისგან მიიღო ბურთი, პოულსენმა კი ამ უკანასკნელს ხელი ვერაფრით შეუშალა. გარდა ამისა, სიმონმა მხოლოდ ორთაბრძოლების 30 პროცენტი მოიგო, რაც დანიის ნაკრების ფეხბურთელთაგან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გახლდათ.

### მსაჯი

**კრეიგ ტომსონმა** არც მეტი, არც ნაკლები, ნორმალურად იმსაჯა და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მატჩი ნერვიული არ იყო. 29-ე წუთზე **რაულ მეირელეშისა** და **მიქაელ კრონ-დელის** ორთაბრძოლისას პორტუგალიელის გაძევება შეიძლებოდა, მაგრამ შოტლანდიელმა არბიტრმა მეირელეში დაინდო და თამაში არ გააფუჭა.

### მწვრთნელების დუელი

მორტენ ოლსენმა თავისი გუნდი ზუსტად ისე ათამაშა, როგორც ჰოლანდიასთან და მიზნის მიღწევამდე ამჯერად ძალიან ცოტა დააკლდა. სათამაშო უპირატესობას თითქოს პორტუგალია ფლობდა, მაგრამ დანიელები მრისხანედ „იკბინებოდნენ". მაგრამ დანიის ნაკრების პრობლემა ის არის, რომ ოლსენის გუნდი შეტევებისას ზედმეტადაა ორიენტირებული ნიკლას ბენდტნერზე, რის გამოც დანიელთა იერიშები იოლად პროგნოზირებადი ხდება.

როგორც გამოჩნდა, ევროპის ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელმა პაულუ ბენტუმ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, გერმანიასთან მარცხის შემდეგ ძირითადი შემადგენლობა რომ არ შეცვალა. ელდერ პოშტიგას თავდასხმის ცენტრი ამჯერად კარგად „ეჭირა" და გაცილებით ეფექტურად ირჯებოდა. მატჩის მიწურულს კი ბენტუმ დაამტკიცა, რომ კარგი ყნოსვა აქვს: პორტუგალიას შეცვლაზე შესულმა **ვარელამ** მოაგებინა. გერმანიასთან წაგების შემდეგ ბენტუს თანამემამულე ჟურნალისტები მაგრად აკრიტიკებდნენ და ამ დღეებში რისხვის ქარცეცხლი ალბათ განელდება.

### ანალიზი

დანიელები პირველ წუთებში ძალიან ღრმად განლაგდნენ და პორტუგალიელები ბურთს სკანდინაველთა ნახევარზე აკონტროლებდნენ. სამაგიეროდ, ოლსენის გუნდი ფლანგებიდან იკბინებოდა, პორტუგალიელთა იერიშების კონცეფცია კი ამჯერადაც გრძელ პასებზე ან ისევ ფლანგურ გარღვევებზე იყო აწყობილი, რაც ლოგიკურიცაა – პორტუგალიას გამთამაშებელი ხომ არ ჰყავს.

პირველი ტაიმის პირველ ნახევარში პორტუგალიის ნაკრები შეტევაში მოსალოდნელზე ნელა გადადიოდა – რონალდო და კომპანია ერთფეროვნად უტევდნენ. თუმცა რონალდო აქ ფაქტობრივად ტყუილად ვახსენეთ, რადგან კრიშტიანოსგან პირველ 20 წუთში ხეირი საერთოდ არ ყოფილა.

**პეპეს** გოლის შემდეგ კი პორტუგალია დამშვიდდა და ინიციატივა დანიის ნაკრებს გადაულოცა. ამასთან, რონალდოც გამოჩნდა – დერეფნებს ცენტრიდან დაუწყო ძებნა და რამდენჯერმე მიაგნო კიდეც. დანიელები ცდილობდნენ, მაგრამ ხეირიანად ვერ უტევდნენ, რადგან გარემარბები **კრონ-დელი** და **რომედალი**, ფლანგის მცველებთან, **იაკობსენთან** და სიმონ პოულსენთან საერთოდ ვერ კომბინირებდნენ. **ზიმლინგის** იძულებითი შეცვლის შემდეგ შესამჩნევად შესუსტდა დანიის ნაკრების ნახევარდაცვის ცენტრიც, სადაც **იაკობ პოულსენი** თამაშში კარგად ვერ ჩაერთო, **ვილიამ კვისტი** კი საქმეს მარტო ვერ აუდიოდა. შესაბამისად, ელდერ პოშტიგას გოლი, რომელიც ამ უკანასკნელმა ნანის პასით გაიტანა, მთლიანად დანიის ნაკრების უკანახაზელების სინდისზეა.

პორტუგალიელები დაცვაში გაცილებით ფხიზლად იყვნენ – პეპე და **ბრუნო ალვეში** პოზიციურ შეცდომებს აღარ უშვებდნენ და ორთაბრძოლებიც უხვად მოიგეს. დანიამ ორი გოლის გატანა რომ შეძლო, ეს პირველ რიგში ბენდტნერის დამსახურებაა, ხოლო ბრალი პორტუგალიელ განაპირა მცველებს მიუძღვით. **პერეირამ** და **კოენტრაომ** ზოგადადაც ცუდად ითამაშეს. მართალია, ვარელამ გამარჯვების გოლი სწორედ კოენტრაოს პასით გაიტანა, მაგრამ მაინც...

მეორე ტაიმში ბენტუს კონცეფცია უკვე ლოგიკური და გასაგები იყო: პორტუგალიის ნაკრებმა აქცენტი მთლიანად კონტრშეტევებზე გააკეთა, ბურთი კი დანიას დაუთმო. სკანდინაველები მონდომებულები კი ჩანდნენ, მაგრამ ბურთს ზედმეტად ხშირად კარგავდნენ. აშკარად გამოჩნდა, რომ ოლსენს ძალიან აკლია კარგი ცენტრალური ნახევარმცველი, რომელიც 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში ბურთის ცენტრიდან განაწილებას ითავებს და გარემარბებს გამჭოლი პასებით დროულად დატვირთავს. ფაქტია, რომ **ერიკსენი** ამ ფუნქციას ისე ვერ ასრულებს, როგორც საჭიროა. ამიტომაც იყო, ბენდტნერი ასე ხშირად რომ იხევდა უკან და ბურთს ფლანგებზე თვითონ რომ ანაწილებდა. თუმცა, მრავლობითში თქმა გადაჭარბებულია – ნიკლასი ამ დროს ბურთს უმეტესად მარჯვნივ, რომედალისკენ უშვებდა...

### დასკვნა

დანიის ნაკრები სტატიკურ, პროგნოზირებად ფეხბურთს თამაშობს და მიუხედავად ამისა, ოლსენის გუნდმა ჰოლანდიის დამარცხების შემდეგ, კინაღამ პორტუგალიაც გაამწარა. პაულუ ბენტუს გუნდი ამჯერად უფრო ეფექტური გახლდათ, რაც სულაც არ არის გასაკვირი – სად გერმანია და სად დანია – მაგრამ ფაქტია, რომ თუ თავად რონალდო არ გახდა გაცილებით ეფექტური, პორტუგალიის ნაკრები ევრო 2012-ზე სერიოზულს ვერაფერს მიაღწევს.

**გოტფრიდ ლენცი**



ნიკლას ბენდტნერმა ანგარიშში სხვაობა ამ დარტყმით შეამცირა

# 2012

B ჯგუფი. II ტური

# გომესმა გერმანიას კლოზე დაავიწყა

## სიკვდილის ჯგუფში ჯერ არავინ მომკვდარა... და არც გადარჩენილა

**მატჩი №12. 12.06. ლვოვი. მეტალისტი**

| ჰოლანდია | გერმანია |
|---|---|
| 1 | 2 |

**ჰოლანდია (4-2-3-1):** სტეკელენბურგი - ვან დერ ვილი, ჰეიტინგა, მატეისენი, ვილემსი - დე იონგი, ვან ბომელი (46. ვან დერ ვაარტი) - რობენი (83. კუიტი), სნეიდერი, აფელაი (46. ჰუნტელაარი) - ვან პერსი.

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ბოატენგი, ჰუმელსი, ბადშტუბერი, ლამი - ხედირა, შვაინშტაიგერი - მიულერი (90. ბენდერი), იოზილი (81. კროოსი), პოდოლსკი - გომესი (72. კლოზე)

**გოლები:** 0:1 გომესი (24), 0:2 გომესი (38), 1:2 ვან პერსი (73)

**გაფრთხილება:** დე იონგი, ვილემსი - ბოატენგი

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 12-7; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 9-9 (4-7); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 37 750

**სიკვდილის ჯგუფი უძახე და... ჯერჯერობით პლეი ოფში გასვლის შანსი არავის დაუკარგავს და არც არავის გაუნაღდებია საგზური, თვით ორი მატჩის მომგებ გერმანიასაც. გუშინ ევროპის ჩემპიონობის ძალზე რეალურმა კანდიდატმა მარიო გომესის დუბლის წყალობით ჰოლანდიას ევროპის ჩემპიონატზე მეორე მარცხი აგემა და კატასტროფის პირას მიიყვანა. თავად ბაიერნელი კი 3 გოლით ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულ ალან ძაგოევს გაუთანაბრდა.**



მარიო გომესი ანგარიშს ხსნის

### ტაქტიკა/სტრატეგია

ორივე გუნდმა 4-2-3-1 სათამაშო სქემა აირჩია. ჰოლანდიელთა თავკაცმა I ტურიდან ერთი ცვლილება განახორციელა - გამოჯანმრთელებულმა **იორის მატეისენმა რონ ვლაარის** ადგილი დაიკავა. სხვა მხრივ ათასი პრეტენზიის მიუხედავად მწვრთნელმა არავინ შეცვალა, **ვან ბომელიც** დატოვა მოედანზე და არც **ჰუნტელაარს** დააწყებინა თავიდან. **იოახიმ ლიოვს** ერთი მიზეზიც კი არ ჰქონდა ვინმე ან რამე შეეცვალა I ტურის შემდეგ და არც შეცვალა.

ჰოლანდია თითქოსდა აკადემიურ სტილში აპირებდა გერმანიის წინააღმდეგობის დაძლევას, თუმცა ისიც ცხადი იყო, რომ გოლის გაშვების შემთხვევაში ვაბანკზე **ვან მარვიიკი** ვერ წავიდოდა (დანიასთან ერთი ხანობა მოედანზე ერთად იყვნენ: **ვან პერსი**, ჰუნტელაარი, **ვან დერ ვაარტი და კუიტი**), გერმანია აუცილებლად დასჯიდა ასეთ შემთხვევაში მეტოქეს კონტრშეტევებზე.

### საუკეთესო ფეხბურთელი

### მარიო გომესი (გერმანია)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელობის კანდიდატებს ჩამოვთვლით: **მესუთ იოზილი** ბრწყინვალედ უტევდა და მომენტებს უქმნიდა თანაგუნდელებს, **მათს ჰუმელსი** ზესაიმედო იყო დაცვაში, **ბასტიან შვაინშტაიგერმა** კი ორი საგოლე პასი მიითვალა... მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც დუბლის ავტორი მარიო გომესი იყო საუკეთესო. ორივე გოლის შემთხვევაში გომესმა დიდებულად ითამაშა, პირველად შვაინშტაიგერის პასი მიიღო, წამებში დატრიალდა და ისე გაუტანა სტეკელენბურგს, მეორედ კი მახვილი კუთხიდან აულებელი დაურტყა მას. პირველ ტურში მარიო ასე სხარტად ვერ იქცეოდა საგოლე ეპიზოდებში და ბევრს მის ნაცვლად **მიროსლავ კლოზეს** ხილვა სურდა (კლოზემ ორივეჯერ შეცვალა გომესი), ვფიქრობთ, ასეთი თამაშით ბაიერნელმა გერმანიას კლოზე დაავიწყა. "უილიამ ჰილის" მიხედვით მარიო გომესი ევრო 2012-ის ბომბარდირობის უპირველესი კანდიდატია 2,25-იანი ფსონით.

### ყველაზე სუსტი ფეხბურთელი

### მარკ ვან ბომელი (ჰოლანდია)

გამარჯვებულთა რიგებში **თომას მიულერისა** და **ლუკას პოდოლსკის** თამაში არ მოგვეწონა, თუმცა ჰოლანდიას უფრო მეტი დასაწუნი ფეხბურთელი ჰყავდა: მეკარე **მაარტენ სტეკელენბურგი**, მარცხენა მცველი **ჯეტრო ვილემსი**, იგივე მატეისენი, მაგრამ ვეტერანმა მარკ ვან ბომელმა ყველა "დაჩრდილა". მართალია, თამაშში პირველი სახიფათო მომენტი მისი პასით შექმნა ვან პერსიმ, მაგრამ უშუალო მისიას ვან ბომელი ვერ ასრულებდა, რაც კარგად გამოჩნდა მისი შეცვლის შემდეგ, როცა ჰოლანდიამ შეძლო დროებით გერმანელთა დაჩაგვრა.

### მსაჯი

შვედი არბიტრი **იონას ერიქსონი** შეუმჩნეველი ფიგურა გახლდათ მოედანზე, რაც მსაჯისთვის დადებითი თისებაა. მას და მის ბრიგადას სერიოზული შეცდომა არ დაუშვიათ, სიმართლე ითქვას, საკამათო ეპიზოდი არც კი შექმნილა მატჩში.

### მწვრთნელების დუელი

ბერტ ვან მარვიიკი რომ ვერ უძლევს ნაკრებს ხეირიანად, ფაქტია - 2 ტური გავიდა და ევროპირველობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს ქულა არა აქვს და მეტოქეთა კარში კინკილა გოლი აქვს გატანილი. ვან მარვიიკმა ვერ გათვალა - ორი საყრდენით თამაშისას, ერთ-ერთს (**დე იონგი**) იოზილი უნდა გაენეიტრალებინა, მეორეს კი ან შვაინშტაიგერი და ან **ხედირა**, მაგრამ 35 წლის ვან ბომელმა ეს ვერ შეძლო. მისი პასიურობა კი ჰოლანდიას ძვირი დაუჯდა - მატჩის წაგებად. ვან მარვიიკის შეცდომა ისიც არის, რომ ვან პერსი ისევ ჯიუტად ეულ ცენტრფორვარდად ათამაშა. მატჩმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის არ არის ნაღდი 9 ნომერი და როცა ასეთი მოედანზე გამოვიდა (ჰუნტელაარი), ვან პერსიც უფრო სასარგებლო გახდა.

### ანალიზი

ვან მარვიიკმა ვიზავისთან დუელი კი წააგო, მაგრამ ჰოლანდიის ნაკრები ისეთი ინდივიდუალებისგან შედგება, რომ მატჩის გადარჩენა ამ შეცდომების მიუხედავადაც შეიძლებოდა, მაგრამ გუნდის მორალური მდგომარეობა რომ ვერ არის წესრიგში, კიდევ ერთხელ გამოჩნდა. არანაირი თავდადება, თანაგუნდელთა დაზღვევა, თავს ზემოთ ახტომის სურვილი, არანაირი ანთებული თვალები. ასე კი გერმანიას, რომელიც მოედანაზე ყველაფერს სწორად აკეთებს, ვერ მოუგებ, ქულასაც ვერ გამორჩები. ასე რომ, შედეგი ლოგიკურია.

I ტაიმი გერმანიამ პირწმინდად მოუგო მეტოქეს 5 საგოლე მომენტი ერთი ნახევარმომენტის წინააღმდეგ. ხუთიდან ორი გოლი გავიდა, იოზილმა ძელს გაარტყა, **ბადშტუბერის** თავური და შვაინშტაიგერის საჯარიმო დარტყმა, რომელიც რიკოშეტის წყალობით ძალზე სახიფათო გამოდგა. ჰოლანდიელთა მომენტზე უკვე ვთქვით, ის ვან პერსის შეექმნა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა. მეორე ტაიმში ვან პერსის შესანიშნავი გოლის გარდა ჰოლანდია ორჯერ ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ორჯერვე ვან პერსის გოლამდე. გერმანელებმა კი სულ ერთხელ, ტაიმის დასაწყისში შეაშინეს სტეკელენბურგი, როცა შეტევაში მოულოდნელად ჰუმელსი ჩაერთო.

### დასკვნა

გერმანიამ დამსახურებულად გაიმარჯვა, ჰოლანდიამ კი მეორედაც კანონზომიერად წააგო, მაგრამ პირდაპირ საოცარია - "ფორთოხლისფერებს" ჯერ კიდევ რჩებათ შანსი, ხოლო გერმანელები ჯერ კიდევ არიან ჯგუფში ჩარჩენის საფრთხის წინაშე. თუკი გერმანიის ნაკრები კვირას დაამარცხებს დანიას, ჰოლანდიელებს პორტუგალიელების ორგოლიანი სხვაობით დამარცხება ჰყოფნით მეოთხედფინალში გასასვლელად, მაგრამ ვან მარვიიკის ბიჭების ასეთი განწყობით ეს ყველაფერი ძნელად დასაჯერებელია. გერმანია კი დანიასთან ნებისმიერი ანგარიშით დამარცხების შემთხვევაში ჩარჩება ჯგუფში, თუკი პორტუგალია ჰოლანდიას მოუგებს (ასევე ნებისმიერი ანგარიშით). შეუძლებელია? სულაც არა!

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 2. პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 3. დანია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. ჰოლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჰოლანდიას ვან პერსის გოლმა ვერ უშველა




ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ჭიდაობა. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი




# ახალგაზრდულები გაცხადდა

## 18-24 ივნისს ზაგრები ახალგაზრდა მოჭიდავეთა შორის ევროპის პირველობას უმასპინძლებს

ხორვატიის მთავარ ქალაქში საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული გუნდი ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: **ბექა ბუჯიაშვილი** (50), **ლაშა ტალახაძე** (55), **ლევან ქელეხსაშვილი** (60), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), **ჯუმბერ ყველაშვილი** (76), **სანდრო ამინაშვილი** (84), **ომარ გუსოშვილი** (96), **გენო პეტრიაშვილი** (120). ბერძენ-რომაელთა ნაკრების ღირსებას **დავით სანიკიანი** (50), **რამაზ სურმანიძე** (55), **ფირუზ ნულუკიძე** (60), **გიორგი დავითაია** (66), **ლაშა გობაძე** (74), **რობერტ ქობლიაშვილი** (84), **იაკობ ქაჯაია** (96) და **ლევან არაბული** (120) დაიცავენ.

ერთი შეხედვით, ისე გამოდის, თითქოს „თავისუფალთა" ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ნუგზარ სხირელიც** და მისი ბერძენ-რომაელი კოლეგა **ვლადიმერ ადეიშვილიც** შემადგენლობის შერჩევისას საქართველოს პირველობის შედეგებს დაეყრდნენ, რადგან დასახელებულთა აბსოლუტური უმეტესობა ქვეყნის ჩემპიონია, მაგრამ მთლად ასეც არაა საქმე - გამარჯვებულებმა მოგვიანებით რამდენიმე ტურნირში ისევ დაამტკიცეს, რომ იმსახურებდნენ ევროპირველობაზე წასვლას. არის გამონაკლისებიც, რადგან ზოგმა ვერ გაამართლა ლიდერის სტატუსი და ისინი სხვებმა ჩაანაცვლეს. „თავისუფალთა" ნაკრებში ასეთი მხოლოდ გუსოშვილია, რომელიც ქვეყნის პირველობის ფინალში **გიორგი მეშვილდიშვილთან** დამარცხდა. მათ გუნდის სხვა წევრებთან ერთად მოგვიანებით შინ თუ გარეთ ოთხ ტურნირში იჭიდავეს და გუსოშვილმა ყველგან აჯობა კონკურენტს - რიგასა და ონში პირადი შეხვედრა მოუგო, აზერბაიჯანსა და თურქეთში კი შედეგით გადაუსწრო.

ბერძენ-რომაელთა გუნდში ორი არაჩემპიონია - დავითაია და ქობლიაშვილი. დავითაია წულუკიძესთან დამარცხდა, რომელიც მერე კვლავ მისთვის მშობლიურ 60 კილოგრამს დაუბრუნდა და იქაური კონკურენციიდან **ამირან შავაძე** ამოაგდო, დავითაიამ კი მომდევნო ტურნირებში დაამტკიცა, რომ სხვებზე ძლიერია. ქობლიაშვილი ქვეყნის პირველობის გადამწყვეტი შეხვედრა **დავით ჩაკვეტაძესთან** წააგო, თუმცა საერთაშორისო ტურნირები მასზე ძლიერად ჩაატარა.

ევროპის ჩემპიონატს „თავისუფლები" გახსნიან - 18 ივნისს 50, 60, 74და 96-ის ფალავნების აწონვაა, რომლებიც მეორე დღეს იჭიდავებენ. დანარჩენი ოთხეული 20-ში იასპარეზებს. 21-22 ივნისი გოგოების ტურნირს დაეთმობა, სადაც მონაწილე არ გვეყოლება, 23-24 ივნისი კი ბერძენ-რომაელთა საასპარეზო დღეა. დღეების მიხედვით წონითი კატეგორიები აქაც ზუსტად ისევეა განაწილებული, როგორც - „თავისუფლებში".

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ შარშან ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში „თავისუფალთა" ნაკრებმა 6 მედალი მოიპოვა - 2 - ოქრო, 1 - ვერცხლი და 3 - ბრინჯაო. ჩემპიონები **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **დავით მარსაგიშვილი** (84) გახდნენ, **ბექა პეტრიაშვილი** (74) მეორეზე გავიდა, **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60), **თედო ებანოიძე** (96) და გენო პეტრიაშვილი - მესამეზე. როგორც ვხედავთ, ამ მედალოსანთაგან გუნდში მხოლოდ გენო პეტრიაშვილი დარჩა, ხინჩეგაშვილი და მარსაგიშვილი კი აგვისტოში ოლიმპიადაზეც იჭიდავებენ.

ბერძენ-რომაელთა შარშანდელი ახალგაზრდული ევრომონაგარი 4 მედალია - 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო. მაშინ კონტინენტის ვიცე-ჩემპიონები **ნიკოლოზ ცეცხლაძე** (50) და **საჩინო დავითაია** (60) გახდნენ, **ზურაბ დათუნაშვილი** (74) და სანდრო დიხამინჯია (96) კი მესამეზე გავიდნენ. დღეს არც ერთი მათგანი არაა გუნდში, დათუნაშვილი კი, სავარაუდოდ, ოლიმპიადაზეც იჭიდავებს.

ირაკლი თავაძე

ლიცენზიატი. ძალოსნობა

# შეჯიბრებებს მოვრჩით... ოლიმპიადამდე!

**ამას წინათ ზუგდიდში ძალოსანთა საქართველოს ჩემპიონატში შესანიშნავად იასპარეზა 27 წლის ჩაქველმა მძიმეწონოსანმა ირაკლი თურმანიძემ, რომელმაც 197 კილოგრამი აიტაცა, 230 კილოგრამი აკრა და ჩემპიონობა ქვეყნის სამი რეკორდით მოიპოვა. საგულისხმოა, რომ თურმანიძის ახალი მიღწევები ორივე მოძრაობაში უწინდელზე 2-2 კილოგრამით, ორჭიდში კი 4 კილოგრამით მეტია.**



ირაკლი თურმანიძე

- ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ერთი დღეც არ დამისვენია - ნაკრების წევრებთან ერთად განვაგრძე ვარჯიში, მწვრთნელების მითითებებს ზუსტად ვასრულებდი და, როგორც ხედავთ, შედეგმაც არ დააყოვნა, - გვითხრა ირაკლიმ.

**- იმედია, ზუგდიდში მიღწეული შენთვის ზღვარი არ იქნება...**

- რა თქმა უნდა. მართალია, ბატონი ვანო გრიქუროვი ვარჯიშებზე ზედმეტად მძიმე წონების აწევით არ გვტვირთავს, მაგრამ ზოგჯერ ჩვენი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებასაც გვაძლევს. არაერთხელ დამიძლევია უფრო მძიმე წონები, ვიდრე ზუგდიდში ავწიე. ოლიმპიადაზე, სავარაუდოდ, ატაცში 200 და აკრაში 237 კილო გვაქვს დაგეგმილი, თუმცა თამაშების დაწყებამდე ჯერ კიდევ თვე-ნახევარზე მეტია დარჩენილი. ივნისის ბოლომდე ჩაქვში ვივარჯიშეთ, მერე დუშეთში განვაგრძობთ წვრთნას. იქვე საკონტროლო შეხვედრებიც გაიმართება, რომლის შემდეგაც გეგმებში, შესაძლოა, კორექტივებიც შევიტანოთ.

**- ირაკლი, ზემოთ წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი ახსენე. ამ შეჯიბრების საინტერესო ეპიზოდებს ხომ ვერ გაიხსენებ?**

- შარშან ყაზანში ევროპის ჩემპიონატზე ატაცში ვერცხლის მედალი მოვიპოვე, ორჭიდში კი მეოთხე ადგილი დავიკავე. ამიტომაც ანტალიაში გამგზავრებამდე მწვრთნელებიცა და ფედერაციის მესვეურები ჩემგან მედალს ელოდნენ, რაც დამატებითი წნეხი იყო, თუმცა საამისოდ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურადაც მზად ვიყავი.

თურქული საკურორტო ქალაქის ფიცარნაგზე მძიმე წონაში მართლაც მძიმე არტილერიამ მოიყარა თავი. განსაკუთრებით ორი ძალოსანი მინდა გამოვყო: პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებული, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი და ევროპის ჩემპიონატების სამგზის პრიზიორი, გერმანელი მატიას შტაინერი და რუსი ევროპის ჩემპიონი რუსლან ალბეგოვი. ტიტულოვანი ათლეტების მეტოქეობის მიუხედავად, ფიცარნაგზე გასვლის წინ არაფრის შემშინებია. ატაცში სამივე ცდა გამოვიყენე. მე და სომეხმა ჰაიკ აკობიანმა 195-195 კილო დავძლიეთ. პირადი წონით მასზე მსუბუქი აღმოვჩნდი და მცირე ოქროს მედალიც მე მერგო. აი, აკვრაში კი მიუტევებელი შეცდომა დავუშვი. ვარჯიშებისას ხშირად იოლად დამიძლევია 220 კილოგრამი, რომელიც ანტალიაში მწვრთნელებმა საწყის წონად შეუკვეთეს. უყურადღებოდ მოვეპყარი და ცდაც გამიცუდდა. მესამე ცდაზე 228-კილოიანი შტანგა დავიმორჩილე და ორჭიდში 423 კილოგრამით ბრინჯაოს მედალი დავიმსახურე. პირველი ცდა რომ არ გამეფუჭებინა, შესაძლოა, ორჭიდში მეორე ადგილზე გავსულიყავი, რადგან შტაინერმა მხოლოდ კილოგრამით გამისწრო. ალბეგოვის დაჯაბნა კი წარმოუდგენელ იყო, რადგან მან 238 კილო აკრა და ორჭიდში 429 კილოგრამით ყველას აჯობა. მსოფლიოს უძლიერეს ათლეტებთან ჩემი პაექრობა ანტალიით არ დასრულებულა - წინ ლონდონის ოლიმპიური ფიცარნაგია და მწვრთნელებისა თუ ქომაგების იმედების გასამართლებლად ყველაფერს ვილონებ...

ირაკლი თურმანიძემ 15 წლისამ დაიწყო ძალოსნობაში ვარჯიში **ბესო ბასილიასთან.** რამდენიმე თვის შემდეგ მის მშობლიურ ჩაქვში ჭაბუკთა შორის აჭარის პირველობა გაიმართა. ახალბედამ ყველას აჯობა და თასით დააჯილდოვეს. მწვრთნელისა და თანაკლასელების შექებამ ენთუზიაზმი შემატა - მეტი მონდომებით განაგრძო წვრთნა. 2007 წელს თბილისში გადმოვიდა სავარჯიშოდ; ყმაწვილის გულმოდგინება მხედველობიდან არ გამოპარვია ოლიმპიურ ჩემპიონ **გიორგი ასანიძეს,** რომელიც იმავე დარბაზში ემზადებოდა მორიგი შეჯიბრებისთვის. რჩევა-დარიგებებს აძლევდა ჭაბუკს. 2009 წელს თურმანიძემ საქართველოს ჩემპიონობა რომ მოიპოვა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა, როგორც ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, კორეაში წაიყვანა მსოფლიოს ჩემპიონატზე. შარშან და შარშანწინ პლანეტის უძლიერეს ათლეტებთან პაექრობაში ირაკლიმ ეროვნულ ნაკრებს ლონდონის ოლიმპიადისთვის ჩასათვლელი ქულები მისცა.

**- ირაკლი, ჭაბუკობისას ყველა სპორტსმენს თავისი კერპი ჰყავს, შენ ვის ბაძავდი?**

- ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადის შემდეგ ყველას პირზე ეკერა კახი კახიაშვილის სახელი, რომელიც კარიერის განმავლობაში სამჯერ ავიდა ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ასანიძის მაგალითიც მისაბაძი იყო თითოეული ჩვენგანისთვის. რა დამავიწყებს მის მიერ ცალი ხელით მოპოვებულ ვერცხლის მედალს. აბა, ავინ იფიქრებდა, რომ გიორგი უმძიმესი ოპერაციის შემდეგ ათენში ოქროს მედალს მოიხვეჭდა. მან კი ეს შეძლო და დაგვარწმუნა, რომ მონდომებისა და თავდადების შემთხვევაში შეუძლებელიც შესაძლებელია.

**- თავისუფალ დროს რას აკეთებ?**

- ახლა მთელი ჩვენი გულისყური ლონდონისკენაა მიმართული და ყოველმხრივ ვცდილობთ, ოლიმპიურ თამაშებს ოპტიმალურ ფორმაში შევხვდეთ. იშვიათად, თუმცა თავისუფალ დროსაც ვპოულობ. ზღვა აქვეა და განტვირთვის მიზნით ლურჯ ტალღებზე ნებივრობაც კარგია. ხან ფრენბურთს და ფეხბურთს ვთამაშობთ. შეძლებისდაგვარად, რეჟიმის დაურღვევლად, ევროპის ჩემპიონატის მატჩებსაც ვადევნებთ თვალს.

**- ვის ქომაგობთ?**

- გია მაჭავრიანი და რაულ ცირეკიძე უფრო ესპანეთისკენ იხრებიან. მე კი გერმანიას ვქომაგობ. კარგი ფეხბურთელები ჰყავს, ზურგს სასახელო ტრადიციები უმაგრებს. ასე რომ, მისი ჩემპიონობა გასაკვირი არავისთვის იქნება, თუმცა სპორტი სპორტია და მით უმეტეს ფინალურ ეტაპზე, სადაც ფსიქოლოგიური წნეხი უდიდეს როლს თამაშობს, ყველაფერია მოსალოდნელი.

**- ოლიმპიადამდე თქვენ თუ იასპარეზებთ რომელიმე შეჯიბრებაში?**

- როგორც ვიცი, მხოლოდ ახალგაზრდები გამოვლენ ევროპის პირველობაზე. ეროვნული ნაკრების წევრები კი წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით მიზანმიმართულად ვემზადებით ოლიმპიური თამაშებისთვის, ამიტომ შეჯიბრებებში მონაწილეობა გაუმართლებელი იქნება. ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი, ასევე, სხვა მწვრთნელები და ძალოსნობის ფედერაციის მესვეურები ყველაფერს აკეთებენ ჩვენთვის წვრთნისა და აქტიური დასვენებისთვის ყოველგვარი პირობების შესაქმნელად. ჩვენც ვეცდებით, ამგვარ ზრუნვას საქმით ვუპასუხოთ.

ვაჟა დანელია

ძიუდო. 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის წინ

# გორიდან მონტენეგრომდე

საქართველოს 17 წლამდე ძიუდოისტ ვაჟთა და გოგონათა ნაკრები გორში ევროპის ჩემპიონატის წინ ბოლო სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას გადის. ორივე ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გია თენაძეა,** ვაჟებთან მისი თანაშემწეა **გია რევაზიშვილი,** გოგონებთან - **კახა მოცრაძე.**

კონტინენტის ჩემპიონატი 22-24 ივნისს მონტენეგროში უნდა გაიმართოს. ამ შეჯიბრებისთვის სათანადოდ მოსამზადებლად გუნდებმა ერთად გაიარეს მოსამზადებელი შეკრებები, იასპარეზეს შიდა სარეიტინგო ტურნირებზე, ქვეყნის პირველობაზე და საერთაშორისო ტურნირებში ანთალიასა და კიევში, საიდანაც შინ 14 - 14 მედლით დაბრუნდნენ. გთავაზობთ ინტერვიუს გია თენაძესთან.

- ბოლო ორკვირიანი საწვრთნელი შეკრება 5 -ში დავიწყეთ და 19 ივნისს დავასრულებთ. სულ წლეულს ოთხი შეკრება გვქონდა - ორჯერ დუშეთში, ერთი ფიზიკური მომზადებისა ბაკურიანში და ახლა გორში.

**- ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელთა ვინაობა უკვე ცნობილია?**

- ვაჟთა ნაკრებში შედიან: ირაკლი კუპატაძე, ერეკლე არხოზაშვილი (50 კგ), გიორგი კაციაშვილი, ბექა ნათათრალიშვილი (55), კობა მჭედლიშვილი, ბექა უდესიანი (60), ბაჩანა ბოლქვაძე (66), თამაზ კირაკოზაშვილი, ზურაბ ლომიძე (73), ბექა შერაზადიშვილი, ნიკა მოველიძე (81), დავით რამაზაშვილი, გიორგი გველესიანი (90), გიორგი ძებისაშვილი, ზაზა გოჯიაშვილი (+90). გოგონა ორია - მარიამ ჯანაშვილი და გურანდა შოთაძე, ორივე 57 კგ-ში გამოვა.



**- ნაკრები რა პრინციპით შეირჩა?**

- გავითვალისწინეთ ყველა განვლილი შეჯიბრებების, განსაკუთრებით საქართველოს ჩემპიონატის შედეგები. გუნდში ყველა ღირსეული მოხვდა გარდა ორისა - ვანო ჩურჩხელაშვილი (73) და ზაზა მეგრელიშვილი (66) ტრავმის გამო გამოგვაკლდა. ამ ეტაპზე მეგრელიშვილის სრულფასოვანი შემცვლელი არ გვყავდა და მონტენეგროშიც ეს წონა ერთადერთი იქნება, სადაც ორი მონაწილე არ გვეყოლება.

**- ყველაზე ძნელი რომელ წონებში იყო არჩევანის გაკეთება?**

- 55 კგ-ში სამი დაახლოებით თანაბარი შესაძლებლობების მოჭიდავე გვყავდა - გიორგი კაციაშვილი, ბექა ნათათრალიშვილი და ერეკლე არხოზაშვილი. შეჯიბრებებზე ისინი მცირე გადანაცვლებებით, მაგრამ გამუდმებით კვარცხლბეკზე ხვდებოდნენ. ხან ერთს ჰქონდა უკეთესი შედეგი, ხან მეორეს, ხან მესამეს. საბოლოოდ ამ წონაში კაციაშვილის და ნათათრალიშვილის გამოსვლა ვამჯობინეთ, არხოზაშვილი კი 50 კგ-ში შევუწყვილეთ ქვეყნის ჩემპიონ კუპატაძეს. ერთგვარი დილემის წინაშე ვიყავით 81 კგ-ში ფავორიტის გამოვლენისას. აქ ბექა შერაზადიშვილს, ნიკა მოველიძესა და გიორგი ქურდიანს შორის გვიწევდა საუკეთესოს გამოვლენა. ისინიც დაახლოებით თანაბარ შედეგებს აღწევდნენ ტურნირებზე. ამიტომ პოლონეთში, ბოლო საერთაშორისო შეჯიბრებაზე სამივე წავიყვანეთ, შერაზადიშვილი ფინალში გავიდა და დანარჩენებს აჯობა. ქურდიანსა და მოველიძეს შორის კი საკონტროლო შეხვედრა ჩავატარეთ, რომელიც ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა და გუნდში შერაზადიშვილთან ერთად დაიკავა ადგილი.

**- ზოგადად როგორ შეაფასებდით წლევანდელი ნაკრების შესაძლებლობებს?**

- ჭაბუკთა ნაკრები თანაბარი ძალის ძიუდოისტებითაა დაკომპლექტებული, სტაბილური გუნდია. თუმცა, შარშანდელის დარად გამოკვეთილი ლიდერები აქ არ არიან. გასულ წელს ასეთები იყვნენ ლვინიაშვილი, თუშიშვილი და ჩოჩელი. ზოგადად ამჟამინდელი გუნდიდან კი გამიჭირდება გამორჩევა, რომლებისგანაც სხვებზე უკეთეს შედეგს მოველი.

**- გოგონებზე თუ ამყარებთ იმედს?**

- ორი მონაწილით მხოლოდ იმიტომ მივდივართ, რომ ისინი უკეთესად არიან მზად მაღალ დონეზე საასპარეზოდ. მარი ჯანაშვილი ისეთ კარგ ფორმაშია, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საპრიზო ადგილზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეს. არ გაგიკვირდეთ თუ გოგონებში ევროპის ჩემპიონითაც დავბრუნდებით საქართველოში.

ვასილ ბალახაძე
გორიდან
დავით ასპანიძის ფოტოები

ქართული სპორტი

● ტყვიის სროლა. გერმანიის ტურნირი



ლიზი კილაძე (მარცხნივ)

## ახალგაზრდული დუეტით

დღეს გერმანიის ქალაქ შულში იწყება ტრადიციული დიდი საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდა ტყვიის მსროლელთა შორის, რომელშიც საქართველოდან ორი ჩუბინი იასპარეზებს - თბილისელი **მარიამ ბლუაშვილი** და ქუთაისელი **ლიზი კილაძე**. კილაძე ჯერ მხოლოდ 12 წლისაა, თუმცა წლეულს საქართველოს ახალგაზრდული პირველობა მოიგო არცთუ ურიგო შედეგით - 369 ქულით. კიდევ უფრო უკეთესი შედეგი აქვს ბლუაშვილს - 373, რომელიც სულ ერთი წელიწადია, რაც ვარჯიშობს და დღითი დღე უმატებს. თავისი პირადი რეკორდი მან გერმანიაშივე დაამყარა საერთაშორისო ტურნირზე.

ჩვენები პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში დღესვე იასპარეზებენ, სპორტულიდან კი 16 ივნისს ისვრიან.

აქვე გეტყვით, რომ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** ამჟამად ერევანშია და თავისი მეშვიდე ოლიმპიადისთვის იქ ემზადება.

**ირაკლი თავაძე**

● ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

## ზონალური ჭიათურაში

2000-2001 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის საქართველოს ზონალური პირველობა იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით ქ. ჭიათურაში გაიმართა.

**კვარცხლბეკი**

**30 კგ.** ირაკლი იაკობიძე (ჭიათურა), 2. თორნიკე ჩაჩუა (ქუთაისი), 3. ნოდარ აბდუშელიშვილი (ჭიათურა).

**34 კგ.** 1. გიორგი ბენდელიანი (ცაგერი), 2. დიმიტრი ხუციშვილი (ჭიათურა), 3. ზურაბ მუშკუდიანი (ქუთაისი).

**38 კგ.** 1. ოთარ ფოფხაძე, 2. ლუკა კუპრაძე (ორივე - ზესტაფონი), 3. ჯემალ ტატიშვილი (ჭიათურა).

**42 კგ.** 1. გიორგი მანაგაძე (ქუთაისი), 2. გიორგი ბაკურაძე (ზესტაფონი), 3. ოთარ ნერგაძე (ქუთაისი).

**46 კგ.** 1. ილია სულამანიძე (ტყიბული), 2. ლუკა მეგრელიშვილი (ზესტაფონი), 3. ვანო ხითარიშვილი (საჩხერე).

**50 კგ.** 1. გოჩა ლვანჩლიანი, 2. სოსო ჭოლაძე (ორივე - ქუთაისი), 3. ავთანდილ კოპალიანი (ცაგერი).

**55 კგ.** 1. კახა სამყურაშვილი (საჩხერე), 2. შალვა სულამანიძე (ტყიბული), 3. ვახტანგ მაზმიშვილი (ქუთაისი).

**+55 კგ.** 1. ალექსი სვიანაძე, 2. ვანო მუმალაძე (ორივე - ზესტაფონი), 3. ბექა ციხილაძე (ცაგერი).

გამარჯვებულები და პრიზიორები ივნისის ბოლოს თბილისში ფინალურ ტურნირში იასპარეზებენ.

**ნუგზარ ხორგუაშვილი**

### ვაზუსტებთ!

„ლელოს" სამშაბათის ნომერში რუბრიკით „სპორტი და მეცნიერება" გამოქვეყნებულმა წერილმა „გენეტიკა მობრძანდება" დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტის სპეციალისტებში და გვთხოვენ ვაცნობოთ შპს „დნმ-დიაგნოსტიკის" საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, რაც, სამწუხაროდ, ხსენებულ პუბლიკაციასთან ერთად გაზეთში ვერ გავიდა პროგრამული პრობლემის გამო.

მაშ ასე: დარეკეთ (+995 32) 218 37 84, 599 55 61 97. დირექტორი - **ნანა კირეულიშვილი.**

# ოლიმპიური საქართველო 1952-2012

## ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებით და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება".
ხუან ანტონიო სამარანჩი

## ზაფხულის XVIII ოლიმპიური თამაშები, 1964 წ. ტოკიო, 10-24 ოქტომბერი






ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა) - I



ვაჟა კაჭარავა (ფრენბურთი) - I



რომან რურუა (ბ/რ ჭიდაობა) - II



გურამ სალარაძე (თ. ჭიდაობა) - II



შოთა ქველიაშვილი (ტყვიის სროლა) - II



ლევან მოსეშვილი (კალათბურთი) - II



გურამ კოსტავა (ფარიკაობა) - III

საქართველოდან ტოკიოში საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში გამოდიოდა 18 სპორტსმენი, რომელთა წილად მოდის 2 ოქროს, 4 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი. სულ - 11 ოლიმპიური ჯილდო



ნოდარ ხოხაშვილი (თ. ჭიდაობა) - III



დავით გვანცელაძე (ბ/რ ჭიდაობა) - III



ანზორ კიკნაძე (ძიუდო) - III



ფარნაოზ ჩიკვილაძე (ძიუდო) - III



ალექსანდრე ტუტკაევი (ცურვა) - IV



რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა) - V



როსტომ აბაშიძე (ბ/რ ჭიდაობა) - V



ბორის პოლულიახი (წყალში ხტომა) - VI



ზარბეგ ბერიაშვილი (თ. ჭიდაობა) - VI



ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი) - 1/4



შოთა ლომიძე (თ. ჭიდაობა) - IX

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი" /ზაურ ბოლქვაძე/

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მძლეოსნობა

● რეგიონი




# ჭაბუკებს აბაშამ უმასპინძლა

სამეგრელო-ზემო სვანეთის მძლეოსნობის რეგიონული ფედერაციის (პრეზიდენტი **რეზო ბუკია**) ინიციატივით ბოლო დროს ხშირად ეწყობა 13-14 წლის გოგო-ბიჭების სამხარეო შეჯიბრებები. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე სწორედ 1998-1999 წლებში დაბადებული მოზარდები იასპარეზებენ. რეგიონული ფედერაცია ყოველმხრივ ცდილობს საქართველოს ნაკრებისთვის ტალანტები შეარჩიოს.

მორიგ შეჯიბრებას - ანტონ დავითაიას მემორიალს - 150-მდე გოგო-ბიჭის მონაწილეობით ამჯერად აბაშამ უმასპინძლა ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს მესვეურთა თანადგომითა და დახმარებით.. გამარჯვებულები და პრიზიორები ოთხ-ოთხ სახეობაში გამოვლინდნენ. განსაკუთრებით თანატოლთა შორის საქართველოს ნაკრების წევრმა **მარიამ ჩაკაბერიამ** (ზუგდიდი) იყოჩაღა, რომელმაც ოთხი პირველი ადგილი დაიკავა. ბიჭებში ხობელი **გიორგი ახალაია** გამოირჩეოდა. აბაშის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ორივე ნორჩი სპორტსმენი ფასიანი საჩუქრებითა და ფულადი პრიზებით დააჯილდოვა. ფასიანი საჩუქრები სხვა პრიზიორებსაც ერგოთ. მემორიალის მონაწილეებისთვის აბაშის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად ექსკურსიაც მოეწყო.

ახლა კი გამარჯვებულთა და პრიზიორთა შედეგებს გაგაცნობთ:

**გოგონები. 60 მ.** 1. მარიამ ჩაკაბერია (ზუგდიდი, 7,74), 2. გულიკო გამზარდია (ფოთი, 8,00), 3. მეგი ლატარია (ზუგდიდი, 8,82). **300 მ.** 1. მარიამ ჩაკაბერია (44,61), 2. გულიკო გამზარდია (45,74), 3. მარი ჯომიდავა (ზუგდიდი, 47,2). **ესტაფეტა. 4X200.** 1. ზუგდიდი. 2. აბაშა, 3. ფოთი. **სიგრძეზე ხტომა.** 1. მარიამ ჩაკაბერია (4,90 მ), 2. გულიკო გამზარდია (4,61), 3. მარი ჯომიდავა (4,58).

**ვაჟები. 100 მ.** 1. გიორგი ახალაია (ხობი, 12,03), 2. დავით ჭედია (ზუგდიდი, 12,5), 3. რევაზ ყალიჩავა (ჩხოროწყუ, 12,60). **500 მ.** 1. დავით ჭედია (1.21,25), 2. დავით ლუკავა (ზუგდიდი, 1.22,34), 3. გიორგი ყურუა (ხობი, 1.22,44). **ესტაფეტა 4X200.** 1. ხობი. 2. ზუგდიდი, 3. აბაშა. **სიგრძეზე ხტომა.** 1. დავით ჭედია (5,18), 2. გიორგი ახალაია (5,10), 3. დავით ლუკავა (5,01).

**ვაჟა დანელია**

*ავტორის ფოტო*

### განცხადება

2012 წლის 14 ივლისს 14:00 სთ-ზე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდება საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა.

**საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გამგეობა**

## კალათბურთი

● სუპერლიგა. ქუთაისი

# ვერცხლის დებიუტი

ისევე როგორც **დავით უსტიაშვილს, გია კაზანჯიანსაც** ორ სხვადასხვა თემაზე ველაპარაკეთ. ორივე კალათბურთს ეხება, თუმცა ერთი საკლუბოა, მეორე - სანაკრებო. გია კაზანჯიანი „ოლიმპის" პარალელურად საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებს წვრთნის. თუ კადეტების ამბები გაინტერესებთ, ნაცრისფერ ფონში მოთავსებული ტექსტი წაიკითხეთ, 22-ე ჩემპიონატში „ოლიმპის" გამოსვლის შეფასებას კი ქვემოთ შეხვდებით.

- გარკვეულია, რომ მომავალ სეზონშიც ისეთივე გუნდი გვეყოლება, როგორიც ახლად დასრულებულ პირველობაზე. ხუთივე ლეგიონერს დავემშვიდობეთ. მათ კონტრაქტის ვადა ამოეწურათ, თუმცა არ არის გამორიცხული ერთი-ორი მომავალ სეზონში დავიბრუნოთ.

**- „ოლიმპმა" ფინალში ითამაშა, რაც დებიუტანტისთვის ურიგო შედეგი არ უნდა იყოს...**

- ოქტომბერში შეკრებილი გუნდისთვის ეს უდავოდ დადებითი შედეგია. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ შუა სეზონში არაერთი კალათბურთელი დაგვემატა. ზოგმა გაამართლა, ზოგმა - ვერა.

**- კონკრეტულად?**

- მაგალითად, ივან ტოდოროვიჩისგან მეტს ველოდით, ხოლო გიორგი ცინცაძე სეზონის ბოლოს ფორმაში შევიდა და დიდი დახმარება გაგვიწია. ფინალურ სერიაში „არმიასთან" საწყისი ორი მატჩი კარგად ვითამაშეთ. პირველში დავმარცხდით, მეორე - მოვიგეთ. სხვათა შორის, ეს იყო „არმიას" ერთადერთი წაგება გასულ ჩემპიონატში. მართლაც ძლიერი გუნდი იყო.

**- ლეგიონერებიდან ყველაზე მეტად ვინ გაამართლა იმედები?**

- ნიკოლა ტუტუსმა. თუმცა თავიდან შესაძლებლობების გამოვლენაში ტრავმამ შეუშალა ხელი - პირველ წრეში მხოლოდ ხუთი შეხვედრა ჩაატარა. ხელი ჰქონდა ნატკენი.

**- ტრავმებმა გააწვალეს ლაშა გამყრელიძეც.**

- მას მუხლიც აწუხებდა, წელიც... პლეი ოფში თითქმის ყველა მატჩი გამაყუჩებლით ითამაშა. გამყრელიძემ გუნდისთვის თავი არ დაზოგა, ბევრი იშრომა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები





### ასეთი ძლიერი ჯგუფი ჯერ არ ყოფილა

*საქართველოს კადეტთა ნაკრები 19 ივლისიდან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაერთვება (B დივიზიონი). ჯგუფში ქართველთა მეტოქენი იქნებიან რუმინეთი, ბოსნია, ესტონეთი და ჩერნოგორია.*

*- ასეთი ძლიერი შემადგენლობა ერთ ჯგუფში ჯერ არ ყოფილა. 16-წლამდელთა ასაკში ჩერნოგორიელებსაც, რუმინელებსაც, ესტონელებსაც და ბოსნიელებსაც ყოველთვის კარგი გუნდები ჰყავთ, - გვითხრა ქართველთა მწვრთნელმა გია კაზანჯიანმა.*

*ჩვენი კადეტთა ნაკრები უკვე შეიკრიბა და 20-კაციანი შემადგენლობით ვარჯიშობს.*

*- წვრთნას 31 ივნისს შევუდექით. ჯერ ფიზმომზადებას გავდივართ, 15 ივნისიდან კი ბურთით მუშაობაზე გადავალთ. ოფიციალურ მატჩებამდე ხუთ საკონტროლო შეხვედრას გავმართავთ. მინსკში ბელარუს 16-წლამდელებთან ორჯერ ვითამაშებთ, ხოლო ბრატისლავაში სლოვაკ თანატოლებთან - სამს.*

*კადეტთა ნაკრების შემადგენლობაზე უახლოეს მომავალში დავწერთ, გუნდი ბურთით მუშაობაზე რომ გადავა, ვარჯიშზე ვეწვევით და რეპორტაჟსაც შემოგთავაზებთ.*

**სეზონის მონაგარი**

| № | მოთამაშე | თ | წთ | 2ქ.ჩ. | 2ქ.ნ. | 2ქ% | 3ქ.ჩ. | 3ქ.ნ. | 3ქ% | 1ქ.ჩ. | 1ქ.ნ. | 1ქ% | ა.შ. | ა.დ. | ა | პ | ფ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ლაშა გამყრელიძე | 26 | 30.9 | 4.2 | 9.3 | 44.8 | 0.7 | 3 | 22.8 | 3 | 4.2 | 73.1 | 0.4 | 4 | 4.4 | 6.8 | 2.2 | 3.9 | 1.3 | 0 | 13.4 |
| 5 | გიორგი გულისაბედაშვილი | 26 | 19.3 | 1.2 | 2.4 | 48.4 | 0.7 | 2.5 | 26.6 | 0.3 | 0.5 | 50 | 0.6 | 1.8 | 2.4 | 1.2 | 1.3 | 0.9 | 1 | 0 | 4.5 |
| 6 | ლუკა მინაშვილი | 3 | 6.7 | 0 | 2 | 0 | 0 | 0.3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.3 | 1.7 | 2 | 0.3 | 0.7 | 0.3 | 0 | 0 | 0 |
| 7 | გიორგი ნანიტაშვილი | 16 | 8.1 | 0.7 | 1.1 | 61.1 | 0.4 | 1.3 | 30 | 0.3 | 0.4 | 83.3 | 0.2 | 0.9 | 1.1 | 0.8 | 1.4 | 0.6 | 0.4 | 0 | 2.8 |
| 8 | ტატო თავართქილაძე | 14 | 11.7 | 0.4 | 0.9 | 41.7 | 0.5 | 1.7 | 29.2 | 0.4 | 0.7 | 60 | 0.2 | 1.4 | 1.6 | 1.9 | 1.5 | 1.9 | 0.7 | 0.1 | 2.6 |
| 9 | ნოდარ სიგუა | 9 | 6.9 | 0.1 | 0.4 | 25 | 0 | 0.8 | 0 | 0.2 | 0.4 | 50 | 0 | 0.9 | 0.9 | 0.8 | 1 | 1.2 | 0.3 | 0 | 0.4 |
| 10 | ილიცა მილუტინოვიჩი | 29 | 20.6 | 3.3 | 6.4 | 51.9 | 0 | 0.3 | 12.5 | 1.5 | 3.1 | 48.3 | 1.6 | 5.4 | 7.1 | 1.5 | 2.3 | 1.5 | 0.6 | 1 | 8.2 |
| 11 | მიხეილ ბერიშვილი | 28 | 31.4 | 2.4 | 4.6 | 51.6 | 1.6 | 4.5 | 36.8 | 2.7 | 3.5 | 77.6 | 1.9 | 5.1 | 6.9 | 3.1 | 2.6 | 1.5 | 1.3 | 0.5 | 12.4 |
| 12 | ნიკიცა სლიუკა | 27 | 27 | 1.4 | 3.5 | 38.9 | 2.3 | 5.8 | 39.1 | 1.3 | 1.6 | 79.5 | 0.4 | 2 | 2.4 | 1.6 | 1.8 | 1.6 | 0.5 | 0 | 10.8 |
| 13 | კახა მუშლაძე | 10 | 5.4 | 0.4 | 1.6 | 25 | 0 | 0 | 0 | 0.6 | 1.1 | 54.5 | 0.6 | 0.9 | 1.5 | 0.1 | 0.4 | 0.4 | 0 | 0 | 1.4 |
| 14 | ნიკოლა ტუტუსი | 23 | 21.7 | 1.8 | 4 | 44.1 | 1.1 | 3.4 | 31.6 | 1.5 | 2.3 | 64.8 | 1.3 | 2.5 | 3.7 | 1.1 | 2.7 | 1 | 1 | 0.3 | 8.3 |
| 15 | ლევან სულაბერიძე | 6 | 5.2 | 0.5 | 2.3 | 21.4 | 0 | 0.2 | 0 | 0.5 | 0.7 | 75 | 0.7 | 0.3 | 1 | 0.2 | 1.8 | 0.5 | 0.2 | 0 | 1.5 |
| 21 | გიორგი ცინცაძე | 12 | 29.5 | 4.8 | 9.8 | 48.3 | 1.2 | 3.8 | 30.4 | 2.8 | 3.9 | 72.3 | 0.8 | 4.1 | 4.8 | 4.7 | 2.8 | 2.4 | 1.4 | 0.2 | 15.8 |
| 22 | ივან ტოდოროვიჩი | 16 | 20.9 | 4.6 | 9.1 | 50.3 | 0.1 | 0.2 | 66.7 | 1.5 | 4.1 | 36.4 | 2.3 | 4.4 | 6.7 | 0.6 | 2.9 | 2.7 | 1.1 | 0.8 | 11 |
| 25 | ივო ჰოზერი | 28 | 17.9 | 4.2 | 5.9 | 71.5 | 0 | 0.1 | 0 | 2.6 | 4.2 | 63.2 | 3.5 | 4 | 7.5 | 0.6 | 2.1 | 1.5 | 0.2 | 0.8 | 11.1 |

● 2001 წელს დაბადებულთა ფესტივალი

# რუსთავი პირველია

საკალათბურთო აკადემიის დარბაზში დასრულდა 2001 წელს დაბადებულთა ფესტივალი, რომლის ფინალში „რუსთავმა" დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა „ჰიუნდაი" - 32:29.

მესამე ადგილი „აკადემიას" დარჩა.

ტურნირის დასრულების შემდეგ საუკეთესო კალათბურთელებს საქართველოს ნაკრების მაისურები გადაეცათ.

ქვემოთ ტურნირის სრული სტატისტიკის ხილვა შეგიძლიათ.

**ჯგუფური ეტაპი**

**ჰიუნდაი-თბილისი 48:21**

13:10, 19:4, 12:2, 4:5

**ჰიუნდაი:** ფეიქრიშვილი 21, ქავთარაძე 13
**თბილისი:** გოდერძიშვილი 10, ჩიქობავა 4

**ორბი-ბასტიონი 14:34**

12:4, 13:2, 4:4, 5:4

**ორბი:** გორგაძე 8, შეყრილაძე 6
**ბასტიონი:** დარჩია 8

**აკადემია-რუსთავი 52:53**

15:10, 6:13, 12:14, 19:16

**აკადემია:** ზურაბაშვილი 42, ცხვირავაშვილი 4
**რუსთავი:** გუსაევი 18, ტაბალუა 9, პერტაია 7

**კარდინალები-გორი 16:23**

2:3, 2:4, 6:8, 6:8

**კარდინალები:** შარმიაშვილი 12
**გორი:** ქურდაძე 15, ხარხელი 4

**ორბი-ჰიუნდაი 19:29**

9:2, 5:11, 3:8, 2:8

**ორბი:** გორგაძე 9, ნიკოლაიშვილი 5
**ჰიუნდაი:** ფეიქრიშვილი 19, ქავთარაძე 4

**ბასტიონი-თბილისი 15:29**

4:6, 2:9, 3:8, 6:6

**ბასტიონი:** სილაგავა 6, მაჩალაძე 4, დარჩია 4
**თბილისი:** გოდერძიშვილი 14, ცომაშვილი 13

**გორი-რუსთავი 14:40**

2:10, 0:10, 3:10, 9:10

**გორი:** ქურდაძე 12, მძინარიშვილი 2
**რუსთავი:** ესებუა 8, მუსაევი 6

**კარდინალები-აკადემია 25:36**

7:0, 6:16, 11:8, 1:12

**კარდინალები:** შარმიაშვილი 17, დოლიძე 8
**აკადემია:** ზურაბაშვილი 29, ცხვირავაშვილი 4

**რუსთავი-კარდინალი 51:8**

11:0, 6:2, 14:2, 20:4

**რუსთავი:** ზ. ნოზაძე 12, ლ. პერტაია 10

**აკადემია-გორი 40:25**

13:9, 5:5, 12:6, 10:4

**აკადემია:** მ. ზურაბაშვილი 26
**გორი:** ვ. ქურდაძე 17

**თბილისი-ორბი 11:19**

4:2, 2:12, 2:2, 3:3

**თბილისი:** გოდერძიშვილი 5
**ორბი:** ნიკოლაიშვილი 8

**ჰიუნდაი-ბასტიონი 32:11**

12:2, 4:4, 14:2, 2:3

**ჰიუნდაი:** ბ. ფეიქრიშვილი 15
**ბასტიონი:** ა. დრავა 5ქ

**საბოლოო ცხრილი**

**A ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰიუნდაი | 3 | 3 | 0 | +58 | 6 |
| 2. ორბი | 3 | 2 | 1 | +18 | 5 |
| 3. თბილისი | 3 | 1 | 2 | -21 | 4 |
| 4. ბასტიონი | 3 | 0 | 3 | -55 | 3 |

**B ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 3 | 3 | 0 | +70 | 6 |
| 2. აკადემია | 3 | 2 | 1 | +25 | 5 |
| 3. გორი | 3 | 1 | 2 | -28 | 4 |
| 4. კარდინალები | 3 | 0 | 3 | -67 | 3 |

**ნახევარფინალი**

**რუსთავი-ორბი 31:24**

3:4, 10:3, 7:11, 11:6

**რუსთავი:** ლ. პერტაია 14ქ, გ. ტაბალუა 12ქ
**ორბი:** გ. გორგაძე 9ქ

**ჰიუნდაი-აკადემია 32:28**

8:8, 10:0, 8:14, 6:6

**ჰიუნდაი:** ბ. ფეიქრიშვილი 16ქ, დ. ქავთარაძე 13ქ
**აკადემია:** მ. ზურაბაშვილი 27ქ

**III ადგილი**

**ორბი-აკადემია 30:31**

2:7, 12:1, 6:9, 10:14

**ორბი:** გორგაძე 13, ნიკოლაიშვილი 8
**აკადემია:** ზურაბაშვილი 28

**ფინალი**

**ჰიუნდაი-რუსთავი 29:32**

7:11, 7:2, 4:9, 11:10

**ჰიუნდაი:** ფეიქრიშვილი 17, ქავთარაძე 12
**რუსთავი:** ტაბალუა 16, ნოზაძე 6, ესებუა 1, გოგაშვილი 2, მუსაევი 2, პერტაია 4, დოხნაძე 1, ხევიაშვილი, დარჩიაშვილი, უგულავა, კობახიძე, მეტრეველი

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაბუკთა ლიგა

# ოთხი საგზურისთვის შვიდი იბრძვის

**საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა A ლიგის გათამაშებასთან ერთად, რომლის მეხუთე ტურის მიმოხილვა გასულ კვირას შემოგთავაზეთ, განახლდა თამაშები B ლიგაშიც.**

შეგახსენებთ, რომ აქ გუნდები დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებში ოთხ ჯგუფში არიან განაწილებული. დასავლეთ ზონაში ჯგუფური ეტაპი უკვე დასრულდა. პლეი ოფში ქუთაისის პირველ, მეორე და მესამე გუნდებთან ერთად ფოთის რაინდებმაც გაალწიეს.

პლეი ოფში რვა საუკეთესო გუნდი ორ ჯგუფში განაწილდება. გადამწყვეტი ეტაპის მატჩები 6 სექტემბრიდან გაიმართება. მანამდე კი მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად ბრძოლა აღმოსავლეთ ზონაში გრძელდება. აქ A ჯგუფში დამაჯერებლად ლიდერობს „არმია“, რომელმაც მეცხრე ტურში შინ გაანადგურა აუტსაიდერი თელავის „მუტრუკები“ - 114:0. არმიელებს ახლა 41 ქულა აქვთ და უახლოეს მდევარ თბილისის „ჯიქებს“ შვიდი ქულით უსწრებს. „ჯიქებმა“ ასევე დიდი ანგარიშით შეძლეს ბოლო ხანს დაუძლურებული თბილისის „ყოჩების“ დამარცხება - 53:0.

„ჯიქებს“ ორი ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა რუსთავის „ხარები“, რომელმაც სტუმრად მოუგო თბილისის „ტორნადოს“ - 30:7. სავარაუდოდ პლეი ოფში გამსვლელი ორი ადგილისთვის ბრძოლა სწორედ ამ სამი გუნდის, „არმიას“, „ჯიქებისა“ და „ხარებს“ შორის წარიმართება, რადგან მეოთხეადგილოსანი „ლელო 1“ რუსთაველებს რვა ქულით ჩამორჩება. ლელოელებმა მეცხრე ტურში მოულოდნელად წააგეს გათამაშების დებიუტანტ თბილისის „ჯვაროსნებთან“ - 3:10. ამ მარცხის გამო „ლელო 1“-მა პლეი ოფში გასვლის შანსი დაკარგა.

**ჭაბუკთა B ლიგა**

**აღმოსავლეთი**

**A ჯგუფი**

**ჯიქები-ყოჩები 53:0, ტორნადო-ხარები 7:30, ლელო 2-ივერია 0:28, არმია-მუტრუკები 114:0, ჯვაროსნები-ლელო 1 10:3**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. არმია - 41 ქულა, 2. ჯიქები - 34, 3. ხარები - 32, 4. ლელო 1 - 24, 5. ტორნადო - 21, 6. ყოჩები - 20, 7. ჯვაროსნები - 19, 8. ივერია - 16, 9. ლელო 2 - 9, 10. ვეფხვები - 5, 11. მუტრუკები - 0.

## ოთხ მატჩში 469:6 (83:0; 115:3; 141:0; 130:3)

B ჯგუფში მდგომარეობა ბევრად უფრო დაძაბულია. აქ პლეი ოფის ორ საგზურზე რეალურ პრეტენზიას ერთბაშად ოთხი გუნდი აცხადებს. ესენია: თბილისური გუნდები „ლოკომოტივი 1“, „აკადემია“, „ხულიგანა“ და „არმაზი“.

სატურნირო ცხრილს სათავეში 37 ქულით რკინიგზელთა პირველი გუნდი უდგას, რომელმაც მეცხრე ტურში დიდი ანგარიშით სძლია თბილისის „ჩოხოსნებს“ - 83:0. ლოკომოტიველებს სამი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა „აკადემია“, რომელმაც „თიბისი“ გაანადგურა 115:3.

„ხულიგანასა“ და „არმაზს“, რომლებიც მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ, 33-33 ქულა დაუგროვდათ. „ხულიგანამ“ მეცხრე ტურში დებიუტანტი თბილისის „წიქარა“ მოსრა - 141:0. „არმაზმა“ კი ასევე უჩვეულოდ დიდი ანგარიშით დაამარცხა სტუმრად კასპის „თსუ ლომები“ - 130:3.

ამავე ჯგუფში დედოფლისწყაროს „მიმინომ“ შინ დაამარცხა თბილისის „ლოკომოტივი 2“ - 21:12.

**B ჯგუფი**

**აკადემია-თიბისი 115:3, თსუ ლომები-არმაზი 3:130, წიქარა-ხულიგანა 0:141, მიმინო-ლოკომოტივი 2 21:12, ლოკომოტივი 1-ჩოხოსნები 83:0.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლოკომოტივი 1 - 37 ქულა, 2. აკადემია - 34, 3. ხულიგანა - 33, 4. არმაზი - 33, 5. კახები - 25, 6. მიმინო - 18, 7. ჩოხოსნები - 14, 8. თიბისი - 12, 9. თსუ ლომები - 11, 10. ლოკომოტივი 2 - 1, 11. წიქარა - 0.

ლეგიონერები



გოდერძი შველიძე (მარჯვენივ)

# ქართველებზე მოთხოვნა ისევ დიდია

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის გათამაშება თითქმის ყველა დივიზიონში დასრულდა. ერთადერთი შეხვედრა, რომელიც გასამართი დარჩა, ფედერალ 1 დივიზიონის ფინალია. აქ შალვა სუთიაშვილის, არჩილ კობაურისა და დავით აშვეთიას „მასი“ დაუპირისპირდება „კოლომიეს“. ორივე გუნდმა ელიტური, მეორე დივიზიონის საგზური უკვე მოიპოვა, თუმცა დივიზიონის საუკეთესო გუნდის ვინაობა მაინც უნდა გამოვლინდეს.**

აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდმა გამორიცხული არ არის რამდენიმე ქართველი მორაგბე დაიტოვოს. „მასიმ“ კონტრაქტი გაუხანგრძლივა აშვეთიას, სუთიაშვილს კი ხელშეკრულების მიხედვით კიდევ ერთი წელი აქვს სათამაშო.

ამასობაში, ელიტური, პირველი დივიზიონის „მონპელიე“ დატოვა და მეორე დივიზიონში გავარდნილ „ბრივთან“ გააფორმა კონტრაქტი საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯმა **გოდერძი შველიძემ.** ამ კლუბში მომავალ სეზონში მასთან ერთად **დავით ხინჩაგიშვილი** და **ირაკლი ნატრიაშვილი** ითამაშებენ.

ელიტურ პირველ დივიზიონში ხელმოცარული „ლიონი“ დატოვა და მეორე დივიზიონში მოასპარეზე „დაქსში“ გადაბარგდა კიდევ ერთი ქართველი შერკინების ბურჯი **ტარიელ რატიანიძე.** მანამდე კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამავე გუნდთან გააფორმა ხელშეკრულება „აჟენის“ პირველხაზელმა **ბექა შეყლაშვილმა.** თუმცა უკვე რამდენიმე დღეა მისი სახელი და გვარი სატრანსფერო სიებში აღარ ფიგურირებს, რის გამოც უნდა ვივარაუდოთ, რომ შეყლაშვილი „აჟენში“ დარჩა.

სავარაუდოდ, თავიანთ კლუბებს დატოვებენ და ახალ გუნდებში განაგრძობენ კარიერას **დავით კაჭარავა** (ნიცა), **თედო ზიბზიბაძე** (პერიგო) და **გიორგი ჩხაიძე** (სენ ჟუნიენი). სამივე ამჟამად საქართველოს ნაკრებშია და აშშ-ში იმყოფება. რომელ გუნდებში ითამაშებენ ისინი მომავალში, ჯერჯერობით უცნობია.

რეიტინგი


იაპონია-ტონგა

# მეტოქეთაგან მხოლოდ კანადა გვისწრებს

**საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს კლასიფიკაციაში ერთი საფეხურით წინ წაიწია და დღესდღეობით 70,26 ქულით მე-14 ადგილზეა. ეს პროგრესი უწინარესად იმითაა განპირობებული, რომ აქამდე ჩვენ წინ მყოფმა იაპონიის ნაკრებმა წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების ერთა თასის გათამაშებაში ზედიზედ ორი მატჩი წააგო და დაქვეითდა.**

შეგახსენებთ, რომ იაპონელები, რომლებსაც ახალი მწვრთნელი ავსტრალიელი **ედი ჯოუნზი** ხელმძღვანელობს ნოემბრის ტესტებზე თბილისში გვეწვევა. ამდენად, ჩვენთვის საინტერესოა, როგორ ასპარეზობენ ამომავალი მზის ქვეყნის შვილები სხვადასხვა რანგის ტურნირებზე.

წყნარი ოკეანის აუზი ქვეყნების ერთა თასის გათამაშებაში იაპონიის ნაკრებმა პირველ მატჩში ფიჯის ეროვნულ გუნდთან 19:25 წააგო. იაპონელთა მსგავსად ნოემბერში, თბილისში ფიჯელებსაც ვიხილავთ. მეორე ტურში ედი ჯოუნზის სამწყსო ტონგასთან დამარცხდა - 20:24. ფიჯი კი ვერას გახდა სამოასთან - 26:29.

ამრიგად იაპონიამ მსოფლიოს კლასიფიკაციაში მე-16 ადგილზე გადაინაცვლა, ფიჯი მე-15 საფეხურზე დამკვიდრდა, ჩვენი გუნდი კი, როგორც უკვე ვთქვით, მე-14 ადგილზეა. იმ გუნდებიდან, ვინც წლეულს ტესტებზე გვეპაექრება, კლასიფიკაციაში მხოლოდ კანადის ნაკრები გვისწრებს, რომელმაც 72,92 ქულა დააგროვა და ამჟამად მე-13 საფეხურზეა. აშშ-ის ეროვნულ გუნდს კი 65,63 ქულა აქვს და მე-17 ადგილზეა.

**IRB-ის რეიტინგი**

1. ახალი ზელანდია - 91,43 ქულა, 2. ავსტრალია - 86,42. 3. სამხრეთ აფრიკა - 84,97. 4. ინგლისი - 82,99. 5. უელსი - 82,89. 6. საფრანგეთი - 81,91. 7. არგენტინა - 80,36. 8. ირლანდია - 79,85. 9. სამოა - 77,23. 10. ტონგა - 76,19. 11. შოტლანდია - 75,86. 12. იტალია - 74,08. 13. კანადა - 72,92. 14. საქართველო - 70,26. 15. ფიჯი - 69,91. 16. იაპონია - 68,34. 17. აშშ - 65,63. 18. რუმინეთი - 64,54, 19. ესპანეთი - 61,63. 20. ნამიბია - 61,24. 21. რუსეთი - 61,07. 22. ურუგვაი - 60,95. 23. ბელგია - 59,17. 24. ჩილე - 58,32. 25. პორტუგალია - 57,75.

მეტოქეები

# ბუქარესტშიც ძალიან ცხელა

**სანამ საქართველოს ნაკრები ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დენვერში მასპინძელთა ნაკრებთან საასპარეზოდ ემზადება, ჩვენი მეტოქეები 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში, რუმინეთის, რუსეთისა და პორტუგალიის ეროვნული გუნდები, ბუქარესტში IRB-ის ერთა თასის გათამაშებაში მონაწილეობენ.**

შეჯიბრებაში მეორე ტურის მატჩები გაიმართა, რომელშიც ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა მასპინძელთა გუნდმა. „სტეჟარიმ“, რომლის ძირითად შემადგენლობაშიც ქართველმა შერკინების კვაჭმა **ოთარ ტურაშვილმა** ითამაშა, საკმაოდ ძლიერი, ტურნირის ფავორიტი არგენტინის A ნაკრები დაამარცხა - 23:21. რუსებმა კი დაძაბულ ბრძოლაში მოუგეს ურუგვაის ეროვნულ გუნდს - 19:13. **ვალერი ცნობილაძე** რუსთა ძირითად შემადგენლობაში იყო, **ვასილ კვერნაძე** კი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო. რუსებმა ამ ტურნირზე პირველად მოიგეს.

ორი მატჩიდან ორივე წააგო „ბორჯღალოსნების“ კიდევ ერთმა მეტოქემ, პორტუგალიის ნაკრებმა. „ლობუშებმა“ პირველ ტურში მარცხის შემდეგ არგენტინის A ნაკრებთან - 9:41, მეორე ტურშიც ვერაფერი მოუხერხეს იტალიის A ნაკრებს - 21:28.

**I ტური**

**რუმინეთი-ურუგვაი 29:9, რუსეთი-იტალია A 17:33, პორტუგალია-არგენტინა A 9:41.**

**II ტური**

**პორტუგალია-იტალია A 21:28, რუმინეთი-არგენტინა A 23:21, რუსეთი-ურუგვაი 19:13.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. იტალია A - 9 ქულა, 2. რუმინეთი - 8, 3. არგენტინა A - 6, 4. რუსეთი - 4, 5. ურუგვაი - 1, 6. პორტუგალია - 1.**

ევროთასები

# ჰაინეკენზე წილი ნაყარია

## პირველად ქართული რაგბის ისტორიაში ჩვენებური ბრიტანულ გუნდში გამოჩნდება

ევროთასების გათამაშების ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში, „ჰაინეკენის თასზე“ მომავალ სეზონში ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდი იასპარეზებს. პირველად ქართული რაგბის ისტორიაში გამოჩნდება ჩვენებური მორაგბე ბრიტანულ გუნდში. შოტლანდიური „ედინბურგის“ ღირსებას, რომელიც კენჭისყრის შედეგად A ჯგუფში მოხვდა, საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **დიმიტრი ბასილაია** დაიცავს.

F ჯგუფში ერთად მოხვდნენ **დავით ქუბრიაშვილისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონი“ და **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიე“. ამათ გარდა „ჰაინეკენის თასისთვის“ იბრძოლებენ **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“, **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი“ და **ჯაბა ბრეგვაძისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „ტულუზი“.

**ჰაინეკენის თასი**

**A ჯგუფი:** მანსტერი (ირ), ედინბურგი (შოტ), სარასენზი (ინგ), მეტრო რასინგი (საფ)

**B ჯგუფი:** ტულუზი (საფ), ლესტერი (ინგ), ოსფრიზი (უელ), ბენეტონი (იტ)

**C ჯგუფი:** ბიარიცი (საფ), ჰარლიქვინზი (ინგ), ქონოთი (ირლ), ზებრე (იტ)

**D ჯგუფი:** ნორსჰემპთონი (ინგ), ალსტერი (ირლ), გლაზგო (შოტ), კასტრი (საფ).

**E ჯგუფი:** ლენსტერი (ირლ), კლერმონი (საფ), ჰლანეჰლი (უელ), ექსეტრი (ინგ)

**F ჯგუფი:** კარდიფი (უელ), ტულონი (საფ), სეილ შარქსი (ინგ), მონპელიე (საფ).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

● კრივი



მენი პაკიაო და ფლოიდ მეივეზერი

# ნააგო, მაგრამ არ დაქვეითდა

მასშემდეგ, რაც **ფლოიდ მეივეზერმა** 5 მაისს **მიგელ კოტო** დაამარცხა, პრესტიჟული ამერიკული გამოცემის - The Ring Magazine-ის ექსპერტები იმ აზრამდე მივიდნენ, რომ მეივეზერმა საკმარისი გააკეთა იმისთვის, რომ ჟურნალის ცნობილ რეიტინგში **მენი პაკიაოს** გათანაბრებოდა. თუმცა ამერიკელი ფილიპინელზე მაღლა არ დააყენეს - ფლოიდმა და მენიმ მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს, კლასიფიკაციის პირველი ადგილი კი ვაკანტური დარჩა.

პაკიაოს შეეძლო პირველი ადგილი დაებრუნებინა 9 ივნისს, ამერიკელი **ტიმოტი ბრედლის** დამარცხების შემთხვევაში, ხოლო თუ წააგებდა, პირველ პოზიციაზე ამჟამად ციხეში მყოფი მეივეზერი გადავიდოდა. გულშემატკივართა და ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პაკიაომ დამაჯერებლად დაამარცხა ბრედლი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - ის ამ ბრძოლაში დამარცხებულად გამოაცხადეს. ხოლო წაგება, თუნდაც საკამათო, ჩვეულებრივ, რეიტინგში დაქვეითებას იწვევს.

ამასთან დაკავშირებით გაჩნდა რამდენიმე მოსაზრება: დაეტოვებინათ ყველაფერი ისე, როგორც არის, ან მეივეზერი გაეშვათ პირველ ადგილზე. The Ring Magazine-ის საექსპერტო საბჭოს მთავარი არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ პაკიაომ დაჩაგრა ბრედლი, თუმცა ეს ვერ დაინახეს მსაჯებმა - **როსმა** და **ფორდმა**. პაკიაო არ უნდა დაისაჯოს იმის გამო, რისი კონტროლიც საექსპერტო საბჭოს არ შეუძლია. საპირისპირო გადაწყვეტილება კი მსაჯების სამარცხვინო მუშაობის მდუმარე მოწონება იქნება.

*„არ მგონია, რომ პაკიაო უნდა დაისაჯოს ორი რეგვენი მსაჯის გამო. მენი დომინირებდა იმ მოკრივეზე, რომელსაც აქამდე წაგება არ ჰქონდა და P4P-ის რეიტინგის საუკეთესო ათეულში შედის“*, - განაცხადა Ringtv.com-ის რედაქტორმა **დუგ ფიშერმა**.

საბოლოოდ, შემდეგნაირად გადაწყდა: პაკიაო და მეივეზერი რჩებიან რეიტინგის მეორე ადგილზე, საუკეთესო მოკრივის ტიტული კი ისევ ვაკანტურია.

**საუკეთესო ათეული**

| | |
|---|---|
| 1. ვაკანტური | |
| 2. მენი პაკიაო | 445 |
| 2. ფლოიდ მეივეზერი | 38 |
| 3. სერხიო მარტინესი | 110 |
| 4. ნონიტო დონერი | 162 |
| 5. ანდრე უორდი | 60 |
| 6. ხუან მანუელ მარკესი | 270 |
| 7. ვლადიმერ ვლიჩკო | 94 |
| 8. ტიმოტი ბრედლი | 90 |
| 9. ვიტალი კლიჩკო | 26 |
| 10. ჩედ დოუსონი | 6 |

*შენიშვნა: მოკრივის გასწვრივ მოცემულია მოკრივის მიერ რეიტინგში გატარებული კვირების რაოდენობა

# ევანდერს სახლი გაუყიდეს

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიყიდა სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონის **ევანდერ ჰოლიფილდის** სახლი. მასში აუქციონზე 7.5 მილიონი დოლარი გადაიხადეს.

სახლი გასაყიდად ვალების გამო გაიტანეს - ჰოლიფილდს 14 მილიონი დოლარის ოდენობის ვალი დაუგროვდა. სახლის საერთო ფართობია 52 ათასი კვადრატული მეტრი, ის ქალაქ ატლანტას გარეუბანში მდებარეობს.

შეგახსენებთ, რომ ჰოლიფილდს ციხე ემუქრებოდა იმის გამო, რომ საკუთარ ქალიშვილს ალიმენტს არ უხდიდა. შესაბამისმა ვალმა 372 ათასი დოლარი შეადგინა. ამასთან დაკავშირებით ჯორჯიას შტატის სასამართლოს მიმართა 18 წლის **ემანი ჰოლიფილდმა**. მისი ინფორმაციით, სახელგანთქმული მოკრივე 2010 წლის აპრილიდან არ იხდიდა ალიმენტს. ადვოკატებმა ჰოლიფილდის ქონების დაყადაღება მოითხოვეს, თავად სპორტსმენი კი დაკავებული იყო იქამდე, სანამ თავის ქალიშვილს ვალს არ გაუსტუმრებდა.

49 წლის ჰოლიფილდი დღემდე ოფიციალურად არ წასულა დიდი სპორტიდან. მან რამდენჯერმე გამოთქვა ძმები **კლიჩკოებიდან** ერთ-ერთთან ბრძოლის სურვილი. გარკვეულწილად, ეს ბრძოლა ორივე მხარისთვის მისაღებია – კლიჩკოები, სავარაუდოდ, მორიგ გამარჯვებას ჩაიწერდნენ აქტივში, ამერიკელი კი ნაწილობრივ მაინც მოაგვარებდა თავის ფინანსურ პრობლემებს.



● ჩოგბურთი

# მარიას რუსეთი ჩააბარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **შამილ ტარპიშჩევმა** დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ როლან გაროსის ახალი ჩემპიონი **მარია შარაპოვა** ლონდონის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე რუსეთის ოლიმპიური ნაკრების მედროშე იქნება.

ეს ინფორმაცია რუსულ პრესაში გუშინ გაჩნდა, თუმცა რუსეთის სპორტის მინისტრმა **ვიტალი მუტკომ** განაცხადა, რომ მარია მედროშეობის ერთ-ერთი და არა ერთადერთი კანდიდატია. ეს საკითხი 10-11 ივლისს რუსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე გადაწყდება.

ტარპიშჩევის თქმით, შარაპოვას ნამდვილად ანდობენ გახსნის ცერემონიაზე რუსეთის დროშას, რადგან მას ამ საკითხზე აზრი ჰკითხეს. შარაპოვამ თანხმობა განაცხადა, შესაბამისად, უცნაური იქნება, თუ ამის შემდეგ რუსების მედროშედ ვინმე სხვა სპორტსმენს აირჩევენ.

მარია შარაპოვა მესამე ჩოგბურთელი იქნება, ვინც ლონდონის ზაფხულის თამაშების გახსნაზე თავისი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებს წინ წარუძღვება. მანამდე სერბეთისა და ესპანეთის ნაკრების მედროშეებად გამოაცხადეს მსოფლიოს პირველი და მეორე ჩოგნები - **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **რაფაელ ნადალი**.



მარია შარაპოვა

# უიმბლდონზე ველური ბარათები დაარიგეს

## ენდი მიურეიმ უიმბლდონისთვის მზადება წაგებით დაიწყო

უიმბლდონის ორგანიზატორებმა „დიდი სლემის“ რიგით მესამე ტურნირზე უაილდ-ქარდის მფლობელები დაასახელეს, რომლებიც ამის წყალობით, კვალიფიკაციის გავლის გარეშე მოხვდებიან უიმბლდონის ძირითად ბადეში. წელს ეს ტურნირი 25 ივნისს დაიწყება და 8 ივლისს დასრულდება.

მამაკაცთა ტურნირში მონაწილეობის უფლება მიიღო მსოფლიოს 205-ე ჩოგანმა, ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმა**, რომელიც 2002 წელს იყო უიმბლდონის ჩემპიონი. მას შეუერთდა მსოფლიოს 87-ე ნომერი, გერმანელი **ტომი ჰაასი** (2009 წლის უიმბლდონის ნახევარფინალისტი), ბელგიელი **დავიდ გოფენი** (64-ე ჩოგანი), რომელმაც წელს როლან გაროსზე მერვედფინალამდე გააღწია, აგრეთვე ბრიტანელები - **ჯეიმი ბეიკერი** (203) და **ჯოშუა გუდოლი** (227). უაილდ ქარდის კიდევ ერთი მფლობელის ვინაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ქალთა ტურნირზე ძირითად ბადეში მოხვედრის გარანტია მიიღეს ყაზახმა **იაროსლავა შვედოვამ** (62), ფრანგმა **ვირჟინ რაზანომ** (90), რომელმაც როლან გაროსის პირველ წრეში **სერენა უილიამსს** მოუგო და აგრეთვე ბრიტანეთის ოთხმა წარმომადგენელმა - **ჰიზერ უოტსონმა** (111), **ლორა რობსონმა** (114), **იოჰან კონტამ** (214) და **ნაომი ბროუდიმ** (219).

ქალებს შორის კიდევ ორი უაილდ-ქარდია დასარიგებელი.

■ ■ ■

ამასობაში, წამყვანი ჩოგბურთელები აგრძელებენ მზადებას უიმბლდონისთვის. კვლავ პრობლემები აქვს ამ ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს, ბრიტანელი გულშემატკივრების მთავარ იმედს **ენდი მიურეის**. ის გუშინ მეორე წრიდან ჩაება ლონდონის "ქუინზ კლაბის" ტურნირში და სენსაციური მარცხი იწვნია. მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი კლასიფიკაციის 65-ე ნომერთან, 30 წლის ფრანგ **ნიკოლა მაუსთან** დამარცხდა – 3:6, 7:6(4), 6:7(1).

მიურეიმ ამ მატჩში ორი ბრეიკი გააკეთა, თუმცა სამჯერ დათმო საკუთარი მოწოდება. მაუმ ორი საათისა და 35 წუთის განმავლობაში 13 ეისი შეასრულა და ექვსი ორმაგი შეცდომა დაუშვა. მან კარიერაში პირველად დაამარცხა მიურეი.

შეგახსენებთ, რომ ენდიმ როლან გაროსზე მეოთხედფინალამდე მიაღწია და იქ **დავიდ ფერერთან** წააგო. თუმცა ბრიტანელი მთელი ტურნირი ზურგის ტრავმით თამაშობდა და როგორც ჩანს, ბოლომდე არ არის გამოჯანმრთელებული.



ენდი მიურეი

● ამბები

**ველოსპორტი**

### შლეკი ტურ დე ფრანსს გამოტოვებს

თანამედროვე ველოსპორტის ერთ-ერთი ლიდერი, ველოსაჯინიბო RadioShack-ის წევრი **ანდი შლეკი** გამოტოვებს 2012 წლის ტურ დე ფრანსს. ლუქსემბურგელმა ამის შესახებ გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა.

შლეკმა ეს გადაწყვეტილება გასულ კვირას, კლასიკური ველორბოლის - "კრიტერიუმ დოფინეს" დროს მიღებული ტრავმის გამო მიიღო.

შეგახსენებთ, რომ შლეკი **ალბერტო კონტადორის** დისკვალიფიკაციის შემდეგ, 2010 წლის ტურ დე ფრანსის გამარჯვებულად გამოაცხადეს. გარდა ამისა, ის ორჯერ იყო ფრანგული ველომარათონის ვიცე-ჩემპიონი.

**ჰოკეი**

### ბროდო ჰოკეის ერთგულია

"ნიუ ჯერსი დევილზის" მეკარემ **მარტინ ბროდომ** სტენლის თასის ფინალის წაგების შემდეგ განაცხადა, რომ არ აპირებს კარიერის დასრულებას.

*"ამ სეზონმა, კერძოდ კი პლეი ოფმა, ბევრ კითხვას გასცა პასუხი. ამიტომაც გამორიცხული არ არის, რომ გავაგრძელებ კარიერას"*, - ამბობს 40 წლის მეკარე.

ბროდო დაელოდება პირველ ივლისს, როცა NHL-ში გაიხსნება თავისუფალი აგენტების ბაზარი. ბუნებრივია, მას ექნება სხვა კლუბებისგან შეთავაზებები, თუმცა მარტინი ამბობს, რომ "დევილზის" გარდა, სხვა ვარიანტების განხილვას არ აპირებს.

■ ■ ■

ბროდოსგან განსხვავებით, "ნიუ ჯერსის" ფორვარდი **ზაკ პარიზე** არ ჰპირდება გულშემატკივრებს "ეშმაკების" რიგებში დარჩენას. თუმცა კლუბის ერთ-ერთმა ლიდერმა ნამდვილად იცის, რომ "რეინჯერსში" არავითარ შემთხვევაში არ გადავა.

*"შეიძლება თუ არა გადავიდე "რეინჯერსში"?. ეს ნამდვილად არ მოხდება, - ამბობს ფორვარდი. – ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შემიძლია. დრო მოსაფიქრებლად კიდევ არის, თუმცა მესმის, რომ მალე მომიწევს არჩევანის გაკეთება".*

**ფორმულა 1**

### ბერლინში ცვილის ფეტელს დადგამენ

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის **სებასტიან ფეტელის** ცვილის ფიგურა გაჩნდება ბერლინში – მადამ ტიუსოს მუზეუმის ფილიალში. ამჟამად 24 წლის პილოტის სკულპტურაზე მუზეუმის 14 თანამშრომელი მუშაობს. წინასწარი შეფასებით, ფეტელის "ასლი" დაახლოებით 200 ათასი ევრო დაჯდება.

მრბოლელთა ფიგურები ყოველთვის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. შეგახსენებთ, რომ ლონდონის მუზეუმში შესაძლებელია **ლუის ჰემილტონის** ფიგურის ხილვა, სიდნეიში – **მარკ უებერისა**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი. NBA. ფინალი



ჯეიმსი მხოლოდ სამი მეოთხედი იყო კარგი

# მეოთხე მეოთხედის სინდრომი

ფინალური სერიის პირველი მატჩის არცთუ ისე დამაჯერებელი დასაწყისის მიუხედავად, „ოკლაჰომამ" შეძლო „მაიამის" დამარცხება მეორე ტაიმში ნაჩვენები ბრწყინვალე დაცვისა და **დურანტისა** და **უესტბრუკის** ჯამური 63 ქულის წყალობით.

შეხვედრის დებიუტში „ჰიტის" შეტევაში „მეორე ეშელონის" კალათბურთელები აქტიურობდნენ. ასე მაგალითად, პირველ მეოთხედში სტუმრებმა ხუთი სამქულიანი ჩააგდეს, თანაც თავი გამოიჩინეს „მაიამის" ნაკლებად შედეგიანმა მოთამაშეებმა: სამი შორეული ტყორცნა ჩაიწერა აქტივში **ბატიემ**, კიდევ ორი - **ჩელმერსმა**. მოედნის მეორე მხარეს ერთი მსახიობის თეატრს ვუყურებდით. **დურანტმა** თავისი გუნდის პირველი 16 ქულიდან 11 თავის ანგარიშზე მიითვალა. რეგულარულის საუკეთესო სნაიპერს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რადგან მის პარტნიორებს ბევრი არაფერი გამოსდიოდათ: **სეფოლოშა** შეცდომებს უშვებდა, **პერკინსმა** გარბენი გააკეთა, **უესტბრუკმა** „ღია" სამქულიანი გააფუჭა... სიტუაცია ოდნავ გამოსწორდა **ჰარდენისა** და **ფიშერის** მოედანზე გამოსვლის შემდეგ. სწორედ ჰარდენს ეკუთვნის მეოთხედის ბოლო წამზე ჩაგდებული ბურთი, რომლის შემდეგაც სტუმრების უპირატესობა შვიდ ქულას შეადგენდა.

მეორე მეოთხედში „მაიამის" დომინირება გაგრძელდა. ბატიეს მორიგმა წარმატებამ და **ლებრონ ჯეიმსის** ექვსმა ქულამ „ჰიტს" 8:0 გაქცევა მოუტანა და მე-15 წუთისთვის სხვაობა უკვე სერიოზული იყო - 13 ქულა. ამასთან, გრძელდებოდა **ბრუქსის** შეგირდების პრობლემები შეტევაში. უესტბრუკმა და ჰარდენმა პირველი ათი ცდიდან მხოლოდ ორი გამოიყენეს. მეტოქის გაქცევა ფიშერმა შეაჩერა, რომლის ზედიზედ ორი ზუსტი ტყორცნის შემდეგ, **სპოელსტრა** იძულებული გახდა ტაიმ-აუტი აეღო. განსაკუთრებით საინტერესო იყო სწრაფი გარღვევა, რომელიც ვეტერანმა თავად დაიწყო და დაასრულა. და ეს 37 წლის ასაკში.

თუმცა ეს არ ყოფილა თამაშში გარდატეხის მომენტი. დიდ შესვენებამდე ორი წუთით ადრე სტუმრების მორიგი სამქულიანი **ბოშმა** ჩააგდო, რასაც უეიდის რთული ორქულიანიც დაემატა, რითაც „მაიამიმ" შეინარჩუნა ორნიშნა უპირატესობა. მხოლოდ უესტბრუკის წარმატებამ მეოთხედის ბოლოს მასპინძლებს სხვაობის 7 ქულამდე შემცირების საშუალება მისცა. რასელმა ორჯერ კარგი პასი მისცა **იბაკას**, შემდეგ კი თავად დაასრულა სწრაფი კონტრშეტევა.

უესტბრუკის ენერგია არსად გამქრალა და ის მესამე მეოთხედის დასაწყისში „თანდერის" სხვა მოთამაშეებსაც გადაედოთ. მეორე ტაიმი დურანტის სამქულიანითა და სეფოლოშას საჯარიმოებით დაიწყო. ამას დაემატა მასპინძლების მხრიდან აქტიური პრესინგი - საწყისი ორი წუთის განმავლობაში „ოკლაჰომამ" სამი ჩაჭრა დააგროვა. შესაბამისად, მასპინძლების ჩამორჩენა მინიმუმამდე დავიდა. მაგრამ „თანდერის" მთავარი მიღწევა ის იყო, რომ მეტოქე სტატიკურ შეტევებზე გადაიყვანა. თუ პირველ ტაიმში „მაიამი" კარგ გუნდურ თამაშს აჩვენებდა, მეორეში ინდივიდუალურ მოქმედებაზე გადავიდა. თუმცა საშემსრულებლო ოსტატობის მაღალი დონის წყალობით „ჰიტი" ინარჩუნებდა ლიდერობას. როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებით აქტიურობდა ჯეიმსი. მესამე მეოთხედში სეზონის MVP-მ ცხრა ქულა დააგროვა (გუნდური მონაგარის თითქმის ნახევარი). მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა კომფორტული უპირატესობის დასაბრუნებლად. უესტბრუკის ავანტიურული, მაგრამ წარმატებული გარღვევის შემდეგ, „ოკლაჰომა" პირველად გავიდა წინ.

ამის შემდეგ „თანდერს" ლიდერობა ხელიდან აღარ გაუშვია. ძირითადად, ისევ დაცვის წყალობით. ერთი პერიოდი, სტუმრები თამაშიდან ექვს-ნახევარი წუთი ვერ აგდებდნენ ბურთს! არაშესაფერის დროს დაკარგა სათამაშო რიტმი ლებრონმა, რომელმაც დასკვნითი მეოთხედის პირველ ცხრა წუთში მხოლოდ ორი ქულა დააგროვა, რაც შარშანდელი ფინალური სერიის გაგრძელება აღმოჩნდა. მაშინ ფორვარდს სერიოზული სირთულეები ჰქონდა მეოთხე მეოთხედებში, რომლებშიც ჯამში 18 ქულა დააგროვა. ლებრონი ამჯერად სეფოლოშას მხრიდან ზეწოლას ვერ გაუმკლავდა. ჯეიმსმა ქულების დაგროვება ბოლო ორ წუთში განაახლა, მაგრამ იმ მომენტისთვის სტუმრების ჩამორჩენა უკვე რვა ქულას შეადგენდა, ამიტომაც ლებრონის მცირეხნიანმა აქტივობამ „მაიამი" ვერ გადაარჩინა. შედარებისთვის, დურანტმა ბოლო მეოთხედში თავის გუნდს 17 ქულა შესძინა!

**ოკლაჰომა-მაიამი 105:94**

22:29, 25:25, 27:19, 31:21

**ო:** დურანტი (36+8 მოხსნა+4 პასი), უესტბრუკი (27+11 პასი+8 მოხსნა), იბაკა (10+6 მოხსნა), სეფოლოშა (9), კოლისონი (8+10 მოხსნა), ფიშერი (6), ჰარდენი (5+3 პასი), პერკინსი (4+7 მოხსნა).

**მ:** ჯეიმსი (30+9 მოხსნა+4 პასი+4 ჩაჭრა), უეიდი (19+8 პასი), ბატიე (17), ჩელმერსი (12+6 პასი), ბოში (10+5 მოხსნა), ჰასლემი (4+11 მოხსნა), მილერი (2).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (51.9/46.2), სამქულიანები (29.4/42.1), საჯარიმოები (74.1/77.8).

**სერია:** 1-0

# დურანტის რეკორდები

ფინალური სერიის პირველ მატჩში **კევინ დურანტმა** და **რასელ უესტბრუკმა** NBA-ის რეკორდი გაიმეორეს. მათ დებიუტი ჰქონდათ NBA-ის ფინალში და ჯამში 63 ქულა დააგროვეს.

პირველად NBA-ის ფინალის დებიუტში თანაგუნდელებმა ასეთი მონაგარი 1977 წელს დააფიქსირეს: „ფილადელფიას" მოთამაშეებმა **ჯულიუს ირვინგმა** (33) და **დაგ კოლინზმა** (30) ერთად 63 ქულა ჩაუგდეს „პორტლენდს". ახლა იგივე გააკეთეს დურანტმა (36) და უესტბრუკმა (27).

■ ■ ■

კევინ დურანტი გახდა მეცხრე მოთამაშე NBA-ის ისტორიაში, ვინც ფინალური სერიის სადებიუტო შეხვედრაში მინიმუმ 36 ქულა დააგროვა. ბოლოს ეს გააკეთა **ალენ აივერსონმა**, რომელმაც 2001 წელს 48 ქულით აბსოლუტური რეკორდი დაამყარა.



კევინ დურანტი

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 21** | |
| შვედეთი-ფინეთი | 3:0 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალკორკონი-ვალიადოლიდი | 0:1 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კალითეა-კალონი | 0:0 |
| პანახაიკი-პლატანიასი | 2:3 |
| **ლიტვა** | |
| ატლანტასი-სუდუვა | 0:4 |
| **ეკვადორი** | |
| მანტა-ლდუ დე ლოხა | 1:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **იტალია** | |
| მილანი-მონტეპასკი | 79:82 |
| **ესპანეთი** | |
| რეალი-ბარსელონა | 75:81 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჰალე** | |
| **რაონიჩი**-ჟანგი | 6:1, 6:1 |
| **იუჟნი**-დოლგოპოლოვი | 6:4, 3:6, 6:3 |
| **ბერდიხი**-ტროიცკი | 6:3, 6:2 |
| **შტეპანეკი**-შტებე | 6:4, 6:4 |
| **ATP. ლონდონი** | |
| **ჩილიჩი**-ებდენი | 6:2, 6:1 |
| კარლოვიჩი-**ლუ** | 7:6, 6:7, 6:7 |
| სიმონი-**ბოლელი** | 6:4, 3:6, 6:7 |
| **როჟე ვასელენი**-როდიკი | 6:4, 4:6, 7:5 |
| ლორენცი-**იტო** | 6:7, 6:4, 2:6 |
| მიულერი-**დიმიტროვი** | 6:7, 4:6 |
| **ანდერსონი**-უორდი | 4:6, 6:3, 6:4 |
| გარსია ლოპესი-**მაუ** | 4:6, 2:6 |
| **ბეიკერი**-გოლდინგი | 7:6, 6:3 |
| დარცისი-ფ. ლოპესი | 3:6, 6:3, 5:7 |
| **ანდერსონი**-სტახოვსკი | 7:6, 2:6, 3:4 უარი |
| [illegible] | 3:6, 7:6, 6:7 |
| [illegible] | 6:3, 4:6, 6:0 |
| **როსოლი**-ბალდატისი | 6:3, 4:6, 6:4 |
| [illegible] | 7:6, 6:3 |
| [illegible] | 3:6, 6:7 |
| ბეიკერი-**ცონგა** | 3:6, 2:6 |
| **ნალბანდიანი**-ბემელმანსი | 6:4, 6:2 |
| **ბენეტო**-იტო | 5:7, 6:4, 7:5 |
| სვიტინგი-**ტიპსარევიჩი** | 1:6, 6:7 |
| **WTA. ბად გაშტეინი** | |
| **ლარსონი**-ჩეპელოვა | 6:4, 7:6 |
| **შოლი**-ონდრაშკოვა | 6:3, 6:0 |
| ბრატჩიკოვა-**კრეიბასი** | 5:7, 3:6 |
| **პერვაკი**-არუაბარენა | 3:6, 6:3, 7:6 |
| ვორლი-**ბეგუ** | 5:7, 6:1, 3:6 |
| მარტიჩი-**მოისბურგერი** | 1:6, 6:4, 6:7 |
| ჰაასი-**ევტიმოვა** | 7:5, 1:6, 3:6 |
| **მეირი**-როტმანი | 6:2, 6:3 |
| **WTA. ბირმინგემი** | |
| მაკჰეილი-**ვესნინა** | 1:6, 6:1, 5:7 |
| **მაკაროვა**-კარატანჩევა | 7:6, 6:3 |
| **ჰლავაჩკოვა**-ბარტელი | 7:6, 6:2 |
| საუთი-**იანკოვიჩი** | 1:6, 6:7 |
| **პანოვა**-დუბუა | 6:7, 6:1, 7:5 |
| **დელაკუა**-მური | 4:6, 6:4, 6:1 |
| ჩანგი-**ბალტაჩა** | 6:4, 4:6, 5:7 |
| **ბაბოში**-რისკე | 6:4, 4:6, 7:6 |
| **ჰსიე**-დუშევინა | 4:6, 7:6, 6:4 |
| კეოტავონგი-**ჟენგი** | 3:6, 4:6 |
| რობსონი-**ერაკოვიჩი** | 4:6, 6:3, 4:6 |
| როდიონოვა-**ფორეტცი** | 5:7, 2:6 |
| სკიავონე-**დოი** | 5:7, 4:6 |
| ლარშერ ბრიტუ-**ოუდინი** | 3:6, 4:6 |
| **ჰსიე**-პანოვა | 6:4, 6:2 |
| **უოტსონი**-ბალტაჩა | 7:6, 6:3 |
| ბაბოში-**ფალკონი** | 0:6, 4:6 |
| **უ. რადვანსკა**-ლისიცკი | 6:3, 6:4 |
| **ვინჩი**-რაზანო | 6:3 უარი |
| **ჩინკი**-ჰანტუხოვა | 7:5, 7:6 |

## TV პროგრამა

**14 ივნისი. ხუთშაბათი**

**I არხი**

**19:50** ფეხბურთი. ევრო 2012. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. იტალია-ხორვატია (LIVE).
**22:35** ფეხბურთი. ევრო 2012. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ესპანეთი-ირლანდია (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ამხანაგური მატჩი. გერმანია-ჰოლანდია.
**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. უტრეხტი-აიაქსი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შტუტგარტი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-მარსელი.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** არგენტინის ჩემპიონატი. XVI! ტურის მიმოხილვა.
**20:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ეინდჰოვენი.
**22:00** პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
**23:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-პსჟ.
**01:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედ-ნიუკასლი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-სან ანტონიო.
**14:30** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეალი.
**16:30** ძიუდო. გრანდსლემი. ბრაზილია.
**19:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**20:00** სპორტ-NEWS.
**20:30** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სოშო-ლიონი.
**22:30** NBA Action.
**23:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ბოსტონი.
**05:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. ოკლაჰომა-მაიამი. II მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. ქალები. ლონდონი. ინგლისი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** რაგბი. ჰეინეკენის თასი. მანსტერი-ალსტერი.
**15:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. ქალები. ლონდონი. ინგლისი.
**18:10** სპორტ-NEWS.
**18:30** რაგბი. ჰეინეკენის თასი. სარასენი-კლერმონი.
**20:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
**23:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 19 | 35 | (მზე) |
| ქუთაისი | 25 | 40 | (მზე) |
| ბათუმი | 22 | 30 | (მზე) |
| ფოთი | 22 | 32 | (მზე) |
| ზუგდიდი | 20 | 40 | (მზე) |
| გორი | 17 | 35 | (მზე) |
| თელავი | 18 | 33 | (მზე) |
| სიღნაღი | 19 | 32 | (მზე) |
| ძობულეთი | 20 | 30 | (მზე) |
| ბაკურიანი | 13 | 27 | (მზე) |
| ბორჯომი | 16 | 35 | (მზე) |
| მესტია | 14 | 33 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0488 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6341 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.544 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9922 |

## კალათბურთი

# ჟელკო პაოდან წავიდა

ცნობილმა სერბმა სპეციალისტმა **ჟელკო ობრადოვიჩმა**, რომელმაც „პანათინაიკოსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე 13 წელი იმუშავა, ბერძნულ კლუბს კონტრაქტის გაგრძელებაზე ვერ მოელაპარაკა. შესაბამისად, ბერძნულ გრანდს ახალი მწვრთნელის ძებნა მოუწევს.

*„ყველაფერი, რაც ოჯახის შიგნით ხდება, იქვე უნდა დარჩეს. დარწმუნებული ვარ, რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს ეს გადაწყვეტილება თითოეული ჩვენგანისთვის, ეს იყო საუკეთესო და ერთადერთი ვარიანტი"*, - არ ახსნა მომხდარის მიზეზები ობრადოვიჩმა.

შეგახსენებთ, რომ ობრადოვიჩმა „პანათინაიკოსს" ხუთჯერ მოაპოვებინა ევროლიგის ტიტული - 2000, 2002, 2007, 2009 და 2011 წლებში. გარდა ამისა, 13 წლის განმავლობაში 11-ჯერ მოიგო საბერძნეთის ჩემპიონატი და შვიდჯერ ქვეყნის თასი.

ცნობილია, რომ ობრადოვიჩის გადაბირებით „ფენერბაჰჩე", „ეფეს პილსენი", ცსკა და „ბარსელონა" არიან დაინტერესებული.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# დომენიკალის სამი ფავორიტი

უკვე არაერთხელ ვწერდით იმის შესახებ, რომ ამ სეზონში პირველი შვიდი რბოლა შვიდმა სხვადასხვა პილოტმა მოიგო და გენერალურ კლასიფიკაციაში ხუთ საუკეთესო პილოტს შორის სხვაობა მხოლოდ 21 ქულას შეადგენს - იმაზე ნაკლებს, ვიდრე ავტომრბოლს რბოლის მოგებისთვის ენიჭება. თუმცა „ფერარის" შეფი **სტეფანო დომენიკალი** მიიჩნევს, რომ საბოლოოდ, ტიტულისთვის ბრძოლას ნაცნობი და ტრადიციული პილოტები შემორჩებიან.



ალონსო, ფეტელი, ჰემილტონი

*„ვფიქრობ, ტიტულის ბედი ფერნანდო ალონსოს, ლუის ჰემილტონსა და სებასტიან ფეტელს შორის ბრძოლაში გადაწყდება. თუმცა წელს ის მოლოდინი, რომელიც რბოლის წინ გვაქვს ხოლმე, ხშირად არ მართლდება. შესაძლოა, ვალენსიაში სიტუაცია შეიცვალოს, მაგრამ მგონია, რომ საბოლოო გამარჯვებისთვის სამი მრბოლელი გამოაცხადებს პრეტენზიას.*

*ჯერ გადაწყვეტილი არაფერია - ჰემილტონი ლიდერობს, მაგრამ ფერნანდო მას მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება. და მე მოხარული ვარ, რომ სეზონის ამ ფაზაში ჩვენ კონკურენტუნარიანი მანქანა გვყავს. მთავარია მუშაობა გავაგრძელოთ. სანამ ბოლიდი პოულიდან სტარტის საშუალებას არ მოგვცემს, კმაყოფილნი ვერ ვიქნებით"*, - ამბობს დომენიკალი.

# ორქულიან შუმის სასწაულის ისევ სჯერა

**დომენიკალის** მიერ შედგენილ სიაში, რა თქმა უნდა, ვერ მოხვდებოდა **მიხაელ შუმახერი**, რომელმაც სეზონის პირველ შვიდ რბოლაში მხოლოდ ორი ქულა დააგროვა. ლეგენდარულმა გერმანელმა ოთხჯერ ვერ შეძლო ფინიშამდე მისვლა ტექნიკური პრობლემების გამო. თუმცა, თავად მიხაელის აღიარებით, მას კვლავაც სჯერა „მერსედესის" შესაძლებლობების.

*„კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ფორმულა 1 - ეს არის უნიკალური მანქანების რბოლები და ასობით ტექნიკური კომპონენტი სწორედ ამისთვის არის მოფიქრებული. შესანიშნავად მესმის, რომ დროდადრო რაღაც შეიძლება არ გამოგვივიდეს.*

*რა თქმა უნდა, მონრეალის ტრასიდან გავარდნით იმედგაცრუებული დავრჩი, მაგრამ არ ვკარგავ სიმშვიდესა და გუნდის მიმართ ნდობას. ეჭვი არ მეპარება, რომ „მერსედესთან" ერთად რაღაც განსაკუთრებულს მივაღწევ. ვინმეს დადანაშაულების არანაირი მიზეზი არ არსებობს. ჩვენ არ გაგვიმართლა და ეს ავტოსპორტის ნაწილია. დარწმუნებული ვარ, გუნდის წევრები ჩემზე არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. რბოლიდან გამოვარდნის შემდეგ, მაშინვე ჩემს ინჟინრებთან მივედი იმის განსახილველად, რა დაგვჭირდება მომავალ რბოლაში.*

*შესაძლოა, ჩემი გავარდნიდან მიღებული უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ საცობების გარეშე მივედი აეროპორტამდე. შინ მაქსიმალურად ადრე დაბრუნებას ვგეგმავდი, ამიტომაც ტრასა რბოლის დასრულებამდე დავტოვე"*, - განაცხადა შუმახერმა.



მიხაელ შუმახერი

# ლუისი და სატრანსფერო ბაზარი

კანადის სარბოლო უქმეების დროს ერთ-ერთი მთავარი სასაუბრო თემა იყო **ლუის ჰემილტონის** მომავალი კარიერის პერსპექტივები. მოგეხსენებათ, ბრიტანელის კონტრაქტს „მაკლარენთან" ამ წლის ბოლოს გასდის ვადა. ჭორი უამრავი დადის: ვიღაც ამტკიცებს, რომ ბრიტანელი მზად არის დატოვოს მშობლიური საჯინიბო, მაგრამ სხვების აზრით, ამგვარი სცენარი აშკარად გადამეტებულია.

ფინურმა გაზეთმა Turun Sanomat-მა კანადის გრანპრის წინ დაწერა იმის შესახებ, რომ სწორედ ჰემილტონზეა დამოკიდებული წელს სატრანსფერო ბაზარზე მოვლენათა განვითარება. მისი კონტრაქტის საკითხებით გამოცდილი მენეჯერი **დიდიე კოტონია** დაკავებული. ეს უკანასკნელი, თავის დროზე, **მიკა ჰაკინენთან** მუშაობდა.



ლუის ჰემილტონი

კანადის გრანპრიზე გამარჯვების მიუხედავად, ფორმულა 1-ის პრესაში სულ უფრო ხშირად წერდნენ იმის შესახებ, რომ ლუისი უკმაყოფილოა „მაკლარენის" ბოლიდით (MP27) და მისი მოდერნიზაციის ტემპებით. ამიტომაც, მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონის შესანარჩუნებლად, ბრიტანული საჯინიბო ლუისს მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში მომხიბვლელ ჰონორარებს სთავაზობს.

მიუხედავად ამისა, ჰემილტონი თავისი მომავალი კარიერის შესახებ სიცხადეს აგვისტოს ბოლომდე არ შეიტანს. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ზაფხულში არც ერთ ტოპ-გუნდში არ მოხდება საკადრო გადაადგილებები.

კერძოდ, ჰემილტონის გადაწყვეტილებას ელოდება **მარკ უებერი**, რომელიც ასრულებს წლის ბოლოს „რედ ბულში" გამოსვლას, ასევე **მიხაელ შუმახერი**, ვისაც ორი ვარიანტი აქვს - ან საბოლოოდ დაასრულებს კარიერას ან „მერსედესში" კიდევ ერთი სეზონი დარჩება.

იმის გამო, რომ ჰემილტონი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ნიჭიერი პილოტია, მისი გადაბირებით ნებისმიერი ტოპ-გუნდი იქნება დაინტერესებული, შესაბამისად, მოვლენათა განვითარების ბევრნაირ ვარიანტს უნდა ველოდოთ.

ავტოსპორტი




# სარბოლო უქმეები

ივნისის შუაში ყველა საავტომობილო სერია მეორე პლანზე გადადის: ერთსაათიანი მარათონი, სახელწოდებით „ლე მანის 24 საათი" დროებით ავიწყებს ავტოსპორტის გულშემატკივრებს **ალონსოს, ჰემილტონსა** თუ **ფეტელს**. წელს ლე მანზე ტიტულს იცავენ **მარსელ ფესლერი, ანდრე ლოტერერი** და **ბენუა ტრელიუიე**, მათი მთავარი კონკურენტი კი იქნება ეკიპაჟი **ალან მაკნიშის, რინალდო კაპელოსა** და სახელგანთქმული **ტომ კრისტენსენის** შემადგენლობით. ორივე ტრიო „აუდის" წარმოადგენს. „ლე მანიდან" „პეჟოს" წასვლის შემდეგ, სწორედ ეს გერმანული კონცერნი მიიჩნევა წლევანდელი მარათონის მთავარ ფავორიტად. თუმცა 24 საათის განმავლობაში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. შეგახსენებთ რამდენიმე პილოტის სახელსა და გვარს, რომლებიც წელს „ლე მანის 24 საათზე" აპირებენ გამოსვლას: **მარკ ჟენე, მაიკ როკენფელერი, ალექსანდრ ვიურცი, სებასტიან ბუემი, ნიკ ჰაიდფელდი, სებასტიან ბურდე...**

**ლე მანის 24 საათი**

**ჩატარების ადგილი** - ლე მანი, საფრანგეთი
**წრის სიგრძე** - 13 629 მ
**შარშანდელი გამარჯვებულები** - მარსელ ფესლერი, ანდრე ლოტერერი, ბენუა ტრელიუიე (აუდი)

**განრიგი**

13 ივნისი, 18:00 - პრაქტიკა
13 ივნისი, 00:00 - კვალიფიკაცია
14 ივნისი, 21:00 - კვალიფიკაცია
14 ივნისი, 00:00 - კვალიფიკაცია
16 ივნისი, 17:00 - რბოლა

■ ■ ■

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეები სილვერსტოუნში გაემგზავრნენ. სეზონის საგაზაფხულო ნაწილი **ხორხე ლორენსომ** ბრწყინვალედ ჩაატარა და **კეისი სტოუნერმა** ძალიან უნდა მოინდომოს მესამე ტიტულის მოსაგებად და კარიერის მაჟორულ ნოტაზე დასამთავრებლად.

**ბრიტანეთის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი** - სილვერსტოუნი, ბრიტანეთი
**წრის სიგრძე** - 5 900 მ
**საუკეთესო წრე** - 2:03,526 (ლორენსო, 2010)

**საერთო ჩათვლა**

1. ლორენსო (იამაჰა) - 115
2. სტოუნერი (ჰონდა) - 95
3. პედროსა (ჰონდა) - 85
4. დოვიციოზო (ჰონდა) - 60
5. კრატჩლოუ (იამაჰა) - 56
6. როსი (დუკატი) - 51
7. ბაუტისტა (ჰონდა) - 45
8. ბრადლი (ჰონდა) - 43

**განრიგი**

15 ივნისი, 13:10 - I პრაქტიკა
15 ივნისი, 17:10 - II პრაქტიკა
16 ივნისი, 13:10 - III პრაქტიკა
16 ივნისი, 16:55 - კვალიფიკაცია
17 ივნისი, 16:00 - რბოლა

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608